

ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შუბნალი

2014 წელი
№3-4



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილებების მომზადებას.



სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:

როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

დავით ასათიანი, ინგა თოდრია, ოთარ გამყრელიძე, ნინო გვენეტაძე,
ლელა ნადიბაიძე, პაატა ტურავა, ირაკლი ყანდაშვილი,
ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ნინო
ხოფერია, მაკა სალხინაშვილი

ჟურნალის რედაქტორი:

ეკა ხიმშიაშვილი

კორექტორი:

ლელა ღვინიაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:

თორნიკე ლორთქიფანიძე

ბეჭდვა:

შპს „სეზანი“



ISSN – 1987-5 474

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ნებართვის გარეშე, აკრძალულია.

სარჩევი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიმართვა..... 6

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა 8

ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტ მარია სლაზაკის ვიზიტი საქართველოში 11

სამოქალაქო სამართლის კომიტეტის ინფორმაცია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლში ცვლილებასთან დაკავშირებით (კანონპროექტი)
კანონპროექტის შესახებ 13
განმარტებითი ბარათის შესახებ 14

ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის 10 თვის ანგარიში, 2014 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით 19

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე #025/13, 16.04.2014წ. 23

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაცია ადვოკატის მიერ კლიენტის გარეშე ინფორმაციის გაჟღერებასთან დაკავშირებით..... 26

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ..... 30

სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე: „კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ“, 1994 წ. 24 თებერვალი	37
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოკლე მიმოხილვა	43
საკონსტიტუციო სასამართლოს 2014წ. 27 თებერვლის #2/2/558 გადაწყვეტილება.....	44
საექსპერტო შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014წ. 27 თებერვლის #2/2/558 გადაწყვეტილებაზე (ექსპერტი ადვოკატი შალვა ქურდაძე)	55

ადვოკატი და მენეჯერება

ლილი მსხილაძე, „დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში“	59
ელენე კავთუაშვილი, „ოჯახური ძალადობა“	64

სამართლის პუბლიცისტიკა

ოთარ გამყრელიძე, „მოსყიდვა ქვემოდან თუ მოსყიდვა ზემოდან“	70
როინ მიგრიაული, „გაკოტრების კანონის კრიტიკოსებს“	77

ადვოკატის მოსაზრებები

ქეთევან ბუაძე, იურისტთა ერთობა „გერმანელ იურისტთა დღეების“ მაგალითზე.....	86
გიორგი თევზაძე, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების განმარტება“	89
როინ მიგრიაული, თამაზ შალამბერიძე, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პრაქტიკული განმარტებისათვის	93

ძართული სამართლის ძეგლები

მანუჩარ თუმანიშვილის ანდერძი, 1657წ. ქალაქი.....	96
--	----



გიორგი აბთიანი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

პატივცემულო ადვოკატებო,

მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი 2015 წელი და გისურვოთ სიკეთე, ბედნიერება და უფლის წყალობა.

2014 წელი ღირშესანიშნავი იყო ადვოკატთა ასოციაციისათვის. პირველად საქართველოს ისტორიაში, ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით საქართველოს ესტუმრა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი ქალბატონი მარია სლაზაკი. ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო ადვოკატების ყველაზე მძლავრი, ავტორიტეტული ორგანიზაციაა მთელ მსოფლიოში. მასში გაერთიანებულია 1 მილიონზე მეტი ევროპელი ადვოკატი.

ქალბატონმა მარია სლაზაკმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში გამართულ ორ კონფერენციაში 2014წ. 17 დეკემბერს და შემდეგ 18-19 დეკემბერს. კონფერენციები ეხებოდა ადვოკატის პროფესიაში შემოსვლასა და ადვოკატის უფლებების დაცვას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისწრაფებაა, გაართულოს ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის პროცედურა, მუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს პირდაპირ არ

შეუძლით განვერინება ადვოკატთა ასოციაციაში. ეს კი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს დახმარების გარეშე შეუძლებელია.

ჩვენ შევძელით და გადავედით ადვოკატთა გამოცდის ელექტრონულ ფორმატზე, მაქსიმალურად დავუახლოვეთ ადვოკატთა გამოცდა ევროპულ სტანდარტებს, რომლებიც გამორიცხავს ადვოკატის პროფესიაში მოუმზადებელი იურისტების შემოსვლას. თუ რამდენიმე წლის წინ ადვოკატთა გამოცდას მსურველთა 60-70% აბარებდა, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი მაქსიმუმ 15%-ია.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის სტატუსით, პოლონელი კოლეგების მიწვევით, 2014წ. ნოემბერში მონაწილეობა მივიღე პოლონეთის ქალაქ ბოდგოშში ჩატარებულ კონფერენციაში, რომელიც ადვოკატთა უფლებების დაცვას ეხებოდა. ადვოკატთა უფლებების დაცვის მოდელი, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაშია დანერგილი, იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის სტატუსით, მიმიწვიეს რამდენიმე კონფერენციაზე ადვოკატთა უფლებების დაცვის სფეროში ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად. ეს, თავისთავად, ჩვენი ასოციაციის დიდი აღიარებაა.

2014 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ადვოკატთა ასოციაციამ აჭარაში მოღვაწე ადვოკატებისთვის შეიძინა ოფისი, სადაც მოეწყო ტრენინგ-ცენტრი 40 ადვოკატის გადასამზადებლად. ჩვენი ფინანსების გათვალისწინებით, ეს სასწაულის ტოლფასია. ბათუმის ოფისის უნიკალურობა იმაშიცაა, რომ მას, გარდა ტრენინგ-ცენტრისა, აქვს, ასევე, კომპიუტერული ცენტრი, მუდმივი ინტერნეტი. ამდენად, აჭარაში მოღვაწე ნებისმიერ ადვოკატს შეუძლია მივიდეს და იმუშაოს ბათუმის ოფისში. ადვოკატთა ასოციაცია არ აპირებს მიღწეულზე შეჩერებას და პროფესიის განვითარებისათვის ადვოკატებისთვის ყველაანაირი პირობების შექმნას უზრუნველყოფს.

ყველაზე დიდ გამოწვევად ამ ქვეყანაში რჩება სამართლიანი სასამართლოს პრობლემა, რომელიც ვერ გადაჭრა ახალმა ხელისუფლებამ. ადვოკატებისთვის მთავრია,

ქვეყანაში არსებობდეს სამართლიანი სასამართლო, რომ მათ შეძლონ თავიანთი პროფესიონალიზმის დამტკიცება. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს პროკურატურის მუშაობა. პროკურატურაში იმ კადრების დატოვებამ, რომლებიც წლების მანძილზე ტერორში ამყოფებდნენ საქართველოს მოსახლეობას, ართმევდნენ ქონებას, უკანონოდ უშვებდნენ საპატიმრო დაწესებულებაში, ქვეყანა სამართლებრივ ჩიხში შეიყვანა. ამ ჩიხიდან გამოსვლა დღითიდღე წარმოდგენელი ხდება. იმ საკანონმდებლო ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც, მთავარი პროკურორი პრემიერ-მინისტრმა უნდა დანიშნოს, პროკურატურა მთავრობის სტრუქტურად გადააქცია. ეს კარგად გამოჩინდა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაპატიმრების საქმეში. პირველად საქართველოს ისტორიაში, დაფიქსირდა, რომ ადვოკატებს არ მისცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები იმ მოტივით, რომ საქმეს ედო გრიფი „საიდუმლო“. ეს იმ ვითარებაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე განიხილეს მთავრობის სხდომაზე. ხოლო საქმის მასალების შესახებ სატელევიზიო კომენტარებს აკეთებდნენ პოლიტიკოსები და ისინი საქმეში დანაშაულის ნიშნების შესახებაც კი მსჯელობდნენ საჯაროდ. ასეთი ფაქტები დაუშვებელია ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში.

2014 წელს დაფიქსირდა ადვოკატთა უფლებების რამდენიმე დარღვევა, რაც საგანგაშოა. ჩემი მხრივ, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, რეაგირება მოვახდინე ადვოკატთა შეურაცხყოფისა და უფლებების შელახვის ყველა ფაქტზე. ადვოკატებს გთხოვთ, რომ პირადად მომმართოთ თქვენი ან სხვა რომელიმე ადვოკატის უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ჩემი, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობაა, ქვეყანაში ადვოკატზე ზეწოლის ნებისმიერ ფაქტზე რეაგირება და მათი აღმოფხვრა. უნდა მივაღწიოთ ყველა იმ თანამდებობის პირის დასჯას, ვინც ადვოკატზე ძალადობს. ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით, 2015 წლიდან ძალაში შევა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, ადვოკატის საქმიანობაში ხელის შეშლა სისხლის სამართლის დანაშაული გახდება. ასეთი მიდგომა უფრო დაცულს გახდის ჩვენს პროფესიას.

პატივცემულო კოლეგებო, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო, ჩემი ინიციატივით ორი წლის წინ ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შევიდა ცვლილე-

ბა, რომლის თანახმადაც სანევრო შენატანების 5% ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდში ირიცხება. ეს არის მაქსიმუმ 25.000 ლარი. თუმცა ეს თანხა მაინც არ არის საკმარისი ადვოკატთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. თითოეულმა ადვოკატმა წლის განმავლობაში სოციალური დაცვის ფონდში რომ 20 ლარი გადაიხადოს, ამ თანხით შევძლებდით რამდენიმე ადვოკატის მკურნალობას. სამწუხაროდ, ჩვენს რიგებში არიან ადვოკატები, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი სახსრები მედიკამენტების შესაძენად. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღეს ათამდე ადვოკატი ირიცხება სოციალურად დაუცველთა ბაზაში. ამიტომ, მოგმართავთ თხოვნით, დავეხმაროთ ჩვენს გაჭირვებულ კოლეგებს.

პატივცემულო კოლეგებო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მესამე წელია ატარებს სავალდებულო ტრენინგებს, სამი წელია ასწავლის ეთიკას. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ იყოთ ეთიკურები თქვენს კოლეგებთან, კლიენტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში. გთხოვთ, გაუფრთხილდეთ ადვოკატის იმიჯს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ადვოკატის ინსტიტუტი ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ინსტიტუტად ვაქციოთ. თუკი ადვოკატის ინსტიტუტი გაძლიერდა, ეს დასაბამს დაუდებს ქვეყანაში სამართლიან სასამართლოს. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია დიდი პროფესიონალებით, ძალიან ბევრს შრომობს, რომ ადვოკატთა კორპუსში დაამკვიდროს პროფესიული სტანდარტები. თუკი ეთიკის კომისიის დიდი ძალისხმევით შევძლებთ პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას, ეს იქნება ჩვენი განვითარების წინაპირობა, რომელიც გადამდები იქნება პროკურატურისა და სასამართლოსათვის.

2014 წელს საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება და შემოიღო პროფესიული ჯილდოები. მომავალ საერთო კრებაზე დავაჯილდოებთ ღვაწლმოსილ ადვოკატებს. ერთ წელში მოწესრიგდება ადვოკატის ვიზუალური ჩაცმულობაც, მომავალ საერთო კრებაზე დავამტკიცებთ მანტიის ფორმას, რაც ადვოკატს გამოარჩევს პროცესის სხვა მონაწილეებისაგან. ეს კი გააჩენს ადვოკატისადმი პატივისცემას.

ჩემო მეგობრებო, გილოცავთ ახალ 2015 წელს! გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს, იყავით ძალიან ბედნიერები, უფალი ფარავდეს ქართველ ადვოკატთა კორპუსს.



რონი მიბრიაშვილი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ადვოკატი, ასოცირებული პროფესორი

ძვირფასო კოლეგებო!

ჟურნალ „ადვოკატის“ რედაქტორთა საბჭომ წინამდებარე ნომრით წარმოგიდგინათ ჟურნალის სრულიად ახალი ფორმატი. ფორმატის ცვლილება არის მცდელობა იმისა, რომ ჟურნალი თავისი ფორმითა და შინაარსით დავუახლოვოთ საერთაშორისო სტანდარტებს.

2014 წლის ბოლო, გაერთიანებული ნომერი არა მხოლოდ ფორმატის სიახლით გამოირჩევა, მას ახალი რუბრიკებიც დაემატა. ჟურნალის სიახლეები კვლავ ადვოკატთა ინტერესებს ემსახურება. ჟურნალის რუბრიკა „ადვოკატი და მეცნიერება“ წარმოადგენს, როგორც წესი, მეცნიერი ადვოკატების სამეცნიერო სტატიებს. სტატიებში იმ სამეცნიერო სიახლეებზეა საუბარი, რომელთა გამოყენებასაც ადვოკატები პრაქტიკულ საქმიანობაში შეძლებენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ლილი მსხილაძის სტატია შეჯიბრებით სამართალწარმოებაში ადვოკატის როლის შესახებ, ასევე, ელენე კავთუაშვილის სტატია ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ახალ რუბრიკას „ადვოკატის მოსაზრებები“, იგი მთლიანად დაეთმობა ადვოკატების შეხედულებებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. ადვოკატებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ თავიანთი კრიტიკული მოსაზრებები კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ, შეაფასონ სასამართლო აქტების ავტორიანობა, წარმოადგინონ წინადადებები საკანონმდებლო ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით, ასევე, იმსჯელონ ზოგადი იურიდიული პრობლემებისა და ყველა იმ საკითხის ირგვლივ, რომლებიც შეიძლება წარმოემვათ ადვოკატებს პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ, საინტერესოა ადვოკატ ქეთევან ბუაძის მოსაზრება იურისტთა ერთიანი გაერთიანების შექმნის შესახებ, მსგავსად გერმანული „იურისტთა დღეებისა“, რომლის იდეაცაა, ერთიანი ფორუმის ფორმატში, ყველა იურისტის (ადვოკატის, მოსამართლის, პროკურორის, ნოტარიუსის, მეცნიერ-იურისტის) გაერთიანება. ასეთი გაერთიანების ფარგლებში ხდება პრაქტიკაში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაჭრისათვის გზების მოძიება. სწორედ ასეთ გაერთიანებას – „საქართველოს იურისტთა ეროვნულ ასოციაციას“ დაედო საფუძველი 2014წ. დეკემბერში. აღნიშნულ რუბრიკაში გარკვეული მოსაზრებაა შემოთავაზებული „ადვოკატთა შესახებ“ კანონში ტერმინის „იურისტად მუშაობის“ განმარტებასთან დაკავშირებით. საკითხი ეხება მოცემული ტერმინის იმგვარად განმარტებას, რომ სამართლის პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა გათანაბრებული იქნეს იურისტად მუშაობასთან, ვინაიდან სამართლის პროფესორები უნივერსიტეტებში სამართლის ნორმებს არა მხოლოდ პროფესიულად განმარტავენ, არამედ ისინი თეორიულ ცოდნასთან ერთად მათ პრაქტიკულ გამოყენებაზეც ზრუნავენ.

ვფიქრობ, ადვოკატების მხრიდან მოწონებას დაიმსახურებს, აგრეთვე, ახალი რუბრიკა „სამართლის პუბლიცისტიკა“. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი საინტერესო პუბლიცისტური ნაშრომი საგაზეთო ქაოსში იკარგება და საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი ხდება. არადა, რამდენი გამორჩეული პუბლიცისტი გვყავდა. მარტო სამართალში ილია ჭავჭავაძის ან ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ნაშრომები რად ღირს! იურისტების დღევანდელ თაობას ჰყავს უდავოდ გამორჩეული სამართლის პუბ-

ლიცისტები, ბატონები: ოთარ გამყრელიძე, გურამ ნაჭყებია, გია მეფარიშვილი, ბესო ზოიძე და სხვ. ამიტომ ჟურნალში სისტემატურად გამოქვეყნდება საზოგადოებისათვის, პირველ რიგში, ადვოკატებისათვის საინტერესო პუბლიცისტური ნაწარმოებები.

ჟურნალის წინამდებარე ნომერშიც, ტრადიციულად, განხილულია ასოციაციის სამართლის კომიტეტების საქმიანობის შესახებ. მაგალითად, განსჯისათვის და სადისკუსიოდ წარმოდგენილია სამოქალაქო სამართლის კომიტეტში შემუშავებული კანონპროექტი, შესაბამისი განმარტებით, ადვოკატთა გაერთიანების ახალი სამართლებრივი ფორმის – ბიუროგაერთიანების – შესახებ.

ჟურნალში, ასევე, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, წარმოდგენილია საადვოკატო ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები. პირველ რიგში, ეთიკის ახალი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ასევე მისი რეკომენდაცია ადვოკატი-კლიენტის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე. აღნიშნული რუბრიკა („ადვოკატი და ეთიკა“) იმითაცაა გამორჩეული, რომ ეთიკის ახალი კომისია წარმოადგენს თავისი საქმიანობის 10 თვის ანგარიშს, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან მიმართულებას მისი სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს საქმიანობა წარმოადგენს. სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს წარმატებებმა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების მსგავსი ტიპის დაწესებულებების ყურადღება მიიპყრო. ყალიბდება მოთხოვნილება იმისა, რომ მათი გამოცდილება ევროპის სხვა ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებებსაც გაეუზიაროთ. ამიტომ, ადვოკატებისათვის უინტერესო არ უნდა იყოს სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს განეული საქმიანობის შესახებ.

ჟურნალის წინამდებარე ნომერშიც, კვლავინდებურად, იბეჭდება სასამართლო გადაწყვეტილებები. ამჯერადაც შემოთავაზებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსა და საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება ესპანელი ადვოკატის, ბატონი პაბლო კასადო კოკას მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელსაც დაუპირისპირდა სახელმწიფო მისი საქმიანობის რეკლამირებასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილებას თან ახლავს საქმის მოკლე მიმოხილვაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც ადვოკატს ეხება, კერძოდ, პროცესიდან ადვოკატის გაძევებასა და დაჯარიმებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. ჟურნალში ასევე შემოთავაზებულია აღნიშნული გადაწყვეტილების საექსპერტო შეფასებაც.

წინამდებარე ჟურნალი, როგორც ეს წინა ნომერში განვაცხადეთ, უკვე ადვოკატების სახსრებით ფინანსდება. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჟურნალ „ადვოკატის“ საკუთრი სახსრებით დაფინანსების შესახებ და ასოციაციის ბიუჯეტში შესაბამისი თანხებიც გამოიხატა. ასე რომ, ჟურნალის გამოცემა შეუფერხებლად გაგრძელდება.

როდესაც ჟურნალის ეს ნომერი თქვენამდე მოაღწევს, ახალი 2015 წელი მთელი თავისი ბრწყინვალეობით უკვე დამდგარი იქნება. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და ასოციაციაში გაერთიანებულ ყველა ადვოკატს გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულსა და ახალ 2015 წელს, გისურვებთ წარმატებულ საადვოკატო საქმიანობას, ოჯახების კეთილდღეობასა და სიხარულს!

პატივისცემით





ადვოკატთა ასოციაციის საჭიროება

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტ მარია სლაზაკის ვიზიტი საქართველოში



2014 წლის დეკემბერში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ბატონი ზაზა ხატიაშვილის მოწვევით, საქართველოს ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი მარია სლაზაკი ეწვია. ქალბატონმა მარია სლაზაკმა მონაწილეობა მიიღო 2014წ. 18-19 დეკემბერს სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ადვოკატის როლის ამაღლებასა და მის პროფესიულ გარანტიებს მიეძღვნა. კონფერენცია ორგანიზებული იყო ევროკავშირის პროექტის მიერ – „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“. კონფერენციაზე, ასევე, მონაწილე იყვნენ სასამართლო ხელისუფლების, იუსტიციის საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა. კონფერენციის მო-

ნაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტმა მარია სლაზაკმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი სესიის განმავლობაში, გაიმართა მსჯელობა მართლმსაჯულების პროცესში ადვოკატის როლის შესახებ, ადვოკატის პროფესიის საპროცესო გარანტიებზე, ადვოკატის პროფესიის დაუფლებისათვის აუცილებელი სტაჟირების პერიოდსა და აუცილებელ სტანდარტებზე, სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლების უზრუნველყოფის ცალკეულ გარანტიებზე. კონფერენციაზე ქართველი ადვოკატები და მოწვეული სტუმრები გაეცნენ ქართველი და ევროპელი ექსპერტების მოსაზრებებს მართლმსაჯულების პროცესში ადვოკატის პროფესიის როლისა და ადვოკატის პროფესიის საპროცესო გარანტიების თაობაზე.



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა: „2014 წლის დეკემბერი ოქროს ასოებით შევა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ისტორიაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შეუძღვებელი შეძლო და საქართველოში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით მოიწვია ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს ახლადარჩეული პრეზიდენტი ქალბატონი მარია სლაზაკი, იგი ერთ მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს წარმოადგენს. ქალბატონი მარია სლაზაკის საქართველოში ვიზიტი არის პირველი, მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რაც ადასტურებს საქართველოს ადვოკატთა კორპუსისადმი მის დიდ პატივისცემას. 2011 წლიდან მარია სლაზაკი აქტიურადაა ჩართული ქართველ ადვოკატთა დაცვაში. დღეს უკვე პრეზიდენტი მარია სლაზაკი ყოველმხრივ ეცდება, რომ საქართველოში საადვოკატო საქმიანობა გახდეს უსაფრთხო, ადვოკატებს ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორც პროკურორებსა აქვთ. ეს არის ისტორიული მოვლენა, რომელიც

მომავალში ჩვენი პროფესიის განვითარებისათვის ძალიან ბევრ დადებით შედეგს მოიტანს“.

ქალბატონი მარია სლაზაკი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ ბატონ გიორგი მარგველაშვილს. საუბრისას მხარეებმა საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუტის გაძლიერების, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების განვითარების საკითხებზე ისაუბრეს.

მოკლე ინფორმაცია: ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) დაარსდა 1960 წელს და წარმოადგენს 32 ქვეყნის ადვოკატებისა და სამართლის საზოგადოებების გაერთიანებას. დღეისათვის მასში გაერთიანებულია 1 მილიონზე მეტი ევროპელი იურისტი. იგი დაფუძნებულია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე. CCBE აღიარებულია, როგორც ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. მისი ოფისი ბელგიაში მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია 2009 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსთან. აღნიშნული ორგანიზაცია ყოველთვის მკაცრად რეაგირებდა ქართველი ადვოკატების უფლებების დარღვევის ფაქტებზე.



სამოქალაქო სამართლის კომიტეტის ინფორმაცია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლში ცვლილებასთან დაკავშირებით (კანონპროექტი)

*ცვლილებები მომზადებულია
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
სამოქალაქო სამართლის კომიტეტის მიერ,
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ადვოკატი როინ მიგრიაული*

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N 22, 6.07.2001, მუხ.78) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება

1. მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ორ ან ორზე მეტ ადვოკატს შეიძლება ჰქონდეს საერთო საადვოკატო ბიურო, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (ბიუროგაერთიანება). ბიუროგაერთიანების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს დამატებას „ბიუროგაერთიანება“ ან „ბგ“. ბიუროგაერთიანების შექმნის მიზანია საადვოკატო ბიუროს მეშვეობით საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ბიუროგაერთიანებაში ადვოკატთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ადვოკატებს შორის დადებული ხელშეკრულებით. ბიუროგაერთიანებაში თითოეული ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი საქმიანობისათვის. ბიუროგაერთიანებაში

შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების წესი განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე ბიუროგაერთიანება წარმოადგენს ამხანაგობის ტიპის გაერთიანებას და მისი სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება ცალკე კანონით. ბიუროგაერთიანებების შესახებ კანონის მიღებამდე, მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ამხანაგობის ნორმები, წინამდებარე კანონში მითითებული გამოაკლისების გარდა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მარგველაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში 1¹ პუნქტის დამატებასთან დაკავშირებით.

1. არსებული სამართლებრივი მოწესრიგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს შესაძლებლობას აძლევს, საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნილი საადვოკატო ბიუროს მეშვეობით, რომელიც შეიძლება ორგანიზებული იყოს ამხანაგობის ან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამენარმეო იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით. კანონის აღნიშნული დანაწესი ადვოკატებს თავიანთი პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აძლევს შეზღუდული არჩევანის შესაძლებლობას – ამხანაგობა ან სამენარმეო სუბიექტი. უმეტეს შემთხვევაშიც, საადვოკატო ბიუროები ამხანაგობებად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად არიან ორგანიზებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა საადვოკატო ბიუროების სამართლებრივი ფორმის ასარჩევად ადვოკატებს გარკვეული თავისუფლება მისცა, არსებული სამართლებრივი ფორმები ადვოკატებს მაინც უქმნის გარკვეულ დისკომფორტს, რომელიც ამ კონკრეტული სამართლებრივი ფორმის შინაარსიდან გამომდინარეობს.

2. პასუხისმგებლობის საკითხი

2.1. პასუხისმგებლობის საკითხი, არსებული სამართლებრივი მოწესრიგების შესაბამისად

ზემოხსენებული დისკომფორტის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეძებოთ ადვოკატის პასუხისმგებლობაში, რომელიც შეიძლება დაეკისროს ადვოკატს საადვოკატო ბიუროს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.

ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულების პასუხს აგებენ სოლიდარულად. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისათვის და კომანდიტური საზოგადოების სრული პარტნიორებისათვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასევე, დადგენილია სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების საქმიანობის შემთხვევაში, მართალია, საზოგადოება თავისი ქონებით აგებს პასუხს კრედიტორთა წინაშე („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი და 51-ე მუხლის პირველი პუნქტი), მაგრამ, საზოგადოების კაპიტალის მინიმიზაციისა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების პირობებში, აღნიშნული საზოგადოებების პარტნიორებს შეიძლება ასევე დაეკისროთ „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ საზოგადოების ვალდებულებისათვის. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სამართლებრივი ფორმები საადვოკატო ბიუროებისათვის შეიძლება მიუღებელი გახდეს.

ამხანაგობის ან სპს-ს ფორმით შექმნილ საადვოკატო ბიუროში პასუხისმგებლობის „თავიდან არიდებას“ არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც, მაგალითად, ერთ-ერთი პარტნიორი კლიენტთან (მარწმუნებელთან) გამონაკლისის სახით შეათანხმებს დამოუკიდებელ მანდატს (რწმუნებულებას). თუმცა მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლობის შეთანხმება საადვოკატო ბიუროს ერთ-ერთ ადვოკატთან არ ჩაითვლება შეთანხმებად დამოუკიდებელი (ცალკე) მანდატის შესახებ. ამიტომაც, არც სოლიდარული პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან გვექნება საქმე.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საადვოკატო ბიუროს ერთ-ერთ პარტნიორთან შეთანხმებული მან-

დატი (რწმუნებულება), საეჭვოობისას, განიმარტება როგორც საადვოკატო ბიუროს ყველა პარტნიორ-ადვოკატთან დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმებული მანდატი. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში წარმოიშობა მთლიანად საადვოკატო ბიუროს და არა – დამოუკიდებლად მოქმედი ერთი პარტნიორ-ადვოკატის ვალდებულება. ასეთი ვალდებულები-სათვის კი, ამხანაგობისა და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, წარმოიშობა ყველა პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობა.

2.2. პასუხისმგებლობის საკითხის ახლებური მოგვარების ინტერესი

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიის წარმომადგენელთა მხრიდან უნდა არსებობდეს გარკვეული ინტერესი იმისა, რომ საადვოკატო ბიუროს მოწყობისათვის შეთავაზებული იყოს ისეთი სამართლებრივი ფორმა, სადაც ერთობლივად მოქმედი ადვოკატების პასუხისმგებლობა ერთმანეთისაგან გამიჯნული იქნება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო უნდა იყოს სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკაც. განსაკუთრებით, საგულისხმოა, გერმანიის ფედერალური კანონი „პარტნიორული საზოგადოების შესახებ“ (Partnerschaftsgesellschaftsgesetz). ამ კანონის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, პარტნიორობა წარმოადგენს საზოგადოებას, რომელშიც ერთიანდებიან თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს სწორედ თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთათვის (მათ შორის ადვოკატებისათვის) სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეთავაზება.

აღსანიშნავია, რომ კანონი აწესრიგებს, ასევე, საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. აღნიშნული კანონის მე-8 პარაგრაფის პირველი აბზაცი, მართალია, ადგენს პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისათვის, თუმცა ამავე პარაგრაფის მე-2 აბზაცი შეიცავს საგულისხმო გამონაკლისს ზემოთხსენებული პრინციპიდან. კერძოდ, მოცემული დებულება ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დავალების დამუშავება-

ში ცალკეული პარტნიორები იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ ამ დავალებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის საზოგადოებასთან ერთად მხოლოდ ეს პარტნიორები აგებენ პასუხს. ამდენად, ხსენებულ შემთხვევაში აღარ აქვს ადგილი პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას. ამ დებულებით გერმანელმა კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ერთი პარტნიორის პროფესიული ცდომილებიდან გამომდინარე ვალდებულებისათვის საზოგადოების სხვა პარტნიორებმა სოლიდარულად პასუხი არ უნდა აგონ!

2.3. პასუხისმგებლობის საკითხი წინამდებარე კანონპროექტის შესაბამისად

წინამდებარე კანონპროექტი ითვალისწინებს რამდენიმე ადვოკატის მიერ ე.წ. „ბიუროგაერთიანების“ (Bürogemeinschaften) შექმნის შესაძლებლობას, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, და რომელშიც თითოეული ადვოკატი საკუთარი სახელით ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და პირადად აგებს პასუხს თავისი საქმიანობისათვის. აღნიშნული კანონპროექტის მიზანია, სწორედ ადვოკატთა ზემოხსენებული ინტერესისათვის ანგარიშის გაწევა და კოლეგიური საადვოკატო საქმიანობისთვის ახალი ორგანიზაციული ფორმის შემოღება. მსგავსი ბიუროგაერთიანებების შექმნა ადვოკატთა (ასევე ადვოკატთა და სხვა პირთა) მიერ მიღებული პრაქტიკაა გერმანიაში.

ბიუროგაერთიანების შექმნის საჭიროება შეიძლება დადგეს, უწინარეს ყოვლისა, საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარების აუცილებლობის გამო. როდესაც ორი ან მეტი ადვოკატი გადანაცვებს ბიუროს მოსაწყობად შესაბამისი ფართის დაქირავებას, ბიუროსათვის საერთო ავეჯის შეძენას, სატელეკომუნიკაციო თუ კომპიუტერული ტექნიკის შეძენას, საერთო ბიბლიოთეკის მოწყობას და შესაბამისი პერსონალის დასაქმებას, მაგრამ, ამავე დროს, საადვოკატო საქმიანობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ (ანუ მანდატებს დამოუკიდებლად იღებენ და ამუშავებენ), დღევანდელი მოწესრიგების პირობებში ისინი ვერ გაექცვიან სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით მოწესრიგებულ ამხანაგობის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მონაწილეების ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს ბიუროს ორგანიზაცია და არა ბიუროს სა-

ადვოკატო საქმიანობა. ასე რომ, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოწესრიგებული პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება სწორედ ორგანიზაციულ საქმიანობაზე და, ასევე, ამ საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე (მაგ. საკანცელარიო საქონლის შესყიდვა). მიუხედავად ამისა, ამხანაგობის ფორმით შექმნილ საადვოკატო ბიუროებში განმსაზღვრელი სწორედ საადვოკატო საქმიანობაა და არა – ბიუროს ორგანიზაცია, რაც პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას აფუძნებს.

რაც შეეხება ბიუროგაერთიანების მეშვეობით საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას, ამ თვალსაზრისით, ადვოკატები სამოქალაქო ბრუნვაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მონაწილეობენ და მათზე სოლიდარული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება. შესაბამისად, ერთ ბიუროგაერთიანებაში მომუშავე ადვოკატები პასუხს არ აგებენ ერთმანეთის პროფესიული საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.

აღნიშნული გარემოება წარმოადგენს დიდ უპირატესობას იმ ადვოკატებისათვის, რომელთაც არ სურთ საკუთარი კოლეგის (პარტნიორის) საქმიანობიდან გამომდინარე რისკების ტარება, მაგრამ ამავე დროს სურთ საადვოკატო ბიუროს მოწყობისა და ორგანიზაციის ხარჯების შემცირება.

3. ბიუროგაერთიანების სახელწოდებაში დამატება „ბიუროგაერთიანების“ აუცილებლობა

ბიუროგაერთიანების ერთ-ერთი წევრი ადვოკატის მხრიდან საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას კლიენტს შეიძლება წარმოეშვას მოლოდინი, რომ მისი სახელშეკრულებო პარტნიორი არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატია, არამედ თავად საადვოკატო ბიურო. აღნიშნული საფრთხე, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში იარსებებს, როდესაც საადვოკატო ბიურო გარკვეული სახელწოდებით იღებს მონაწილეობას სამოქალაქო ბრუნვაში. ეს კი წარმოშობს მოლოდინს, რომ სახელშეკრულებო პარტნიორი სწორედ საადვოკატო ბიუროა. ამ და სხვა მიზეზების გამო, აუცილებელია, საადვოკატო ბიუროს სახელწოდებაში დაემატოს

სიტყვა „ბიუროგაერთიანება“. აღნიშნული დამატება კლიენტისათვის იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ მას საქმე ერთ კონკრეტულ ადვოკატთან და არა – ერთიან საადვოკატო ბიუროსთან აქვს.

4. წარმომადგენლობის საკითხი წინამდებარე კანონპროექტის შესაბამისად

საინტერესოა, ასევე, ბიუროგაერთიანების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხიც. ბიუროგაერთიანების ადვოკატები, როგორც აღინიშნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას და შესაბამისად არ აქვთ ერთმანეთის წარმომადგენლობის უფლებამოსილება, თუ მათი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ერთ-ერთ ადვოკატს. ამ წესის გათვალისწინებით, რამდენადაც ბიუროგაერთიანება ორგანიზაციულ წარმონაქმნს წარმოადგენს, მესამე პირებთან იგი იმოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებული ამხანაგობა.

5. გუროგაერთიანების სტატუსი კანონპროექტის შესაბამისად

კანონპროექტის თანახმად, ბიუროგაერთიანება არ წარმოადგენს იურიდულ პირს. ამ დებულებით გვსურს იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ბიუროგაერთიანება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არ მოქმედებს საკუთარი სახელით, არ დებს საკუთარი სახელით გარიგებებს და ამავე დროს არც სასამართლოში შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ თუ მოპასუხედ.

ბიუროგაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ კონკრეტული ადვოკატი და არა მთლიანი ბიურო, და მხოლოდ აღნიშნული პირი შეიძლება იყოს კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის მხარე.

6. საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული პროფესიული ეთიკის საპიტიხეზი

იმ ადვოკატების საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლებიც გაერთიანდებიან ბიუროგაერთიანებაში, შეიძლება წარმოიშვას კითხვები ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობისა (პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი) და კონფიდენციალობის (პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი) პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით.

6.1. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოდგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

აღნიშნული დებულება ემსახურება ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების მხრიდან ცალკეული კლიენტების საქმეებზე წვდომის შესაძლებლობიდან გამომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებას. საადვოკატო ბიუროში გაერთიანებული ადვოკატების მხრიდან მონაცემთა ბაზებისა და ტელეკომუნიკაციების ერთობლივი სარგებლობისას არსებობს საფრთხე, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ ადვოკატს შეიძლება ჰქონდეს მეორე მხარის საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. ასეთი საფრთხე არსებობს ბიუროგაერთიანების შემთხვევაშიც (მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში დავალებათა მიღება-დამუშავება ხდება დამოუკიდებლად).

ამდენად, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა გავრცელდეს, ასევე, ბიუროგაერთიანებებზეც.

6.2. კონფიდენციალობის პრინციპი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. მესამე პირად მიჩნეული უნდა იქნას, ასევე, ბიუროგაერთიანების სხვა ადვოკატიც.

ამდენად, კონფიდენციალობის ვალდებულება უნდა გავრცელდეს ბიუროგაერთიანების სხვა ადვოკატის მიმართაც.

7. დასკვნა

როგორც ავლინდნენ, კანონპროექტის მიზანია ადვოკატებისათვის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეთავაზება, რომელიც გაითვალისწინებს მათ ზოგიერთ სამართლიან ინტერესს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მიზეზების გამო, არსებობს ადვოკატთა გარკვეული რაოდენობა, რომელთაც არ სურთ იყვნენ იმ საადვოკატო ბიუროების წევრები, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაც შემოთავაზებულია დღეს მოქმედი კანონმდებლობით. ამავე დროს, არსებობენ ადვოკატებიც, რომელთაც, ისედაც გადატვირთული შრომის ბაზრის გამო, არ სურთ მარტოხელა მებრძოლის როლში ყოფნა, რადგანც ამ შემთხვევაში მათი საბაზრო შანსები არსებითად მცირდება იმ ადვოკატთა მიმართ, რომლებიც ერთ საადვოკატო ბიუროში არიან ორგანიზებულნი.

ამგვარად, ბიუროგაერთიანების, როგორც ორგანიზაციული ფორმის შემოღება, უნდა განვიხილოთ, როგორც პროფესიის ბევრი წარმომადგენლისათვის დიდი სარგებლის მომტანად და მათი საბაზრო შანსების გაუმჯობესების შესაძლებლობად.

როინ მიგრიული

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე



ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის 10 თვის ანგარიში

2014 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით

I. სტატისტიკური მონაცემები

1.

2014 წლის 17 ნოემბრის მონაცემებით, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში რეგისტრირებულია **93 საჩივარი**. ანგარიშის შედეგის მომენტისათვის წინა წლებიდან გადმოცემული 97 საქმის გათვალისწინებით, **136 საქმეზე წარმოება დასრულებულია**. საქმეთა განხილვის მიზნით საპროცესო საქმეებზე ჩატარებულ სხდომათა რიცხვი შეადგენს – 144-ს, ხოლო განხილვის საქმეებზე ჩატარდა 61 სხდომა.

2.

2014 წლის განმავლობაში ეთიკის კომისიაში **საჩივრები წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტების მიერ:**

- ა) კლიენტების მიერ – 60 საჩივარი;
- ბ) სასამართლოების მიერ – 1 საჩივარი;
- გ) პროკურატურის მიერ – 1 საჩივარი;
- დ) ადვოკატების მიერ – 4 საჩივარი;
- ე) მოწინააღმდეგე მხარის მიერ – 14 საჩივარი;
- ვ) სხვა პირთა მიერ – 4 საჩივარი;
- ზ) ეთიკის კომისიის წევრთა მიერ – 1 საჩივარი.

3.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 44 პირის მოთხოვნა ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე და, შესაბამისად, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის გამო მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რაც შეადგენს დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 32%-ს. მოცემულ შემთხვევაში საჩივრები შეეხებოდა ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, სასამართლოში ქცევის წესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე პრეტენზიებს. თუმცა, საჩივართა შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა.

4.

30 საჩივართან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე (დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 22%). აქედან:

ა) 4 საჩივარზე წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის მიზეზით;

ბ) 10 საჩივარზე წარმოება შეწყდა იმ მიზეზით, რომ ადვოკატს შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრის სტატუსი;

გ) 5 საჩივარზე თავად საჩივრის ავტორებმა თქვეს უარი საჩივარზე, დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე;

დ) 11 საჩივარზე განმცხადებლებს უარი ეთქვათ საჩივრის განხილვაზე, რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: მხარეთა შორის არ დადასტურდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა; სადავო ქმედების დროს ადვოკატი არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. იყო შემთხვევა, როდესაც არსებობდა კომისიის გადწყვეტილება იმავე საკითხზე იმავე მხარეებს შორის.

5.

ეთიკის კომისიამ 22 საქმეზე **აღძრა დისციპლინური დევნა** და, შესაბამისად, ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 16%-ს შეადგენს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების დარღვევა:

ა) კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (9 შემთხვევა);

ბ) კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საქმის მსვლელობის თაობაზე (7 შემთხვევა);

გ) ნდობის პრინციპის დარღვევა (5 შემთხვევა);

დ) სასამართლოზე ქცევის წესების დაცვა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დაცვა (5 შემთხვევა);

ე) კლიენტის მითითებების შეუსრულებლობა (2 შემთხვევა);

ვ) კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დარღვევა (4 შემთხვევა);

ზ) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა (3 შემთხვევა);

თ) საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მომსახურებისთვის მიღებული თანხის გამოქვითვა (2 შემთხვევა);

ი) წინასწარი შეცნობით სასამართლოსთვის ყალბი მტკიცებულების მიწოდება (1 შემთხვევა);

კ) კოფიდენციალობის დაუცველობა (1 შემთხვევა);

ლ) კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (2 შემთხვევა).

6.

საანაგრიშო პერიოდის განმავლობაში განხილვის კოლეგიებმა 23 საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება **ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის** თაობაზე, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 16%-ს შეადგენს:

– 10 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი;

– 13 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

7.

დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ შესწავლის ეტაპზე, ეთიკის კომისიის მიერ 17 შემთხვევაში **ადვოკატი იქნა გამართლებული**, ვინაიდან არ დადასტურდა ადვოკატის მიერ და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტან-

დარტების დარღვევა. დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებები საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 12%-ს შეადგენს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიის ორი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ადვოკატებმა, რაც საქმეთა საერთო რაოდენობის გამამტყუნებელი გადაწყვეტილებების 10%-ს შეადგენს. სადისციპლინო პალატამ საჩივრები დაუშვებლად ცნო.

II. რეკომენდაციითა სტატისტიკური მონაცემები

2014 წლის 30 ოქტომბრის მონაცემებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წერილობითი სახით შემოსულია 33 შეკითხვა, ხოლო ცხელი ხაზის მეშვეობით – 40 შეკითხვა. წერილობითი ფორმით გაიცა 29 რეკომენდაცია, ხოლო ცხელი ხაზის მეშვეობით – 40 რეკომენდაცია. შეკითხვის მოთხოვნას 11 შემთხვევაში წარმოადგენდა მატერიალური ნორმის განმარტება, 6 შემთხვევაში – საპროცესო ნორმის განმარტება და 58 შემთხვევაში – ჰიპოთეტურ შემთხვევაზე პრაქტიკული განმარტება.

რეკომენდაციის მიღების მსურველ ადვოკატს 4 შემთხვევაში უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე. აქედან, 1 შემთხვევაში შეკითხვა უკავშირდებოდა ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებულ საქმეს, ხოლო 3 შემთხვევაში დასმული საკითხი არ შეეხებოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

III. დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი

2014 წლის განმავლობაში, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მიერ ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ეთიკის კომისიამ შემოიღო პრეს – სპიკერის ინსტიტუტი;
- ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში“ დაფინანსებით ეთიკის კომისიის პრეს – სპიკერებს ჩაუტარდათ ტრენინგები მედიასთან ურთიერთობების უნარ-ჩვევებზე;
- სასამართლოსა და პროკურატურაში ეთიკის კომისიის შესახებ ინფორმაციის განთავსების ორგანიზებისთვის ჩატარდა კვლევა;
- EWMI-JILEP მხარდაჭერით ეთიკის კომისიის აპარატს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩაუტარდა ტრენინგი მონაცემთა ბაზის დამუშავებაში, ანალიზსა და ვიზუალიზაციაში.

IV. 2014 წლის ბოლომდე დაგეგმილი აქტივობები:

- ეთიკის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის მოწყობა;
- ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობის დაგეგმვა „ადვოკატთა შესახებ“ კანონზე მომუშავე ჯგუფში;
- უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატთა საქმის განხილვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება;
- ეთიკის კომისიის დისციპლინური დებულების ცვლილებებზე სამუშაოების ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის წევრების არჩევის სისტემის გადახედვა (როტაციის პრინციპის განხილვა);
- ეთიკის კომისიის უფლებების კანონმდებლობით გარანტირების უზრუნველყოფისთვის მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
- ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარება;

- პერიოდულად სტატისტიკის ანალიზის წარმოების ფორმების შემუშავება;
- ასოციაციის მნიშვნელოვან შეხვედრებზე უცხოელი სპეციალისტების მოწვევის ორგანიზება;
- სარეკომენდაციო ფუნქციის პოპულარიზაციისათვის სამუშაოების ორგანიზება;
- პრაქტიკის განზოგადების კუთხით საერთო შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეებთან, პროკურორებთან;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით ეთიკის კომისიის წევრების უცხოეთში სასწავლო ვიზიტების ორგანიზება;
- წლის ბოლოს მედიისთვის და დიპლომატიური კორპუსისთვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება;
- უნივერსიტეტებში ეთიკის საგნის სავალდებულო სწავლების უზრუნველსაყოფად მოქმედებების დაგეგმვა;
- „ღია კარის“ დღის ორგანიზება ასოციაციაში – ექსკურსიები მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის;
- ზემოქმედების ღონისძიებების ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავება;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის განვითარებისათვის საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების ორგანიზება;
- წევრებისა და აპარატის დატრენინგება გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე და წერის მეთოდებზე;
- დისციპლინური წარმოების დახვეწა;
- ეთიკის კომისიის აპარატში საკადრო ბაზის სრულყოფა;
- ეთიკის კომისიის საქმიანობის ოპტიმიზაციის საკითხის გადახედვა;
- ეთიკის კომისიის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის სასწავლო ცენტრთან ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობების გეგმის ფორმირება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისთვის ფორმების მოფიქრება და განხორციელება;
- სასამართლო მონიტორინგის პროექტების ანგარიშების გაანალიზება;
- ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზის, მათ შორის გამოცემების გაკეთება;

V. 2015 წელს დაგეგმილი ღონისძიებები

ეთიკის კომისიის მიერ 2015 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი დამატებითი ღონისძიებების განხორციელება:

- კანონშემოქმედებით სტრუქტურებთან ურთიერთობების განვითარებისათვის მოქმედებების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ეთიკის კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებთან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე №025/13, 16.04.2014წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2013

საჩივრის ავტორი: კლიენტი

საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების მოვალეობა, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 04.12.2013

განხილვის კოლეგია: მეხუთე დისციპლინური კოლეგია

შედეგი: ადვოკატის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 16.04.2014

I. ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტმა მიუთითა, რომ ადვოკატმა აიღო ვალდებულება, საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები წარმოედგინა სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას არ გააცნო შესაგებლის შინაარსი და იგი მისი ოჯახის წევრების სახელითა და ყალბი ხელმოწერებით წარადგინა სასამართლოში.

საჩივრის ავტორისათვის შემდგომში გახდა ცნობილი, რომ ადვოკატს, გარდა შესაგებლისა, სასამართლოში, ასევე, შეუტანია შეგებებული სარჩელი,

რომლის შინაარსი ასევე უცნობი იყო საჩივრის ავტორისათვის.

II. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას გამოიყენა არაკანონიერი საშუალება და კლიენტთან შეუთანხმებლად წარადგინა სასამართლოში შეგებებული სარჩელი, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-



რე პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-ნ ნაწილი.

III. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი

3.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

ა) ადვოკატმა შეადგინა შესაგებელი, რომელიც საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 08 იანვრის თარიღით და რომელზეც საჩივრის ავტორის მამის ნაცვლად ადვოკატმა თავად მოაწერა ხელი, რასაც არ უარყოფს ადვოკატი.

3.2. ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

ა) ადვოკატს გააჩნდა შეგებებული სარჩელის შედგენის უფლებამოსილება, საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების მიერ გაცემული მინდობილობების საფუძველზე. მინდობილობების გაცემა დროში წინ უსწრებს შეგებებული სარჩელის წარდგენას, კერძოდ, მინდობილობები გაცემულია 2013 წლის 09 იან-

ვარს, ხოლო ადვოკატის მიერ შეგებებული სარჩელი წარდგენილია 2013 წლის 25 იანვარს.

ბ) შესაგებლის შინაარსი ცნობილი იყო საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრებისათვის. იმ ფაქტმა, რომ შესაგებელზე, საჩივრის ავტორის მამის გარდა, სამი ხელმოწერა შესრულებული იყო საჩივრის ავტორის მხრიდან, კომისიას შეუქმნა დასაბუთებული აზრი იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ შესაგებლის შინაარსი საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრებისათვის ცნობილი იყო თავად საჩივრის ავტორისაგან, მით უმეტეს, იმ ვითარებაში, როდესაც ოჯახის წევრები სასამართლოში თანამონაწილეები იყვნენ მოცემული საქმის წარმოებისას და წარმოადგენდნენ მოსარჩელეებს და ადვოკატთან ურთიერთობდნენ ოჯახის ერთ-ერთი წევრის მეშვეობით.

IV. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა დაიცვას კანონით განსაზღვრული

საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

ადვოკატს შესაგებელზე ხელმონერა კლიენტის მამის სახელით შესრულებული აქვს იმ დროს, როდესაც მასზე გაცემული არ იყო ამ პირის მინდობილობა და ასეთი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც კი ის ვალდებული იყო ხელმონერა შესრულებინა არა მარნმუნებლის სახელით, არამედ თავისი სახელით, როგორც მისი რწმუნებული პირის მიერ შესრულებული ხელმონერა. ამდენად, ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადვოკატის მხრიდან მარნმუნებლის სახელით 2013 წლის 08 იანვრის შესაგებელზე ხელმონერის შესრულების ფაქტი.

ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ეთიკის კომისიის პრაქტიკას, კერძოდ, 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #057/10 კომისიამ დაადგინა, რომ „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“ ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #010/10 დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე, განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით; კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განხორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84;

12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განხორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს, არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სხვა პირის ნაცვლად მათი სახელით ხელმონერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობის შემთხვევაშიც. ეთიკის კომისიამ 2013 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #106/12 განმარტა, რომ „ხელმონერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმონერის უფლება. სხვისი სახელით ხელმონერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმონერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომნერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს როგორც ხელმომნერი პირისათვის, ასევე, იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმონერა.“

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელითა და გვარით ხელმონერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას, მარნმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო სფეროში. ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედება, კლიენტთა ნაცვლად შესაგებელზე ხელმონერა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დეფინიციას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ტ ი ა

ადვოკატის მიერ კლიენტის გარეშე ინფორმაციის გაუღწერებასთან დაკავშირებით

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი
ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.09.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/14

შეკითხვა:

კლიენტს ადვოკატისათვის გარკვეული კონკრეტული ინფორმაციის გაცემა სპეციალურად არ აუკრძალავს, მაგრამ ადვოკატმა თავისი წყაროებით იცის, რომ კლიენტს ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ სურს (მაგალითად, კლიენტმა ადვოკატთან გასაუბრებისას ეს ინფორმაცია დამალა, ან სხვისგან გაიგო და ა.შ). სასამართლო პროცესზე ადვოკატმა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, გააუღწერა ეს ინფორმაცია, რამაც პროცესი კლიენტის სასარგებლოდ წარმართა. სწორად მოიქცა ადვოკატი?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი:

„საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა.“

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი:

„ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი:

„ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის ასახელებს «ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას» (ქვეპუნქტი «ზ»), ხოლო მე-5 მუხლი ადვოკატის ვალდებულებად ადგენს, დაიცვას ეს პრინციპი (ქვეპუნქტი «დ»). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით კონფიდენციალურობის პრინციპი, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულება, ადგენს: «ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით» (ნაწილი 1).

ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს ადგენს: «ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს».

კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვა, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, ემსახურება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის პრინციპს, რომელსაც ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ითვალისწინებს: «კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა».

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ კონფიდენციალურობის დაცვის დროში შეუზღუდავი ვალდებულება პირდაპირ ემსახურება კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს. წარმოდგენილი ჰიპოთეტური შეკითხვა ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც კლიენტს ადვოკატისათვის გარკვეული კონკრეტული ინფორმაციის გაცემა სპეციალურად არ აუკრძალავს, თუმცა, ადვოკატმა საკუთარი წყაროებით იცის, რომ კლიენტს არ სურს ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ეთიკის კოდექსი, როგორც კლიენტზე ორიენტირებული მოდელი, იცავს კლიენტის ინტერესების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ადვოკატისადმი კლიენტის ნდობას. თავის მხრივ, ადვოკატისადმი ნდობა იმ მოლოდინს ეფუძნება, რომ ადვოკატი, როგორც საკუთარი კლიენტის წარმომადგენელი და იურიდიული მრჩეველი, სწორედ მასთან შეთანხმებით, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით კლიენტთან სათანადო, გასაგებ ენაზე კომუნიკაციითა და ნებისმიერი ინფორმაციის დროულად მიწოდების შედეგად, დაგეგმავს საქმის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, მათ შორის, გარკვეული ინფორმაციის (მისი ნაწილის) თუნდაც კლიენტის ინტერესების სასიკეთოდ გამოყენების საკითხს.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე № 057/10, 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილებაში განმარტა: „ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მონობული კლიენტის მიერ.“

რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება, რომელიც კლიენტის საქმეს უკავშირდება. ეთიკური ვალდებულებები მაღალ

სტანდარტს ითხოვს ადვოკატისაგან და კონკრეტული ქმედების განხორციელებისას, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკური ვალდებულების შესრულება არ შეფასდება მხოლოდ ადვოკატის ქმედებით დამდგარი შედეგის მიხედვით.

ჰიპოთეტური შეკითხვის თანახმად, კლიენტთან შეუთანხმებელი ინფორმაციის გამოყენებამ, საბოლოოდ კლიენტის სასარგებლოდ წარმართა პროცესი, თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს ადვოკატის ეთიკური ვალდებულება. ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი, კლიენტთან შეუთანხმებლად გამოიყენა რამის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ამიტომ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის საფუძველზე მოქმედებად ვერ იქნება განხილული კლიენტის ნების გარეშე ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომლის გამოყენება არ სურს კლიენტს და ეს ადვოკატმა სხვა წყაროდან იცის. ეთიკის კოდექსი კონფიდენციალურობის ვალდებულების დადგენისას უთითებს, რომ კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა კლიენტისაგან უშუალოდ ან მის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიიღო.

რეკომენდაციის გაცემისას, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სხვა წყაროდან რაიმე ინფორმაციის შეტყობა, მათ შორის ისეთის, რომლის გამოყენებაც არ სურს კლიენტს, ადვოკატს ავალდებულებს, რომ ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისა (კონფიდენციალურობა) და მათ შორის არსებული განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, კლიენტს აცნობოს ამგვარი ინფორმაციის შეტყობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის (მისი ნაწილის) გამოყენების საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს კლიენტთან. ამ უკანასკნელისათვის ინფორმაციის სათანადოდ განმარტებისა და სამართლებრივი რისკების ადვოკატ-კლიენტის მიერ ერთობლივი შეფასების საფუძველზე, გადაწყვეტილებას მიიღებს კლიენტი. ნებისმიერი პროცესის კლიენტის სასარგებლოდ წარმართვა, უპირველესად, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ნიშნავს არა სამართლებრივად საუკეთესო გამოსავალს, არამედ კლიენტისათ-

ვის მისაღებ შედეგს, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სამართლებრივად საუკეთესო გადაწყვეტაც არ იყოს, თუმცა, თუ კანონიერების პრინციპს არ ეწინააღმდეგება, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესი გაითვალისწინოს.

რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისია უთითებს, რომ ადვოკატის კლიენტთან შეუთანხმებელი ქმედება არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესების სანინააღმდეგო ქმედებად განიხილება და კონკრეტული კლიენტის ინტერესებსა და კონფიდენციალურ ინფორმაციას უქმნის საფრთხეს, არამედ ზოგადად ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების უნდობლობის სანინდარიც შეიძლება გახდეს. ეთიკის კოდექსის პრეამბულა თითოეულ ადვოკატს, როგორც კორპორაციის წარმომადგენელს, აკისრებს პროფესიულ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას, საზოგადოების წინაშე იმგვარად განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, რომ ხელი შეუწყოს ნდობის მოპოვებას ადვოკატის საქმიანობისადმი და საზოგადოდ პროფესიისადმი.

დასკვნა:

ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირადად არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურებოდეს. ადვოკატმა ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია უპირველესად კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.



ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი



ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

1. 2014 წელს მიღწეული შედეგები

- ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, 2014 წელს, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ჩატარდა 372 საგანმანათლებლო ღონისძიება, 60 სხვადასხვა თემაზე;
- 3700-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მიმართულებით;
- 2200-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა სამოქალაქო სამართლის მიმართულებით;
- 1290-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა სისხლის სამართლის მიმართულებით;
- 810-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე;
- 580-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საკითხებზე;

- 440-მა ადვოკატმა კვალიფიკაცია აიმაღლა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განხრით;
- ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი მუდმივად თანამშრომლობს 62 ტრენერთან, რომელთა შემადგენლობიდან 52 მოქმედი ადვოკატია;
- 2014 წელს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია ადვოკატთა ელექტრონულ საკვალიფიკაციო გამოცდას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1150-მა აპლიკანტმა.

2. ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო

2.1. 2014 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო საბჭო ყოველ თვეს ატარებდა სხდომებს და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს აღმასრულებელი საბჭოსთვის წარსადგენად ქვემოთ მითითებულ საკითხებზე:

- ცვლილებები განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში;
- განგრძობადი იურიდიული განათლების 2014 წლის პოლიტიკა და მონიტორინგი;
- სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების აკრედიტაცია;

საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე განისაზღვრა სასწავლო ცენტრის 2014 წლის საქმიანობის მიმართულებები და პრიორიტეტები.

2.2. 2014 წლის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- ტრენინგების პროექტი „ეთიკა განგრძობად იურიდიულ განათლებაში“, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ექსპერტებისა და გამოცდილი ტრენერების რეკომენდაციის საფუძველზე, ყოველწლიურად, განახლებული მოდულით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სწავლებას, ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. პროექტი ხორციელდება 2012 წლიდან, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის, JILEP-ის (საქართველოში ახორციელებს East West Management Institute), თანადაფინანსებითა და ხელშეწყობით.
- ტრენინგების პროექტი „სამოქალაქო სამართლის მიმართულებით“, ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის, JILEP-ის თანადაფინანსებით (საქართველოში ახორციელებს East West Management Institute). პროექტის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, შეიქმნა ტრენერთა ჯგუფი, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ადვოკატებისთვის ტრენინგების ჩასატარებლად. ამავე პროექტის-

ვის, ადვოკატთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებზე. შემუშავდა 19 სასწავლო მოდული შემდეგ საკითხებზე:

- ა) ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში,
- ბ) არბიტრაჟი,
- გ) ბიზნეს ხელშეკრულებების დადება,
- დ) საერთაშორისო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება,
- ე) დელიქტური სამართალი,
- ვ) ვინდიკაციური და კონდიქციური სარჩელები,
- ზ) ინტელექტუალური საკუთრება,
- თ) იურიდიული დოკუმენტები,
- ი) მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება,
- კ) მოთხოვნის უზრუნველყოფა,
- ლ) მორალური ზიანი და უსაფუძვლო გამდიდრება,
- მ) სასაქონლო ნიშნები,
- ნ) ქონების რეგისტრაცია,
- ო) საერთაშორისო ხელშეკრულებები და საარბიტრაჟო საქმისწარმოება,
- პ) სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები,
- ჟ) ხელშეკრულებიდან გასვლა,
- რ) სამენარმეო სამართალი,
- ს) ვალდებულებითი სამართალი, იპოთეკა, იჯარა გირავნობა.

პროექტით გათვალისწინებული ტრენინგები ჩატარდა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

- ტრენინგების პროექტი „ადვოკატთა და ადამიანის უფლებების დამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენებისათვის“, რომელიც ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შორის ერთობლივი პროექტის დახმარებით, ითვალისწინებს 2013-2015წწ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ტრენინგების ორგანიზებას ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტრენინგთა ჯგუფი, შემუშავდა ტრენინგთა სასწავლო მოდული და ტრენინგის მონაწილეთა სასწავლო მასალა.

- „სისხლის სამართლის სისტემაში რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (Hulla & Co. Human Dynamics KG) ევროკავშირის პროექტის დახმარებით შეიქმნა ტრენინგთა ჯგუფი და შემუშავდა სასწავლო მოდულები. პროექტის ხელშეწყობით, 2014-2015 წწ. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს/გაუწევს ტრენინგებს შემდეგ თემებზე:

- ა) „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“,
- ბ) „მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში“,
- გ) „მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ“
- დ) „აღმკვეთი ღონისძიებები“.

ტრენინგები ტარდება ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

- ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ გაეროს ერთობლივი პროგრამის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2014-2015 წლებში, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს/გაუწევს ადვოკატთა ტრენინგებს

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საკითხებზე. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტრენინგთა ჯგუფი, შემუშავდა ტრენინგთა სასწავლო მოდული და ტრენინგის მონაწილეთა სასწავლო მასალა. ტრენინგები ტარდება ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. პროექტის ფარგლებში, იურიდიული კლინიკების ხელშეწყობისა და სტუდენტთა სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან.

- 2014 წლის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა, ABA ROLI-სთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუწია ტრენინგებს სისხლის სამართლის მიმართულებით შემდეგ საკითხებზე:

- ა) კრიმინალისტიკა,
- ბ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და შესაბამისი ინსტრუქციები,
- გ) პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა,
- დ) სამართლებრივი მართლწერა,
- ე) საპროცესო შეთანხმება და მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები,
- ვ) სასამართლო ექსპერტიზა – კრიმინალისტიკა,
- ზ) სასამართლო ფსიქიატრია და ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა,
- თ) სს საპროცესო კოდექსი,
- ი) შესავალი და დასკვნითი სიტყვა,
- კ) მტკიცებულებათა დასაშვებობა და გაცვლა სისხლის სამართლის პროცესში,
- ლ) მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში და მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ.

3. განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ჩატარებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

2014 წელს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ადვოკატებისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო ღონისძიებები შემდეგ:

- ადვოკატთა პროფესიული ეთიკა;
- ადამიანის უფლებათა დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, პირადი და ოჯახური ცხოვრების პარტივისცივის უფლებათა კონტექსტში;
- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადთა დასაშვებობის კრიტერიუმები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდა-სახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში;
- ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში;
- ადმინისტრაციული წარმოება;
- არბიტრაჟი;
- აღნაგობა, იპოთეკა, იჯარა;
- ბალისტიკა;
- ბიზნეს ხელშეკრულებების დადება და საერთაშორისო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება;
- გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;

- დელიქტური სამართალი;
- ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმები და საერთაშორისო სტანდარტები;
- ეთიკა არბიტრაჟში;
- ვალდებულებითი სამართალი;
- ვინდიკაციური და კონდიქციური სარჩელები;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- იურიდიული დოკუმენტების შედგენის პრაქტიკული საკითხები;
- კერძო და ადმინისტრაციული სამართლის ურთიერთმიმართება;
- კორპორაციული სამართალი;
- კრიმინალისტიკა;
- მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება;
- მოთხოვნის უზრუნველყოფა;
- მორალური ზიანი და უსაფუძვლო გამდიდრება;
- მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში;
- მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში;
- მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა;
- ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და ინსტრუქციები;
- ნივთმტკიცებები – მიკროსამყარო;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი რეჟიმი;
- პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა;
- პირველი ინსტანციით სამოქალაქო საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენება თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
- საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტში;
- საბანკო სამართალი;
- საგადასახადო სამართალი;
- საერთაშორისო ხელშეკრულებები და საარბიტრაჟო საქმისწარმოება;
- სამართალწარმოების პროცედურები და ადვოკატის ქცევის წესები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში;
- სამართლებრივი ადვოკატირება;
- სამართლებრივი მართლწერა;
- სამეწარმეო სამართალი;
- სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები;
- სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრობლემური საკითხები;
- საპროცესო შეთანხმება და მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები;
- სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა;
- სასამართლო ექსპერტიზა;
- სასამართლო ფსიქიატრია და ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა;
- სასაქონლო ნიშნები;
- საქმის ანალიზი;
- სახელშეკრულებო სამართალი;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი დებულებები/ტერმინთა განმარტება;
- ქონების რეგისტრაცია;
- შესავალი და დასკვნითი სიტყვა;
- შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში;
- შრომითი უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები და შიდა კანონმდებლობა;
- IP and Ecommerce;
- US/EU Privacy law.

4. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები

4.1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

2014 წელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ყველა მონაწილემ გამოცდა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ჩააბარა. ელექტრონული პროგრამა შექმნილია USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის დახმარებით, რომელსაც საქართველოში East West Management Institute ახორციელებს.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონული პროგრამა იძლევა ელექტრონული ფორმით აპლიკანტთა რეგისტრაციის, გამოც-

დის ჩაბარებისა და გასაჩივრების საშუალებას. გამოცდის მონაწილეებთან კომუნიკაცია ხორციელდება აპლიკანტთა ინდივიდუალურ პორტალებზე, ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნით. პროგრამის მეშვეობით აპლიკანტისთვის გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე.

2014 წლის პირველი გამოცდა ჩატარდა ივნისში, სადაც მონაწილეობა მიიღო 521-მა აპლიკანტმა და გამოცდა ჩააბარა 14%-მა. 2014 წლის მეორე გამოცდა ტარდება ნოემბერ/დეკემბერში, გამოცდაზე რეგისტრაცია გაიარა 629 აპლიკანტმა.

4.2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები

2012 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებს. მოსამზადებელი კურსი ითვალისწინებს გამოცდის თეორიული მასალის, უახლესი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ტესტის ამოხსნის მეთოდების შესწავლას. 2014 წელს სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია 2 მოსამზადებელ კურსს, გაზაფხულისა და შემოდგომის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის.

4.3. OLP – დისტანციური სწავლების პლატფორმა

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ABA ROLI-მ შექმნა განგრძობადი იურიდიული განათლების პირველი ინტერნეტ პროგრამა – ონლაინ სწავლების პლატფორმა (OLP) და შეიმუშავა არასტანდარტული ტიპის ტრენინგების მოდული, Skype და DVD ტრენინგები. OLP მოიცავს ვიდეო ტრენინგებს, სასწავლო მასალას, სხვადასხვა სახელმძღვანელოებსა და საკანონმდებლო მასალას. პროგრამის მეშვეობით ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველ დროსა და ადგილას აიმაღლონ

კვალიფიკაცია და დააგროვონ სავალდებულო კრედიტ-საათები. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ABA ROLI-სთან და ახორციელებს ონლაინ პლატფორმის პოპულარიზაციას. ონლაინ სწავლების პლატფორმით სარგებლობისთვის ადვოკატები უნდა ეწვიონ ვებ გვერდს olp.abarol.ge

5. მემორანდუმები

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, ტარდება ტრენინგები, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, სტუდენტები გადიან სტაჟირებას ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში, იგეგმება საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ერთობლივი პროგრამები და ხდება იურიდიული პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

6. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ვებ გვერდი edu.gba.ge

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ვებ გვერდზე edu.gba.ge მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო ღონისძიებების, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების, მოსამზადებელი კურსების, რეგულაციებისა და განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში მიმდინარე და სხვა სიახლეების შესახებ.

(+995 32) 2987878 / 555070786 /
555010605 / 555007708
education@gba.ge
sascavlocentri@gba.ge



სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმე: კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ
CASE OF CASADO COCA v. SPAIN
(Application no. 15450/89)
24 თებერვალი, 1994 წელი

ფაქტები

I. საქმის ბარემოეზები

6. ბატონი პაბლო კასადო კოკა, ეროვნებით ესპანელი, ცხოვრობს ვალდორეიტხში, ბარსელონის მახლობლად და ეწევა კერძო იურიდიულ პრაქტიკას ბარსელონაში.

7. მას შემდეგ, რაც მან 1979 წელს პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო, იგი რეგულარულად ათავსებდა სარეკლამო განცხადებას ბარსელონის რამდენიმე გაზეთისა და ესპანეთის გერმანული ჟურნალის „სხვადასხვა რეკლამებისათვის“ განკუთვნილ გვერდებზე. გარდა ამისა, მან პირდაპირ წერილობით შესთავაზა რამდენიმე კომპანიას თავისი მომსახურება.

8. ამასთან დაკავშირებით, ბარსელონის ადვოკატთა საბჭომ მის წინააღმდეგ ოთხჯერ წამოიწყო დისციპლინული პროცესი, რის შედეგადაც 1981-1982 წლებში მას დაუწესეს ჯარიმები, კონკრეტულად, ორი შენიშვნა და ორი გაფრთხილება. განმცხადებელმა შიდა აპელაცია წარადგინა ამ ჯარიმებთან დაკავშირებით, თუმცა მას არ მიუმართავს სათანადო იურისდიქციის სასამართლოსათვის. [...]

ბ. პროცესი სათანადო იურისდიქციის სასამართლოებში

12. ამის შემდეგ ბატონმა კასადო კოკამ მიმართა ბარსელონის ტერიტორიალურ სასამართლოს. კონკრეტულად,

ლაღ, იგი ამტკიცებდა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული განცხადების მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირება, ხოლო მის წინააღმდეგ გაფრთხილება არღვევდა კონსტიტუციის მე-20 მუხლს, რომელიც მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს. იგი, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ დარღვეული იყო პრინციპი, რომლის თანახმადაც, მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს სამართალდარღვევების ფაქტი და დაანესოს ჯარიმა, რადგანაც ის დებულება, რომელიც უკრძალავს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს რეკლამირებას და აწესებს დისციპლინურ ჯარიმებს, თავისი ბუნებით, მარეგულირებელ დებულებას წარმოადგენდა. 1987 წლის 11 მაისს სასამართლომ უარყო მისი განაცხადი იმ მოსაზრებით, რომ ზემოაღნიშნული განცხადება რეკლამირების საშუალება იყო და არა უბრალოდ ინფორმაციის შემცველი განცხადება. იგი განთავსებული იყო მანქანის ტარების შემსწავლელი კურსებისა და მოხუცებულთა სახლის მსგავსი განცხადებების გვერდზე და მნიშვნელოვანწილად სცდებოდა ადვოკატურის წესით დადგენილ ფარგლებს, რომლითაც დაშვებულია პრაქტიკის დაწყებისა და მისამართის შეცვლის შემთხვევაში განცხადების გაკეთება. ხოლო ამ კონკრეტული განმცხადებლის შემთხვევაში ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონდა.

13. 1988 წლის 23 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ უარყო ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონი კასადოს საჩივარი და, ამავე დროს, უარი განაცხადა საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში გადაცემაზე. კონკრეტულად, მან უარყო საჩივარი იმ პრინციპის უგულებელყოფის საფუძველზე, რომ მხოლოდ კანონი არის უფლებამოსი-

ლი დაადგინოს სამართალდარღვევები და დაანესოს ჯარიმა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა კონსტიტუციური სასამართლოს საპრეცედენტო სამართალს, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციის 36-ე მუხლი (იხ. პუნქტი 18 ქვემოთ) საშუალებას აძლევს კანონს პროფესიული ასოციაციების დებულებებით გათვალისწინებული იქნას პროფესიული პრაქტიკის წარმართვის შესაძლო წესები. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მე-20 მუხლი არ ითვალისწინებს რეკლამირებას, როგორც ძირითად უფლებას, რადგანაც რეკლამირება არ მოიცავს იდეების, აზრების ან მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლებას, იგი ინფორმაციას იძლევა მომგებიანი ბიზნესის საქმიანობის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის პროფესიული რეკლამირების აკრძალვას კანონიერი მიზანი ჰქონდა – იგი მიმართული იყო თავისუფალი კონკურენციის მხარდაჭერისა და კლიენტების ინტერესების დაცვისაკენ. ამგვარ გარემოებაში ზემოაღნიშნული უფლება შეზღუდვას ექვემდებარება.

გ. პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოებში

14. ამის შემდეგ განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ განკარგულების საფუძველზე ადმინისტრაციული ჯარიმების დაწესება ეწინააღმდეგება კონსტიტუციაში სამართალდარღვევისა და ჯარიმის კანონიერი განსაზღვრის პრინციპს, და იმის გამო, რომ განცხადებაში მხოლოდ რეალური ინფორმაცია – მისი სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი იყო წარმოდგენილი, დაწესებული ჯარიმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლს.

15. 1989 წლის 17 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ჯარიმის დაწესების ფაქტი არ არღვევდა სწორი ინფორმაციის გადაცემის ძირითად უფლებას. რეკლამის მიზანი დაკავშირებული იყო „კომერციული, სამრეწველო, ხელოსნობის ან პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან“; იგი გულისხმობდა „მოძრავ ან უძრავ ქონებასთან, მომსახურებასთან, უფლებებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული კონტრაქტების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელშეწყობას“. რაც შეეხება მე-20 მუხლის 1-ლ

პუნქტში მითითებულ უფლებას, იგი გულისხმობს, რომ მოქალაქეებს უნდა მიეცეთ საშუალება „თავისი შეხედულებები შეიქმნან სხვადასხვა ან თუნდაც დიამეტრულად საპირისპირო აზრების გაანალიზების საფუძველზე და ამგვარად მიიღონ მონაწილეობა საჯარო განხილვებში“. პროფესიული მომსახურების რეკლამირების აკრძალვა არ ლახავს ზემოხსენებულ ძირითად უფლებებს.

[...]

სამართლებრივი მხარე.

მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევა

32. 1983 წლის 6 აპრილს ბ-ნმა კასადო კოკამ საჩივარი შეიტანა ადგილობრივი გაზეთის რამდენიმე ნომერში თავისი პრაქტიკის შესახებ გამოქვეყნებული განცხადების გამო მასზე დაკისრებული დისციპლინარული სანქციის თაობაზე. ამ საჩივარში იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-10 მუხლს [...]

ა. მე-10 მუხლის შესაბამისობა

33. მთავრობა დავობს მე-10 მუხლთან აღნიშნული საქმის შესაბამისობაზე. მისი აზრით, განმცხადებლის განცხადება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს კომერციული ხასიათის ინფორმაციას, არამედ უბრალოდ რეკლამას. მან ამ განცხადებებში თანხა გადაიხადა ერთადერთი აშკარა მიზნით – რომ უზრუნველყო მეტი კლიენტის მოზიდვა. რეკლამა კი, როგორც ასეთი, არ ხვდება გამოხატვის თავისუფლების არეალში; იგი ემსახურება არა საზოგადო, არამედ კონკრეტული პირის/პირების ინტერესს. მე-10 მუხლის გარანტიების გამოყენება რეკლამის მიმართ გაუტოლდება მუხლის მოქმედების მასშტაბის შეცვლას.

34. განმცხადებლის თანახმად, მოცემულ განცხადებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია მართლაც საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი; და თუ იგი გამოიწვევდა კლიენტების მოზიდვას, ეს იმიტომ მოხდებოდა, რომ საზოგადოება ამ მომსახურებას ჩათვლიდა საჭიროდ და გამოსადეგად. მეტიც, რეკლამა ზოგადი კონცეფციაა, რომელიც რამდენიმე კატეგორიას მოიცავს, გამომდინარე წარმოდგენილი ინფორმაციის ან იდეების პოლიტიკური თუ კომერციული შინაარსიდან. გარდა ამისა,

ადამიანის უფლებების დაცვა არ ეხება მხოლოდ საზოგადოების ინტერესებს; იგი შესაძლოა პირად ინტერესებსაც ემსახურებოდეს.

35. პირველ რიგში, სასამართლო აცხადებს, რომ მუხლი 10 უზრუნველყოფს „ყველას“ გამოხატვის უფლებას. იგი არ არჩევს იმას, თუ რა მიზანს ემსახურება იგი – კომერციულს თუ არამომგებიანს [...], და ამ ორი სფეროსადმი განსხვავებულმა მიდგომამ შესაძლოა წინააღმდეგობაში მიგვიყვანოს მე-14 მუხლთან. 1985 წელს პროცესში – ბარტოლდი გერმანიის წინააღმდეგ [...], სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი, ხვდება თუ არა კომერციული რეკლამა მე-10 მუხლის გარანტიის არეალში, თუმცა შემდგომში საპრეცედენტო სამართალმა ამ საკითხში სიცხადე შეიტანა. მუხლი 10 არ შეეხება მხოლოდ გარკვეული ტიპის ინფორმაციას, იდეას ან გამოხატვის ფორმას [...], განსაკუთრებით კი პოლიტიკური ხასიათისას; იგი ასევე მოიცავს მხატვრულ გამოხატვას [...], კომერციული ბუნების ინფორმაციას [...] – როგორც კომისიამ სამართლიანად აღნიშნა, და ტელევიზიით გადაცემულ მსუბუქ მუსიკასა და რეკლამებსაც კი [...].

36. მოცემულ საქმეში სადავო განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ გადმოსცემენ განმცხადებლის სახელს, გვარს, მისამართს და ტელეფონის ნომერს. რა თქმა უნდა, მათი გამოქვეყნების მიზანი წმინდა რეკლამირება იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი აწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას იმ ადამიანებს, ვისაც ესაჭიროებოდა იურიდიული დახმარება, რის გამოც მათთვის უზრუნველყოფდა სამართლის ხელმისაწვდომობას.

37. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუხლი 10 შეესაბამება ამ საქმეს.

ბ. მე-10 მუხლის შესრულება

1. ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან

38. მთავრობამ განაცხადა, რომ თუ ჰქონდა კიდევაც ადგილი ჩარევას, იგი არ მოდიოდა „სახელმწიფო ხელისუფლების“ მხრიდან იმ მნიშვნელობით, როგორც ეს მე-10 მუხლში არის ნაგულისხმევი. ბარსელონის ადვოკატთა საბჭოს წერილობითი გაფრთხილება შესაძლოა

განხილული იყოს როგორც შიდა სანქცია, რომელიც კოლეგებმა დაუწესეს ბ-ნ კასადო კოკას. ესპანეთის სახელმწიფომ, სამეფო განკარგულებით, უბრალოდ მოახდინა რატიფიცირება ადვოკატთა მიერ შემუშავებული წესდებისა, რომლის 31-ე მუხლის თანახმადაც იკრძალება პროფესიული საქმიანობის რეკლამირება [...].

39. თუმცა, განმცხადებლისა და კომისიის მსგავსად, სასამართლომ განაცხადა, რომ 1974 წელს მიღებული პროფესიული ასოციაციების კანონის I ნაწილის თანახმად, ასოციაციები საჯარო სამართლის კორპორაციებს წარმოადგენენ [...]. ადვოკატთა ასოციაციის შემთხვევაში მათ ამგვარ სტატუსს კიდევ უფრო აძლიერებს მათი მიზანი, ემსახურონ საზოგადოებრივ ინტერესს თავისუფალი, ადეკვატური იურიდიული დახმარების განხორციელებით, პროფესიული პრაქტიკის საზოგადოებრივ ზედამხედველობითა და პროფესიული ეთიკის შესრულებით [...]. გარდა ამისა, სადავო გადაწყვეტილება მიღებული იყო ბარსელონის ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის განკუთვნილი დებულებების თანახმად, ხოლო ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მოხდა სათანადო იურისდიქციის სასამართლოში [...]. ყველა ამ სასამართლომ, ისევე როგორც კონსტიტუციურმა სასამართლომ, მხარი დაუჭირა ჯარიმის დანესებას [...]. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ეს სასამართლო სახელმწიფო დაწესებულებაა, საფუძვლიანი იქნება იმის მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო ხელისუფლების“ ჩარევას ბ-ნი კასადო კოკას მიერ ინფორმაციის გადაცემის თავისუფლების გამოყენების პროცესში.

2. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

40. ამგვარი ჩარევა ეწინააღმდეგება მე-10 მუხლს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი „კანონით არის განსაზღვრული“, აქვს მიზანი, რომელიც კანონიერია მე-10 მუხლის თანახმად და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ზემოთ მითითებული მიზნების მისაღწევად [...].

ა) „კანონით განსაზღვრული“

41. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ჯარიმა, რომელიც საჩივრის საგანი გახდა, მოკლებული იყო რეალურ

სამართლებრივ საფუძველს. 1974 წლის კანონი გაუქმდა და ძალა დაკარგა მას შემდეგ, რაც 1978 წლის კონსტიტუცია შევიდა ძალაში, რადგანაც ამ კონსტიტუციის თანახმად, გაუქმდა მანამდე მიღებული ყველა დებულება, რომელიც მას ეწინააღმდეგებოდა [...]. იმის გამო, რომ ესპანეთის ადვოკატთა ასოციაციის წესდება ამ კანონის თანახმად იყო მიღებული, მასაც მსგავსად შეეხებოდა კონსტიტუციის პირობები.

42. მთავრობისა და კომისიის პოზიცია ემთხვეოდა იმის თაობაზე, რომ დისციპლინარული ზომა ეფუძნებოდა ადვოკატთა ასოციაციის წევრების მიერ, ესპანეთის ადვოკატთა ასოციაციის წესდების 31-ე მუხლის თანახმად დაწესებულ, ასევე ბარსელონის ადვოკატთა ასოციაციის წესდების თანახმად და მისი საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულ აკრძალვას რეკლამაზე.

43. ადგილობრივი კანონი, პირველ რიგში, არსებობს ეროვნული ხელისუფლების, კონკრეტულად კი, სასამართლოების მიერ გამოყენებისა და ინტერპრეტირებისათვის [...]. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს საპრეცედენტო სამართალი გამოიყენა თავისი უფლებამოსილებისათვის, რათა უარეყო საფუძვლიანობა საჩივრისა, რომელიც ეფუძნებოდა იმ პრინციპის დარღვევას, რომლის თანახმადაც მხოლოდ კანონს შეუძლია დანაშაულის განსაზღვრა და ჯარიმის დაწესება[...]. აღნიშნული დებულების ფორმულირების თანახმად [...], ასევე მისი საპრეცედენტო სამართლიდან გამომდინარე, სასამართლომ ეს ინტერპრეტაცია საფუძვლიანად ჩათვალა. იგივე დამოკიდებულება ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს 1989 წლის 17 აპრილის კონსტიტუციის მე-20 მუხლის ინტერპრეტაციისადმი[...]. ანუ, ჩარევა „კანონით იყო განსაზღვრული“.

ბ) კანონიერი მიზანი

44. მთავრობამ და კომისიამ გადაწყვიტეს, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრების მიერ ადვოკატთათვის პროფესიული რეკლამის აკრძალვის მიზანს წარმოადგენდა „სხვების უფლებების დაცვა“. კონკრეტულად ეს ეხება საზოგადოებისა და ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრების უფლებებს. მთავრობამ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ რეკლამა ყოველთვის ითვლებოდა ამ პროფესიის

ღირსებასთან, ადვოკატთა ასოციაციის წევრების სათანადო პატივისცემასა და საზოგადოების ინტერესთან შეუთავსებლად.

45. განმცხადებლის აზრით, კომისიის თვალსაზრისი სასამართლიანია, თუკი რეკლამა არის შედარებითი ან უზუსტო. იგი (რეკლამა) არ უნდა ეხებოდეს ისეთ შემთხვევას, როცა განცხადება უბრალოდ ინფორმაციას გადმოსცემს პრაქტიკის შესახებ. სადავო აკრძალვამ შესაძლებელი გახადა სამუდამოდ დამყარებულიყო დისკრიმინაცია, ერთი მხრივ, ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს შორის, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან და, მეორე მხრივ, მათ შორის, ვინც მუშაობს დაქირავებულ თანამშრომლად, სამოქალაქო მოხელედ ან უნივერსიტეტის ლექტორად. იურისტთა პირველი ნაწილისათვის რეკლამა ერთადერთი საშუალება არის ხმა მიანდინონ პოტენციურ კლიენტებს, ხოლო დანარჩენებს კი თავისი მდგომარეობა აძლევთ საშუალებას, თავი გააცნონ საზოგადოებას. გარდა ამისა, აკრძალვა არ ეხებოდა საერთაშორისო არენაზე მომუშავე დიდ იურიდიულ საკონსულტაციო ფირმებს ან სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც ასევე იურიდიულ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს. აკრძალვა არავითარ შემთხვევაში არ ისახავდა მიზნად კერძო პრაქტიკოსების დაცვას, პირიქით, იგი იცავდა პროფესიის გარკვეული პრივილეგირებული წევრების ინტერესებს.

46. სასამართლოს არ გააჩნია რაიმე მიზეზი ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ადვოკატთა ასოციაციის ზემოხსენებული წესები შემუშავებული იყო საზოგადოების დაცვის მიზნით და, ამავე დროს, უზრუნველყოფდა ადვოკატთა ასოციაციის წევრების პატივისცემას. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების პროფესიის განსაკუთრებული ბუნება; გამომდინარე იქიდან, თუ რა ფუნქცია უკავიათ მათ სასამართლოში, ისინი სარგებლობენ მაცურებელის ექსკლუზიური უფლებებით და იურიდიული პროცესის იმუნიტეტით სასამართლოში პროცესების დროს მათ ზეპირ პრეზენტაციებთან მიმართებაში. თუმცა, ამავე დროს, მათი ქცევა უნდა იყოს კეთილგონიერი და ღირსებით აღსავსე. რეკლამირების აკრძალვა, ტრადიციულად, სწორედ ამ განსაკუთრებულ თვისებებთან მიმართებაში იყო გამართლებული. ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არაფერი მიუთითებს იმაზე,

რომ ადვოკატთა საბჭოს განზრახვა არ შეესაბამებოდა ამ კანონმდებლობის აღიარებულ მიზანს. მეტიც, ბ-ნი კასადო კოკას მიერ მითითებული ფაქტორები, პირველ რიგში, ეხება იმას, თუ როგორ იყო გამოყენებული მოცემული კანონმდებლობა და შეესაბამებოდა თუ არა დისციპლინარული ზომების საჭიროების შეფასებას.

გ) „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

47. განმცხადებელი ამტკიცებდა რომ აღნიშნული ჯარიმა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმის გამო, რომ იგი აწესებდა არაპროპორციულ ჩარევას მის უფლებაში, გადასცეს კომერციული ინფორმაცია, იმ უფლებაში, რომელსაც მას, ადვოკატთა ასოციაციის სხვა წევრებთან ერთად, ანიჭებს მე-10 მუხლი. მან დასძინა, რომ ამგვარი შეზღუდვა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი იგი ასახავდა თავისუფლად და დემოკრატიულად გამოხატულ სურვილს, შეეკავებინა თავი ამგვარი რეკლამირებისაგან, რაც ასე არ იყო ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

48. მთავრობამ მიიჩნია, რომ ესპანეთის ადვოკატთა ასოციაციის სადავო წესებს მართლაც ჰქონდათ ამგვარი თვისება. ისინი ასახავენ კონცეფციას, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრები, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სასამართლო მოხელეებს, რაც, თავისთავად, გამორიცხავს პროფესიული პრაქტიკის წარმართვის წმინდა კომერციულ საფუძველს. გარდა ამისა, 1982 წელს ისინი შეესაბამებოდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ზოგად საერთო პრაქტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მას შემდეგ შეინიშნება წესების შემსუბუქება. ნებისმიერ შემთხვევაში, ბ-ნი კასადო კოკასთვის დაწესებული ჯარიმა, თავისი ბუნებით, პირველი შემთხვევა იყო. პრაქტიკულად, ამით ბ-ნი კასადო კოკა დაჯარიმდა განმეორებადი რეკლამებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ მან მანამდე მიიღო რიგი გაფრთხილებებისა და შენიშვნებისა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან რამდენიმე გაზეთის „სხვადასხვა საკითხების“ განყოფილებაში მოათავსა და ასევე იმ პროსპექტისათვის, რომელიც მან კომპანიებს დაუგზავნა [...]. ამ ფაქტებიდან გამომდინარე და კომერციული ფორმულირების გამო, მთავრობა აფასებდა შესაბამისი ხელისუფლების საქმიანობას კონვენციით მინიჭებული თავისუფალი მოქმედების საზღვრებში.

49. კომისიის აზრით, ადვოკატთა ასოციაციის ყველა წევრისათვის ნებისმიერი სახის რეკლამის აკრძალვა არ შეესაბამება გამოხატვის თავისუფლებას, რაც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემის და მისგან გამომდინარე შედეგის, ასევე ინფორმაციის მიღების თავისუფლებას. განმცხადებლის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული იყო მხოლოდ ნეიტრალური ძირითადი ინფორმაცია (სახელი/გვარი, მისამართი, საქმიანობა და ტელეფონის ნომერი). იგი არ მოიცავდა ინფორმაციას, რომელიც იქნებოდა არასწორი, ან რომელიც შეურაცხყოფას მიაყენებდა მის კოლეგებს – ადვოკატთა ასოციაციის წევრებს. ამის გამო იგი უფლებამოსილი იყო გადაეცა ინფორმაცია ისევე, როგორც მისი კლიენტები იყვნენ უფლებამოსილნი მის მიღებაზე.

50. სასამართლოს საპრეცედენტო სამართლის თანახმად, კონვენციის წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან ჰქონდეთ გარკვეული საზღვრები ჩარევის აუცილებლობის შესაფასებლად, თუმცა ეს საზღვრები ექვემდებარება ზედამხედველობას ევროპის მხრიდან მასთან დაკავშირებულ წესებსა და გადანყვეტილებებთან დაკავშირებით [...]. ამგვარი საზღვრების დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ რთულ და ცვლად სფეროში, როგორც არის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. იგივე ეხება რეკლამას. ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, რამდენად გამართლებულია ეროვნულ დონეზე მიღებული ზომები [...].

51. მოქალაქეებისათვის რეკლამირება წარმოადგენს მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტების მახასიათებლების აღმოჩენის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ რეკლამა შესაძლოა აიკრძალოს, განსაკუთრებით კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ან არასწორი და მცდარი ინფორმაციის გავრცელების აღკვეთის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ობიექტური და მართებული რეკლამის აკრძალვაც, თუკი ეს მიზნად ისახავს სხვა პიროვნების უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფას ან რაიმე ბიზნესის საქმიანობის ან პროფესიის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე. თუმცა ყოველი ამგვარი აკრძალვა ყურადღებით უნდა იყოს შესწავლილი სასამართლოს მიერ, რომელმაც უნდა შეაფასოს კონკრეტულ რეკლამასთან მიმართებაში ამ განსაკუთრებული თვისებების საჭიროება. ჩვენს შემთხვევაში სასამართლომ სადავო

ჯარიმა უნდა შეაფასოს ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით [...].

52. მოცემულ საქმეში 1983 წლის 6 აპრილს ბ-ნმა კასადო კოკამ მიიღო წერილობითი გაფრთხილება ბარსელონის ადვოკატთა ასოციაციის საბჭოსაგან პროფესიული რეკლამირების აკრძალვის დარღვევის გამო [...]. დაეთანხმა რა ამ ჯარიმას, ადვოკატთა ეროვნულმა საბჭომ განაცხადა, რომ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული განცხადებები გასცდა ბარსელონის ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაწესებული შესაბამისი წესებით დაშვებულ საზღვრებს; ბარსელონის ტერიტორიულმა სასამართლომაც იმავე მოსაზრებების საფუძველზე დაუჭირა მხარი ჯარიმას [...]. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული წესები უშვებს რეკლამირებას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში – კონკრეტულად, პრაქტიკის დაწყების ან წევრობის, მისამართის ან ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში – და მხოლოდ გარკვეული პირობებით [...]. ამის გამო აკრძალვა არ იყო აბსოლუტური.

53. განმცხადებელმა და კომისიამ იკამათეს იმის გამო, რომ კომერციულ წამოწყებებს, როგორც არის, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიები, არ ეკრძალებათ იურიდიული კონსულტაციების რეკლამირება.

54. თუმცა, სასამართლოს თვალსაზრისით, ისინი ვერ შეედრებიან ადვოკატთა ასოციაციის კერძო პრაქტიკის მქონე წევრებს, რომელთაც თავისი განსაკუთრებული სტატუსი სასამართლოში სამართლის წარმართვის პროცესში ცენტრალურ როლს ანიჭებს, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამგვარი მდგომარეობა ხსნის ადვოკატთა ასოციაციის წევრების ქცევასთან დაკავშირებით დაწესებულ ჩვეულ შეზღუდვებს და ასევე ადვოკატთა საბჭოებისათვის მინიჭებულ საზედამხედველო და კონტროლის უფლებამოსილებას. მიუხედავად ამისა, პროფესიის მარეგულირებელი წესები, განსაკუთრებით კი, რეკლამირების განხრით, განსხვავდება ქვეყნებს შორის, გამომდინარე კულტურული თავისებურებიდან. მეტიც, კონვენციის მრავალ წევრ ქვეყანაში, მათ შორის ესპანეთშიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდა ტენდენცია შესაბამის საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად შეესუსტებინათ წესები. მთავრობამ, მაგალითად, მოიტანა ევროგაერთიანების იურისტთა ქცევის კოდექსი [...] და ევროპის

ადვოკატთა კონფერენციის გადაწყვეტილება [...]

რეკლამირების პრინციპის მხარდაჭერასთან ერთად ეს დოკუმენტები ადვოკატთა ასოციაციის წევრებს უფლებამოსილებას ანიჭებენ, გამოსატონ თავიანთი თვალსაზრისი მასმედით, გააცნონ თავისი თავი საზოგადოებას და მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში. ამ ინსტრუქციების თანახმად, კატალონიის ადვოკატთა საბჭოს მიერ მიღებული კანონი რეკლამაზე [...] მის წევრებს უფლებას აძლევს გამოსცენ პროსპექტები, სტატიები, მათ შორის პრესაშიც [...]. ამ კანონის შემდეგ მთავრობამ დაიწყო ახალი კანონპროექტის შესწავლა, რომელიც, ამ მხრივ, მეტ თავისუფლებას ითვალისწინებს.

55. წესების ფართო სპექტრი და ევროპის საბჭოს წევრების ცვლის განსხვავებული ტემპი მიუთითებს ამ საკითხის სირთულეზე. თავის წევრებთან მათი პირდაპირი, უწყვეტი კონტაქტის გამო ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელები და ქვეყნის სასამართლოები უკეთეს პოზიციაში არიან საერთაშორისო სასამართლოებთან შედარებით, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ინტერესების სწორ დაბალანსებას – კონკრეტულად, სამართლის მართებული ადმინისტრირების მოთხოვნა, პროფესიული ღირსება, ნებისმიერი პირის უფლება მიიღოს ინფორმაცია იურიდიული დახმარების შესახებ და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის მათი საქმიანობის რეკლამირების უფლების მიცემა.

56. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროცესის პერიოდში – 1982-83 წლები – შესაბამისი ხელისუფლების რეაქცია არ შეიძლება მიჩნეულიყო არასათანადოდ დასახულ მიზანთან მიმართებაში.

57. საბოლოოდ, მე-10 მუხლი არ ჩაითვალა დარღვეულად.

ამ მიზეზების გამო სასამართლო:

1. ერთხმად აცხადებს, რომ მე-10 მუხლი შეესაბამებოდა ამ საქმეს;
2. შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ იღებს გადაწყვეტილებას, რომ ადგილი არ ჰქონია დარღვევას. [...]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

მოკლე მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ“ მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჰქონდეს თავისუფალი შეფასების არეალი ისეთ კომერციულ საკითხებზე, როგორცაა რეკლამა.

ადვოკატი პაბლო კასადო კოკა რეგულარულად ათავსებდა საკუთარი საქმიანობის შესახებ სარეკლამო განცხადებებს სხვადასხვა გაზეთში. ამასთან დაკავშირებით ბარსელონის ადვოკატთა საბჭომ მის წინააღმდეგ ოთხჯერ წამოიწყო დისციპლინური პროცესი, შედეგად მან ორი შენიშვნა და ორი გაფრთხილება მიიღო. შიდა აპელაციისა და, აგრეთვე, სათანადო იურისდიქციის სასამართლოებში ადვოკატი ამტკიცებდა, რომ დისციპლინური ზომა მისი გამოხატვის თავისუფლებას არღვევდა, ხოლო ის დებულებები, რომლებიც ადვოკატს რეკლამირებას უკრძალავდა და დისციპლინურ ჯარიმებს აწესებდა, თავისი ბუნებით, მარეგულირებელი ხასიათისა იყო, და ამდენად, არღვევდა პრინციპს – მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს სამართალდარღვევების ფაქტი და დაანესოს ჯარიმა. პაბლო კასადო კოკამ ყველა ინსტანციაში წაგების შემდეგ, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოშიც შეიტანა. ადვოკატის საჩივარი არც საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლოს ინტერპრეტაციით, ჯარიმის დაწესების ფაქტი არ არღვევდა სწორი ინფორმაციის გადაცემის ძირითად უფლებას. რეკლამის მიზანი დაკავშირებული იყო „კომერციული, სამრეწველო, ხელოსნობის ან პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან“; იგი გულისხმობდა „მოძრავ ან უძრავ ქონებასთან, მომსახურებასთან, უფლებებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული კონტრაქტების პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელშეწყობას“.

კასადო კოკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივ გაზეთებში საკუთარი პრაქტიკის შესახებ გამოქვეყნებული განცხადების გამო დაკისრებული დისციპლინური სანქ-

ციები არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს – გამოხატვის თავისუფლებას. ესპანეთის სახელმწიფო აცხადებდა, რომ ჩარევა არ მოდიოდა „სახელმწიფო ხელისუფლების“ მხრიდან იმ მნიშვნელობით, როგორც ეს მე-10 მუხლში არის ნაგულისხმევი. ბარსელონის ადვოკატთა საბჭოს წერილობითი გაფრთხილება შესაძლოა განხილული იყოს როგორც შიდა სანქცია, რომელიც კოლეგებმა დაუწესეს ბატონ კოკას. ესპანეთის სახელმწიფომ კი უბრალოდ მოახდინა ადვოკატთა მიერ შემუშავებული ნუსდების რატიფიცირება, რომლის თანახმადაც, იკრძალებოდა პროფესიული საქმიანობის რეკლამირება.

სტრასბურგის სასამართლომ, პირველ რიგში, იმსჯელა იმაზე, იყო თუ არა შეზღუდვა კანონით განსაზღვრული და გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ დისციპლინური ზომა ეფუძნებოდა ადვოკატთა ასოციაციის წევრების მიერ დაწესებულ აკრძალვას რეკლამაზე. ადვოკატთა ასოციაციის წევრების მიერ ადვოკატთათვის პროფესიული რეკლამის აკრძალვის კანონიერ მიზანს კი წარმოადგენდა „სხვების უფლებების დაცვა“. იყო თუ არა აღნიშნული დისციპლინური სანქციის დაწესება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ ფართო დისკრეტია მისცა მთავრობას და განმარტა: „მოქალაქეებისათვის რეკლამირება წარმოადგენს მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტების მახასიათებლების აღმოჩენის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ რეკლამა შესაძლოა აიკრძალოს, განსაკუთრებით კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ან არასწორი და მცდარი ინფორმაციის გავრცელების აღკვეთის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ობიექტური და მართებული რეკლამის აკრძალვაც, თუკი ეს მიზნად ისახავს სხვა პიროვნების უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფას ან რაიმე ბიზნესის საქმიანობის ან პროფესიის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე“. ამდენად, სასამართლომ არ სცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება

კოლეგიის შემადგენლობა: ზაზა თავაძე (სხდომის თავმჯდომარე), ოთარ სიჭინავა (წევრი), ლალი ფაფიაშვილი (მომხსენებელი მოსამართლე), თამაზ ცაბუტაშვილი (წევრი).

საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელის წარმომადგენელი გიორგი გოცირიძე, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი თამარ მესხია.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის #558) მომართა საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაიამ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა 2013 წლის 26 ივნისს.

2. #558 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2013 წლის 5 ნოემბერს. 2013 წლის 5 ნოემბრის №2/8/558 საოქმო ჩანაწერით, #558 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღებული იქნა. საქმის არსებითი განხილვა გაიმართა 2014 წლის 3 თებერვალს.

3. #558 კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-

პუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება“. ამავე კოდექსის 212-ე მუხლით მოწესრიგებულია სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმა ადგენს, რომ აღნიშნული განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.

6. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თა-

ვის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

7. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის ერთ-ერთი საქმის განხილვაში, ადვოკატის სახით, მონაწილეობდა ილია ჭანტურაია. სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა ილია ჭანტურაიამ ჩაიდინა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადებაში. თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით და ადგილზე თათბირით მიიღო განკარგულება, რომლითაც ილია ჭანტურაიას დააკისრა ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. სადავო ნორმის – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება არ საჩივრდება.

8. მოსარჩელე ილია ჭანტურაიას მტკიცებით, სასამართლოს უფლებამოსილება, რასაც სადავო ნორმები განამტკიცებენ, გააძევოს, საქმეს ჩამოაცილოს ან/და დააჯარიმოს ადვოკატი მისი განმარტებების მოსმენის უფლების გარეშე, შეუთავსებელია როგორც სამართლიანი სასამართლოს, ისე დაცვის უფლებასთან. ამასთან, ყოველ ჯარიმას გააჩნია მსუსხავი ეფექტი დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებაზე და, ჯარიმის თავიდან ასაცილებლად, ადვოკატმა შესაძლოა თავი შეიკავოს ენერგიული დაცვისაგან.

9. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევის დადგენისას სასამართლო შეცდომის დაშვების შესაძლებლობა საკმაოდ მაღალია. საჭიროა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დამატებით შეფასება იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ იყო შემთხვევის თვითმხილველი და ნაკლებად შეიძლება იყოს დამცველის ემოციური ქმედების შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეული. ამიტომ, სასამართლო შეცდომისა და მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების გამოსარიცხად, აუცილებელია, ერთჯერადად მაინც, ადვოკატის გაძევებასა და დაჯარიმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, რასაც გამორიცხავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი დადგენილი რეგულირება.

10. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მოსარჩელე იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

11. მოპასუხე მხარემ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ცნო კონსტიტუციური სარჩელი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების აკრძალვას.

12. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმის ანალოგიური შინაარსის ნორმა მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, რომელიც 2013 წლის 4 ოქტომბერს შეიცვალა. ამჟამად, საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა ანალოგიური ცვლილებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსახორციელებლად.

13. მოპასუხე მხარემ ასევე მიუთითა, რომ ზოგადად გასაჩივრება ორ მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, ეს წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიაღწიონ პროცესის მათთვის საუკეთესო შედეგს. მეორე, გასაჩივრება ხელს უწყობს სამართლის ერთგვაროვან განმარტებას და ისეთი იდეალების დამკვიდრებას, როგორცაა მუდმივობა და სამართლიანობა. გადაწყვეტილების გასაჩივრების დაშვებას აქვს პრევენციული ეფექტი, რადგან მოსამართლეთათვის წარმოადგენს ძლიერ მოტივატორს იმისათვის, რომ იმუშაონ შეგნებულად და თავიდან აიცილონ შეცდომები თუ თვითნებობა. გასაჩივრების მექანიზმი მიბმულია სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელ ელემენტთან – დასაბუთებულ გადაწყვეტილებასთან.

14. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ აღნიშნა, რომ სასამართლოს უპატივცემულობისთვის დაჯარიმებისა და დარბაზიდან გაძევების შესახებ სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების აკრძალვის ლეგიტიმური საჯარო მიზანი პროცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგის და დადგენილი ეტიკეტის დაცვაა. გარდა ამისა, ნორმის ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა იყოს მიმდინარე პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდება და, შესაბამისად, მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ გამო-

ტანილი განკარგულება პირის სხდომიდან გაძევებას ეხება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-4 ნაწილი ისედაც ავალდებულებს მოსამართლეს, გადადოს პროცესი. შესაბამისად, მოპასუხე მხარე დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროცესიდან პირის გაძევება მოხდება, ადვოკატისთვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა ვერ გამართლდება პროცესის გაჭიანურების ლეგიტიმური ინტერესით.

15. მოსარჩელე მხარემ საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე დამატებით აღნიშნა, რომ ზეპირი მოსმენა, მოსამართლის მიერ განკარგულების გამოტანამდე, მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას აძლიერებს, რაც განკარგულების არგუმენტირებულობით იქნება გამოწვეული. გარდა ამისა, პირს, რომელსაც შეეხება განკარგულება, ექნება დასაბუთებული გადაწყვეტილება და ზედა ინსტანციაში მის კონკრეტულ ნაწილებზე შეეძლება მითითება.

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადი საქმის განხილვისას პირისთვის სხვა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემა გააჭიანურებს, ამასთანავე, არაეფექტურს გახდის სასამართლო პროცესს.

II. სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა ადგენს უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლის შინაარსი და ფარგლები განსაზღვრულია თავად კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

2. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. სწორედ (უფლების სასამართლოში დაცვის) აღნიშნული შესაძლებლობა წარმოადგენს კონკრე-

ტული უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს გარანტიას.

3. განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად წარმოადგენს სადავო ნორმით დადგენილი რეგულაცია ჩარევას სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებაში და რამდენად შეესაბამება იგი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ ძირითად უფლებას.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. სადავო ნორმის თანახმად, აღნიშნული განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.

5. პირის შესაძლებლობა, მის უფლებასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს საჯარო მოსმენით და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, ასევე, გაასაჩივროს მის უფლებასთან შემხებლობაში მყოფი აქტი, დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით. შესაბამისად, ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ახდენს პირის აღნიშნული შესაძლებლობების შეზღუდვას, წარმოადგენს ჩარევას სამართლიანი სასამართლოს უფლებაში. ამდენად, სადავო ნორმით ხდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევა.

6. მიუხედავად იმისა, რომ უფლებას სამართლიან სასამართლოზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება არ არის აბსოლუტური. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, სამართლიან სასამართლოზე უფლების შეზღუდვისას კანონმ-

დებელმა უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და კანონიერ მიზანს შორის.

7. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია, რამდენად არსებობს თანაზომიერება ლეგიტიმურ მიზნებსა და გამოყენებულ საშუალებას შორის და დაცულია თუ არა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები.

8. სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულირება ეხება იძულების განსხვავებულ ღონისძიებებს (დაჯარიმება, სხდომის დარბაზიდან გაძევება) და პირთა წრეს (პროცესის მონაწილე, სხდომაზე დამსწრე). შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის შეფასებისას ითვალისწინებს აღნიშნული ღონისძიებების ხასიათს, პირთა წრის განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობასა და სამართლებრივ ინტერესს.

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე, პროცესის მონაწილე და სხდომაზე დამსწრე განსხვავებული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ სუბიექტებს წარმოადგენენ. გაცილებით მაღალია პროცესის მონაწილეთა ინტერესი, დაცული იყვნენ უსაფუძვლო დაჯარიმების ან/და გაძევებისგან, ხოლო ასეთი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, გააჩნდეთ უფლების დაცვის საკმარისი პროცესუალური გარანტიები იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები და დაიცვან თავიანთი პოზიციები. სხდომაზე დამსწრე პირებს არ გააჩნიათ ამგვარი მომეტებული ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილისა და სხდომაზე დამსწრის მიმართ გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ განკარგულების მიღების წესი საჭიროებს განსხვავებულ შეფასებას.

10. სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ჩარევის ინტენსივობას. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის დაცვის შესაძლებლობაც არის შეზღუდული. ცხადია, შეფასების სტანდარტები განსხვავებული იქნება განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი ინტერესების შემთხვევაში.

11. 212-ე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება განუყოფელია სასამართლო ხელისუფლებისგან და გამომდინარეობს სასამართლოს უფლებამოსილებიდან, უზრუნველყოს სამართალწარმოების ჯეროვანი და მონესრიგებული მსვლელობა, დაიცვას სასამართლო ავტორიტეტი და უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა.

12. გაძევების ან/და დაჯარიმების გამოყენების მიზანია პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მხარეებს ექნებათ საკუთარი პოზიციების წარმოდგენის და დაცვის თანასწორი და ადეკვატური შესაძლებლობა, მონაწილეების და დამსწრე პირების მხრიდან სასამართლო განხილვისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება, სამართალდარღვევის მყისიერი აღკვეთა, მომავალში მსგავსი ქმედების პრევენცია და ინდივიდის დასჯა სამართალდარღვევისათვის.

13. სასამართლოში შეუფერებელი საქციელისთვის კანონმდებლის მიერ ჯარიმის დაწესებას, სხვა ფულადი „საქციისაგან“ განსხვავებით, არ აქვს მიზნად ე.წ. დაზარალებული მხარის კომპენსირება. მისი გამოყენება უკავშირდება პირისთვის გარკვეულ ქონებრივ (ფულად) დანაკარგებს, რაც პირის მიერ ჩადენილ ქმედებაზე სახელმწიფოს მხრიდან საკმარის და ადეკვატურ პასუხად მიიჩნევა. ჯარიმის მიზანია სამართალდარღვევის მყისიერი აღკვეთა, მისი პრევენცია და ინდივიდის დასჯა კონკრეტული ქმედებისთვის. ამგვარად, ჯარიმა დაწესებულია სასამართლოში გარკვეული წესებისადმი დამორჩილების მიზნით და შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლის პასუხად სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვაზე.

14. სხდომის დარბაზიდან პირის გაძევება პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვასა და თავად სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას ემსახურება. ის, პირველ რიგში, პრევენციული ხასიათის მატარებელია, თუმ-

ცა სადამსჯელო ბუნებაც გააჩნია, ვინაიდან პირს ართმევს სასამართლო სხდომაზე ყოფნის შესაძლებლობას.

15. გაძევება განსხვავებული სამართლებრივი შედეგების მატარებელია პროცესის მონაწილისათვის (მაგალითად, მოსარჩელე, მოპასუხე ან სხვა სუბიექტი) და დარბაზში მყოფი პირისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში გაძევებას სადამსჯელო ბუნება გააჩნია, დარბაზში მყოფი პირის მიმართ მისი გამოყენების შემთხვევაში, მას ართმევს მხოლოდ სასამართლო პროცესზე დასწრების შესაძლებლობას, ხოლო პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებისას – საქმის განხილვაში მონაწილეობის, არგუმენტების წარდგენისა და საკუთარი პოზიციის პირადად დაცვის შესაძლებლობასაც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარის ინტერესებს სასამართლო პროცესზე იცავს წარმომადგენელი/წარმომადგენლები, საკუთარი პოზიციის დაცვის უფლება, პირველ რიგში, მარწმუნებელს ეკუთვნის, რომელსაც შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მოახდინოს მისი წარმომადგენლების საქმიანობის კორექტირება ან/და მონიტორინგი. გაძევების შემთხვევაში პირი ამ შესაძლებლობას მოკლებულია, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქმის განხილვისას მისი ინტერესების ჯეროვნად წარმოდგენაზე ან/და დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებაზე.

16. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა უკავშირდება ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურებსა და მისი გასაჩივრების უფლებას, შეფასების სტანდარტები მკაცრია. პირს, რომელსაც სახელმწიფო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობას აკისრებს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულად ისარგებლოს საქმის სამართლიანი განხილვის პროცედურული გარანტიებითა და გასაჩივრების უფლებით. ამასთანავე, სხვადასხვა სიმძიმის პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართ, შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული პროცედურული გარანტიები. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, პირის უფლებრივი მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების მინიმალურ სტანდარტებს.

17. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ სახეზეა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა, რომელიც უკავშირდება კონკრეტული სამართალდარღვევის (სასამართლოსადმი უპატივცემულობა, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ან სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევა) ჩადენის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებას ფულადი ჯარიმის გადახდევინების ან/და სხდომიდან გაძევების სახით.

18. თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვის-ტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

19. მოცემულ შემთხვევაშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით აფასებს, დაცულია თუ არა ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

20. ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დადგინდეს ის ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომლის მიღწევასაც უკავშირდება შეზღუდვა. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.

21. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიზანია, პროცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგის და დადგენილი ეტიკეტის დაცვა.

22. მოპასუხის წარმომადგენელმა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ ზეპირი მოსმენისა და გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობა გა-

აჭიანურებს ძირითად პროცესს. მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული უფლებების შეზღუდვა მართლმსაჯულების შეუფერხებელ განხორციელებას ემსახურება.

23. სასამართლო დარბაზში მყოფ პირთა უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს ისეთი მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი. მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, სასამართლოს ავტორიტეტის დაუსაბუთებელი და უხამსი ბრალდებებისაგან დასაცავად და პროცესის ჯეროვანი მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში, მოსამართლის მიერ პირის მიმართ კონკრეტული სანქციის დაკისრება სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიც არის მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება, პროცესის მიმდინარეობისას წესრიგის, პროცესის მონაწილეთა ღირსებისა და დადგენილი ეტიკეტის დაცვა.

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება – შეზღუდვა გაუმართლებელია. მხოლოდ ასეთი კავშირის არსებობის შემთხვევაში გადადის სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასების შემდეგ საფეხურზე: დაცულია თუ არა პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44). ამგვარად, შეზღუდვა რომ თანაზომიერად და შესაბამისად, კონსტიტუციურად ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი დასახულ ლეგიტიმურ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის.

26. როგორც აღინიშნა, მოპასუხის მიერ დასახელებულ პირველ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგისა და დადგენილი ეტიკეტის დაცვა.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული განკარგულების ზეპირი მოსმენით მიღება და გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ შექმნის დაბრკოლებებს პროცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგისა და დადგენილი ეტიკეტის დაცვისათვის. განსახილველ შემთხვევაში პირისათვის პროცესუალური დაცვის შესაძლებლობების მინიჭება უარყოფითად ვერ აისახება პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების ეფექტური დაცვის შესაძლებლობაზე.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული მოსარჩელის უფლების შეზღუდვა, არ არის ლოგიკური კავშირი პროცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგისა და დადგენილი ეტიკეტის დაცვის ლეგიტიმურ მიზნებთან.

29. მოპასუხის მიერ ლეგიტიმურ მიზნად ასევე დასახელებულია მიმდინარე სასამართლო პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება და მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება. აღნიშნულ მიზნებთან მიმართებით სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის თანაზომიერების საკითხი, სხდომის დამსწრის და პროცესის მონაწილის დაჯარიმებასა და გაძევებასთან მიმართებით, მათი სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეფასდება ცალ-ცალკე.

30. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პროცესის მონაწილის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების, ასევე სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების შემთხვევაში სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა გამოსადეგია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. კერძოდ, ზეპირი მოსმენის გარეშე განკარგულების მიღება, ნაკლებ დროს მოითხოვს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს სხდომაზე წესრიგის დარღვე-

ვის შემთხვევაში სასამართლო პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებას. ცხადია, პროცედურის სიმარტივე განაპირობებს მართლმსაჯულების სისწრაფესა და ეფექტურობას.

31. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსაღებ, არამედ ყველაზე ნაკლებად მზლუდველ, თანაზომიერ საშუალებასაც. „ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბლაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-29).

32. სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად სწორად არის შერჩეული პირის უფლების შემზღუდველი ღონისძიება და ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ალტერნატიული, ნაკლებად მზლუდველი ღონისძიების გამოყენებით.

განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე გამოტანა

33. სადავო ნორმა მართლმსაჯულების გაუმართლებელი გაჭიანურებისა და არაეფექტურობისაგან დაცვას უზრუნველყოფს პირისათვის პროცედურული უფლების (ზეპირი მოსმენის) შეზღუდვის ხარჯზე.

34. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, საქმის ზეპირი მოსმენა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. იგი აძლევს პირს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოთქვას მოსაზრებები.

35. საქმის ზეპირი განხილვა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მხარეებს უკეთ დაასაბუთონ საკუთარი კანონიერი

მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მოსამართლეს, საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე, გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

36. სასამართლოს განკარგულებაში მკაფიოდ, ნათლად და ამომწურავად უნდა იყოს ჩამოყალიბებული პირის მიმართ გაძევების ან/და დაჯარიმების გამოყენების მიზეზები და ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, რისი განხორციელებაც ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

37. იმავდროულად, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ხელს უწყობს გასაჩივრების უფლების სრულყოფილად გამოყენებას, საშუალებას აძლევს ზემდგომ სასამართლოს განახორციელოს გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმება და წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან თვითნებობისაგან დაცვის ქმედით მექანიზმს.

38. გასათვალისწინებელია პროცესის მონაწილეთა ის ინტერესიც, რომლის შეზღუდვისკენაც არის მიმართული სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიება. კერძოდ, სხდომის დარბაზიდან გაძევებასა და დაჯარიმებასთან დაკავშირებით პროცესის მონაწილის მიმართ მიღებული განკარგულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნული სუბიექტების უფლებრივ მდგომარეობაზე. ამგვარი განკარგულების ზეპირი მოსმენისა და გასაჩივრების უფლების შეზღუდვა უარყოფითად აისახება აღნიშნულ პირთა უფლებაზე, დაესწრონ ძირითადი პროცესის განხილვას და დაიცვან საკუთარი ინტერესები. ამასთანავე, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით, პროცესის მონაწილეებმა შესაძლებელია თავი შეიკავონ ამა თუ იმ მოსაზრების გამოთქმისაგან. შესაბამისად, სადავო რეგულაცია გარკვეულწილად აფერხებს მხარეთა მიერ საქმის განხილვისას საკუთარი მოსაზრებებისა და პოზიციების წარმოჩენას, რაც ხაზს უსვამს სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის მაღალ ინტენსივობას.

39. სადავო ნორმით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უპატივცემულობის ცნება კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, უპატივცემულობად შესაძლებელია

აღქმული იქნეს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე უნებლიე ქცევა, დაცვის ტაქტიკა და სხვა. რიგ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, სად მთავრდება წარმომადგენლის დაცვის სტილი და ტაქტიკა, და სად იწყება სასამართლოსადმი უპატივცემულობა. მაგალითად, ისეთი ხატოვანი ან/და ემოციური ხასიათის გამონათქვამები და შესტიკულაცია, რაც მიზნად ისახავს პროცესის მონაწილეთა ყურადღების მიპყრობას წარმოდგენილ არგუმენტებსა და მხარის პოზიციასზე.

40. ბუნებრივია, შეუძლებელია კანონმდებლობით სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევების ცალსახა და ამომწურავად რეგლამენტაცია. შესაბამისად, საკითხი უპატივცემულობის ფაქტის არსებობის შესახებ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, საკმაოდ დიდია მოსამართლის მხრიდან ცალკეული გარემოებების ინტერპრეტაციის და შეფასების ზღვარი, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, არ გამოიციხავს ერთი და იმავე ფაქტის განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობას (სხვადასხვა მოსამართლის მიერ). სწორედ ამიტომ, პირს უნდა ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობა.

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება ხელს უწყობს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, აძლიერებს მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას და ამცირებს გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საფუძვლების დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის არსებობას/არსებობის აღბათობას.

42. ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გართობის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „jura novit curia“ („სასამართლომ იცის კანონი“) და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდ-

გომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე – აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას.

43. განსახილველი დავის ფარგლებში სადავო ნორმა ითვალისწინებს ზეპირი მოსმენის შეზღუდვას, სასამართლოს უპატივცემულობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში. გარკვეული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება დაკავშირებულია ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევასთან. ამგვარად, განსახილველ შემთხვევაში ზეპირი მოსმენის უფლება შეეხება ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებულ წარმოებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მომეტებულად უნდა იქნეს დაცული პირის ინტერესი, ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები.

44. უფლება ზეპირ მოსმენაზე მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ პროცედურულ გარანტიათა ერთობლიობას. სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია სრულად გამოიციხავს პირის მიერ ზეპირი მოსმენის უფლების ყველა კომპონენტის რეალიზაციას, მათ შორის, პირის უფლებას, წარმოადგინოს მოსაზრებები მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პროცესში პირი აღჭურვილი უნდა იყოს, სულ მცირე, საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლებით.

45. კანონმდებელს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს უფლების უფრო ნაკლებად მზღუდველი საშუალებები, რომლებიც, ერთი მხრივ, პირს შესაძლებლობას მიაჩივებს, სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ხოლო,

მეორე მხრივ, მოახდენს სასამართლო პროცესის გაჭიანურების პრევენციას. მაგალითად, კანონმდებელს შეეძლო, პირის გაძევება/დაჯარიმება მოეხდინა ალტერნატიული სასამართლო პროცესის საფუძველზე ან გამოეყოს პირისთვის გონივრული დრო გამოსაყენებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრების წარმოსადგენად, რაც უზრუნველყოფს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას.

46. მართალია, ალტერნატიული და დამატებითი პროცედურების შემუშავება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარკვეულ ხარჯებთან, სასამართლოს ადმინისტრაციული რესურსის გადატვირთვასთან, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, „ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები, რასაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გასაჩივრების შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის საფუძველი (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/6/264 საქმეზე „შპს „უნივერსის“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში, სასამართლოს ადმინისტრაციული რესურსის დაზოგვა ვერ გამოდგება პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის საპირწონედ.

47. შესაბამისად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს პროცესის მონაწილის დაჯარიმების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.

48. როგორც აღინიშნა, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეფასების სტანდარტები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია იმ უფლებასა თუ ინტერესთან, რომლის დასაცავადაც მიმართავს პირი სასამართლოს. განსახილველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სხდომაზე დამსწრე პირთან მიმართებით სახეზეა მისი ინტერესი – დაესწროს ამა თუ იმ საჯარო სასამართლო განხილვას. ხაზგასმით უნდა აღი-

ნიშნოს, რომ ხსენებული ინტერესი ბევრად ნაკლებია უშუალოდ პროცესის მონაწილეთა ზემოთ მითითებულ სამართლებრივ ინტერესებთან შედარებით. შესაბამისად, უფრო დაბალია ამ ინტერესის დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები.

49. სხდომის დარბაზში მყოფთა მიმართ გაძევების გამოყენება, მართალია, წარმოადგენს პირის უფლების შეზღუდვას, თუმცა ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მართლმსაჯულების ადმინისტრირების და პროცესის მონაწილეთა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით უზრუნველყოფის საჯარო ინტერესს ენიჭება. სასამართლოს მხრიდან გაძევების გამოყენებამდე გაფრხილება/შენიშვნის მიცემა დამსწრე პირისათვის საკმარისი გამაფრთხილებელი ეფექტის მატარებელია და პირს ანიჭებს თავისი ქმედების კორექტირების და გაძევების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

50. ამასთანავე, სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა, როგორც წესი, მნიშვნელოვნად აღემატება პროცესის მონაწილეთა რაოდენობას და თითოეული დამსწრის გაძევების შემთხვევაში გარკვეული პროცედურების დაწესება და თითოეული დამსწრის ზეპირი მოსმენა მნიშვნელოვნად შეაფერხებდა და გააჭიანურებდა ძირითად პროცესს. ამ შემთხვევაში უფლების ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების გამოყენებით, ვერ იქნებოდა მიღწეული დასახელებული ლეგიტიმური მიზანი.

51. შესაბამისად, სადავო ნორმის ამ ნაწილში, კანონმდებლის მიერ გამოყენებული პირის უფლების მზღუდველი საშუალება, სხდომაზე დამსწრის გაძევების შესახებ განკარგულება, გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე, მიემართება ლეგიტიმურ საჯარო მიზნებს – ძირითადი პროცესის გაჭიანურებისა და შეფერხების თავიდან აცილებას და წარმოადგენს აღნიშნული მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებას.

სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების აკრძალვა

52. როგორც აღინიშნა, უფლების შეზღუდვის თანაზომიერად და შესაბამისად, კონსტიტუციურად მიჩნევისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რამდენად სწორად არის შერჩეული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის

საშუალება და ნაკლებად მზლუდავი ღონისძიების გამოყენებით აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

53. მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა მდგომარეობს სხდომის დარბაზიდან პირის გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ განკარგულების გასაჩივრების დაუშვებლობაში. მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ძირითადი პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილება, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება.

54. სამართლიანი სასამართლოს უფლება უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიად ამ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას თვლის. უფლების დაცვის მიზნით, სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის არსებობის გარეშე, თავად უფლებით სარგებლობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. „შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს თავად იმ უფლების უგულებელყოფის საფრთხეს, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება #1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14).

55. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების მექანიზმს და მოსამართლეს უბიძგებს, თავიდან აიცილოს შესაძლო შეცდომები, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

56. გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ სასამართლოს განკარგულებაზე არ დაიშვება არც კერძო საჩივრის შეტანა და არც მისი გასაჩივრება, საქმეზე გა-

მოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზემდგომ ინსტანციებში სასამართლოს განხილვის საგანი შესაძლებელია იყოს აგრეთვე სასამართლოს განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს გადაწყვეტილების ან/და, შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. სადავო ნორმა აწესებს რა სასამართლოსადმი უპატივცემულობის შემთხვევაში მოსამართლის მიერ განკარგულების და არა განჩინების გამოტანას და გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების პირდაპირ აკრძალვას, გამორიცხავს კანონმდებლობის ნებისმიერ ფართო, იმგვარ განმარტებას, რაც პირს შესაძლებლობას მისცემდა, მოეთხოვა აღნიშნული განკარგულების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვა.

57. სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია სრულად გამორიცხავს პირის მიერ გასაჩივრების უფლებით სარგებლობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის, რომლის მიმართაც ადგილი აქვს სახელმწიფო იძულების ელემენტების მატარებელი ზომების გატარებას, სამართალწარმოებაში ამ პირის სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად.

პირს, რომელსაც სახელმწიფო აკისრებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის, უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. რეგულაცია, რომელიც სასამართლოსადმი მიმართვის ყველა საშუალებას გამორიცხავს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების არსს და ვერ იქნება გამართლებული ლეგიტიმური საჯარო მიზნით.

58. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევაც კი, როგორცაა სასამართლო ინსტიტუტებისადმი პატივისცემა და მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელება, პრო-

ცესის მონაწილეთა ღირსების, წესრიგისა და დადგენილი ეთიკის დაცვა არ უნდა განხორციელდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლების შელახვის ხარჯზე. სამართალწარმოება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილებას, გაასამართლოს პირი, მათ შორის სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე, არათანაზომიერად ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

59. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში პირის გაძევების/დაჯარიმების განკარგულების გასაჩივრების უფლება ვერ გამოიწვევს საქმეზე ძირითადი პროცესის გაჭიანურებას, ვერ შექმნის დაბრკოლებას სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. გასაჩივრების შემთხვევაში, განკარგულების კანონიერების ან/და დასაბუთებულობის გადამოწმება უნდა განხორციელდეს ცალკე სასამართლო წარმოების ფარგლებში. ამდენად, პირისათვის პროცესუალური დაცვის შესაძლებლობების მინიჭება უარყოფითად ვერ აისახება თავად გამოყენებული ღონისძიების მიზნებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება პროცესის მონაწილისა და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარღვიდან გაძევების შესახებ განკარგულების გასაჩივრების დაუშვებლობას, ლოგიკურად არ უკავშირდება არც მოპასუხის მიერ მიითებულ ლეგიტიმურ მიზნებს.

60. პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილით სახდელდადებული პირებისათვის დაჯარიმების ან/და გაძევების გამოყენების შესახებ სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების აკრძალვა არათანაზომიერად ზღუდავს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას და არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

III. სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7, მე-8 პუნქტების, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს :

1. დაკმაყოფილდეს #558 კონსტიტუციური სარჩელი (საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი, გარდა იმ ნორმატიული შინაარსისა, რომელიც შეეხება სხდომაზე დამსწრის გაძევების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებას.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
6. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 15 დღის ვადაში.

საექსპერტო შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის
27 თებერვლის #2/2/558 გადაწყვეტილებაზე

მოცემული გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში ტექსტში-სსსკ) 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი, გარდა იმ ნორმატიული შინაარსისა, რომელიც შეეხება სხდომაზე დამსწრის გაძევების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებას.

დასაწყისში ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესრიგებს სასამართლო პროცესს. ამ მიზნით, პროცესის მონაწილე პირებს (მათში მოაზრება მხარეები, მე-სამე პირები, დამხმარე პირები) კანონი უფლებებსაც ანიჭებს და შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულ ვალდებულებებსაც აკისრებს. მათ შორის მოიაზრება სათანადო წესრიგის დაცვის ვალდებულებაც. პროცესის მონაწილეთა და მათ წარმომადგენელთა გარდა, ამგვარი ვალდებულება სხდომის დარბაზში დამსწრე ნებისმიერ პირსაც ეკისრება, ხოლო სხდომის თავმჯდომარეს, რომლის განკარგულებებიც სავალდებულოა პროცესის მონაწილე და ასევე პროცესში არამონაწილე, მაგრამ სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ნებისმიერი პირისათვის, მინიჭებული აქვს წესრიგის უზრუნველყოფის უფლებამოსილება (სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 211-ე მუხლი).

სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულია სასამართლო დარბაზში წესრიგის დამრღვევის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება ან დაჯარიმება, თუნდაც ეს იყოს პროცესის მონაწილე ან მისი წარმომადგენელი, როგორც იმ დამრღვევზე ზემოქმედების ერთ-ერთი ღონისძიება, ვინც არ ემორჩილება თავმჯდომარის განკარგულებებს, მიზნად ისახავს წესრიგის უზრუნველყოფას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებით აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია. გაძევებისა და დაჯარიმების შესაძლებლობას სსსკ-ის 212-ე მუხლი განამტკიცებს მხოლოდ და მხოლოდ ზემოქმედების უკიდურესი ღონისძიების სახით. შესაბამისად, მოცემული ნორმა არ იძლევა პროცესის მონაწილეთათვის საპროცესო უფლებების რაიმე სახით თვითნებური, დაუსაბუთებელი ჩამორთმევის შესაძლებლობას, არ ღებავს პროცესის მონაწილის უფლებას დაიცვას თავისი უფლებები სასამართლო წესით, არ ირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლება, არამედ მარტოოდენ გამოირიცხება პროცესის მონაწილის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

სსსკ-ის 212-ე მუხლის მიზანია, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა.

ფა, სამოქალაქო პროცესში მონაწილე ნებისმიერი დაინტერესებული პირის უფლების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სასამართლო სხდომაზე დადგენილი წესრიგის დარღვევის აღკვეთა სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა მხრიდან. ამრიგად, თავისთავად მოცემული ნორმა არ შეიძლება არღვევდეს კონსტიტუციურ უფლებებს.

კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტები სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილის კონსტიტუციის 42-ე მუხლთან წინააღმდეგობაში მყოფად მიჩნევისას ეფუძნება შემდეგი ძირითად მოტივებს: „გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ სასამართლოს განკარგულებაზე არ დაიშვება არც კერძო საჩივრის შეტანა და არც მისი გასაჩივრება საქმეზე გამოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. კერძოდ, სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზემდგომ ინსტანციებში სასამართლოს განხილვის საგანი შესაძლებელია იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან/და შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. სადავო ნორმა აწესებს რა სასამართლოსადმი უპატივცემულობის შემთხვევაში მოსამართლის მიერ განკარგულების და არა განჩინების გამოტანას და გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების პირდაპირ აკრძალვას, გამორიცხავს კანონმდებლობის ნებისმიერ ფართო, იმგვარ განმარტებას, რაც პირს შესაძლებლობას მისცემდა, მოეთხოვა აღნიშნული განკარგულების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვა. სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია სრულად გამორიცხავს პირის მიერ გასაჩივრების უფლებით სარგებლობას“ (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების 56-ე და 57-ე პუნქტები).

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნები არ გამომდინარეობს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკისა და

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმათა ანალიზის შედეგად. მართალია, საერთო სასამართლოთა პრაქტიკაში ხშირად აღრეულა ტერმინოლოგია და სასამართლოთა ნაწილს სსსკ-ის 212-ე მუხლის სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოაქვს განკარგულება, ნაწილს კი – საოქმო განჩინება, ერთი რამ აუცილებელია, რომ განკარგულებად წოდებული სასამართლო აქტი ის დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება. ასეთი აქტები კი სსსკ-ის 284-ე მუხლის თანახმად, განჩინების ფორმით მიიღება. ამ საპროცესო დოკუმენტის საპროცესო კანონებში განკარგულების სახელით მოხსენიება, ჩემი აზრით, მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ იგი არ ეხება და არ უკავშირდება უშუალოდ კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საპროცესო საკითხებს, არამედ მიიღება დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე განკარგულების შინაარსს არ იცნობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ კი 285-ე მუხლში საუბარია განჩინების შინაარსზე. ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების შინაარსისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა მისი გასაჩივრების წესსა და ვადაზე მითითება. თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობას დამაჯერებლად მივიჩნევთ და განკარგულებას ცალკე საპროცესო დოკუმენტად და აქტად ჩავთვლით, მაშინ საინტერესოა, განკარგულების გასაჩივრებით დაინტერესებულმა პირმა და გასაჩივრებისას ამ განკარგულების კანონიერება-დასაბუთებულობის შემომწმებელმა სასამართლომ, როგორ უნდა განსაზღვროს განკარგულების კანონიერება, თუნდაც ისეთ პირობებში, როდესაც განკარგულების გასაჩივრების დაუშვებლობა ანტიკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ხომ განკარგულების, როგორც ცალკე არსებული საპროცესო დოკუმენტის შინაარსს არ განსაზღვრავს.

ამრიგად, ცხადია, რომ განკარგულება თავისი იურიდიული ბუნებით სასამართლო განჩინებაა. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს მორიგი დასკვნა: ისევე როგორც პროცესის განმავლობაში მი-

ღებული ნებისმიერი განჩინება, გაძევებისა და დაჯარიმების შესახებ გამოტანილი განკარგულება (განჩინება) ექვემდებარება გასაჩივრებას. სამოქალაქო პროცესში ე.წ. „ხელშეუხებელი“ განჩინებები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, მცდარია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოსდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული სადავო ნორმა გამოირიცხავს გაძევების და/ან დაჯარიმების განკარგულების გასაჩივრებას. აღნიშნული განკარგულების (განჩინების) გასაჩივრება სამოქალაქო პროცესის ბუნებიდან და გასაჩივრების პრინციპებიდან გამომდინარე (სსსკ-ის 377-ე, 404-ე, 414-ე და სხვა მუხლები), არ გამოირიცხებოდა არც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების მიღებამდე. კერძოდ, ეს შესაძლებელი იყო შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად. ამას მოწმობს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საერთო სასამართლოებში განვითარებული პრაქტიკაც, როცა დაჯარიმების და/ან გაძევების განკარგულებებში (განჩინებებში) ეთითება შემაჯამებელ აქტთან ერთად ამ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობაზეც.

ამრიგად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების პირობებშიც კი დასაშვებია იყო ზემოაღნიშნული განჩინების (განკარგულების) გასაჩივრება შემაჯამებელ აქტთან ერთად. ისეთ დროს კი, როდესაც განჩინება საჩივრდება შემაჯამებელ აქტთან ერთად, განჩინების კანონიერება – დასაბუთებულობის შემოწმების საკითხი – გადაინევს ხოლმე დროში მოგვიანებით და პროცესის მომდევნო ეტაპებზე, თუმცა, რადგან განჩინება მაინც საჩივრდება, არ ილახება სასამართლო წესით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლება (კონსტიტუციის 42-ე მუხლი).

აქ პრობლემა უფრო სხვა რამეშია. კერძოდ, სამოქალაქო პროცესში ღიად რჩება დაჯარიმების განჩინების სხდომაზე დამსწრე პირთა (ანუ პროცესში არამონაწილე პირთა) და, ასევე, იმ პირთა მიერ გასაჩივრების საკითხი, რომელთა სასარგებლოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება. როგორც

ცნობილია, განჩინებას შემაჯამებელ სასამართლო აქტთან ერთად ასაჩივრებს ის, ვის წინააღმდეგაც გამოვიდა გადაწყვეტილება. ის, ვინც მოიგო პროცესი, სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ გაასაჩივრებს. ამავე დროს, პროცესის მომგები მხარე შეიძლება დაჯარიმებული იყოს პროცესის განმავლობაში. აქ ვერ გამოგვადგება 414-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, გაფართოებულია განჩინების გასაჩივრებით დაინტერესებულ პირთა წრე, რადგან ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივარი შეიტანება განჩინებაზე მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში. თუკი სამოქალაქო პროცესი პირთა უფლებების დაცვას ემსახურება, ვფიქრობ, სამართლებრივი თვალსაზრისით, დიდი ცოდვა არ იქნება, თუკი სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ კანონის ანალოგიას დავეყრდნობით, რომელიც საპროცესო კანონში ხარვეზისას სასამართლოს სამოქალაქო პროცესის მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს და ანალოგიით გამოვიყენებთ სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-11 ნაწილს. შესაძლოა, ეს არ იყოს საუკეთესო გამოსავალი, რადგან ერთი და იმავე განჩინების სხვადასხვა წესით გასაჩივრება (შემაჯამებელ აქტთან ერთად და ცალკე საჩივრით) არასასურველია, თუმცა ესეც ნაკარნახევია პირთა საპროცესო სტატუსით და მათი უფლებების ამა თუ იმ სახით დაცვის აუცილებლობით. იმედია, სამომავლოდ კანონმდებელი ამ უხერხულობას დაძლევს სათანადო რეგულაციის შემოღებით, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საკითხში არსებულ პრობლემებს და საკანონმდებლო ხარვეზებს ვერ მოხსნის.

სამართლის დოქტორი, პროფესორი,
ადვოკატი შალვა ქურდაძე



ადვოკატი და მეცნიერება

დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში



ლილი მსხილაძე

ადვოკატი, სამართლის დოქტორანტი

სამართლის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო დაცვის როლი სისხლის სამართალწარმოებისას. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ათენში, სასამართლო პროცესებზე სიტყვას პირველად წარმოთქვამდა ბრალდებელი, რომლისთვისაც პასუხი უნდა გაეცა ბრალდებულს ან მის დამცველს. ამ უკანასკნელს კარგად უნდა სცოდნოდა კანონები, ტრადიციები და შესძლებოდა ბრალდებულისთვის საქმის უკეთესად წარმართვაში დახმარება. დამცველის როლი იგივეა დღესაც, რომელსაც ახორციელებს ადვოკატი. თანამედროვე გაგებით, სიტყვა „ადვოკატი“ ნიშნავს იურისტს, რომელიც გამოდის დამცველად ან აწარმოებს ვისიმე საქმეს სასამართლოში.¹

დაცვის უფლება, ანუ დამცველის ყოლის, ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება საქართველოს

კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლებაა. აღნიშნული უფლება განმტკიცებულია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით სამართალწარმოების მნიშვნელოვან პრინციპად აღიარებულ იქნა მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის მხარის თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომლებიც არა მარტო სამართალწარმოების პრინციპებად, არამედ სამართალწარმოების ფორმადაც იქცნენ.

მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობით, დაცვის მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, ადვოკატი, მსჯავრდებული და გამართლებული. აქედან, ბრალდებული, მსჯავრდებული და გამართლებული – არის ერთი კონკრეტული სუბიექტი, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე. ადვოკატი კი არის ამ პირის იურდიული დამხმარე და კონსულტანტი, რომელსაც დაკისრებული აქვს დაცვის ფუნქციის განხორციელება.

ადვოკატის ინსტიტუტის განვითარება პირდაპირ აისახება სამართალწარმოების შეჯიბრებითი მოდელის ხარისხზე. თავდაპირველი ფუნქცია სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არის გამოძიების ფუნქცია, რომლის პარალელურად (სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან) მოქმედებს იწყებს დაცვის ფუნქცია, რომელიც ხორციელდება როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში. როგორც პროფესორი ი. აქუბარდია აღნიშნავს, დაცვა სისხლის სამართალწარმოებაში წარმოი-

1 ჩიქობავა არნ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986, გვ. 16

შობა ბრალდებასთან ერთად, როგორც მისი ანტიპო-დი და კონტრთეზისი. ყველა სიტუაციაში ბრალდების თეზისს დაცვამ უნდა დაუპირისპიროს კონტრთეზისი. დაცვის სუბიექტების ურთიერთობა ბრალდებასთან გამოიხატება ბრალდების არამართლზომიერების, მისი დაუსაბუთებლობის მტკიცებაში.²

მეცნიერთა აზრით, ადვოკატის საქმიანობა სისხლის სამართალწარმოებისას არის ცალმხრივი. მას არ ევალება საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა. იგი იცავს ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს და ასრულებს სისხლის სამართლებრივი დევნის სანაღმდეგო ფუნქციას. მისი საქმიანობა მიმართულია ბრალდების უარყოფის ან შემსუბუქებისაკენ. იგი მოქმედებს ბრალდებულთან ერთად და ახდენს მასთან შეთანხმებული დაცვის საშუალებების რეალიზაციას. ადვოკატი ვალდებულია თავისი მოქმედებით არ გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა, არ გამოიყენოს დაცვის უკანონო და ზნეობრივად გაუმართლებელი ხერხები. ხელმძღვანელობს რა კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, ადვოკატი ყოველთვის მოვალეა იმოქმედოს დასაცავის ინტერესებით, რომელიც მისთვის უნდა იყოს ყველა ინტერესზე მაღლა. „არ ავნო“ – ეს არის ადვოკატის საქმიანობის ძირითადი ეთიკური საწყისი.³

დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებას ემსახურება კანონის იმპერატიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე, ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე. სწორედ ამ მომენტიდან იწყებს მოქმედებას დაცვის ფუნქცია. ეს უფლება, ფაქტობრივად, არის რეალური შეჯიბრებითობისა და საქმის წარმატების გარანტი. შესაბამისად, ადვოკატის აყვანის უფლების გამოუყენებლობა მიანიშნებს დაცვის ფუნქციის შეზღუდვაზე, რაც უარყოფითად აისახება შედეგზე.

გამოძიებისას ბრალდებული თუ არ ეთანხმება ბრალდებას, უფლებამოსილია ჩაატაროს პარალელური გა-

მოძიება გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვების მიზნით. შეჯიბრებითობის არსიდან გამომდინარე, პარალელური გამოძიების ჩატარება ბრალდებულის და მისი ადვოკატის არა მარტო უფლება, არამედ ვალდებულებაც არის, რადგან თუ დაცვის მხარე თავად არ ეცდება გამამართლებელი მტკიცებულების შეგროვებას, მას ვერ გააკეთებს ვერც გამომძიებელი და ვერც სასამართლო, რადგან მათ არა აქვთ ამის არც საპროცესო ვალდებულება და არც უფლება.

შეიძლება ითქვას, ადვოკატის ინსტიტუტი არის დაცვის ფუნქციის ეფექტურად განხორციელების გარანტი, რადგან: (1) დაცვა სისხლის სამართალწარმოებაში არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქცია; (2) დაცვის უფლებით სახელმწიფო ახდენს ბრალდებულის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებას; (3) დაცვა არის გარანტი სასამართლოს მიერ საქმის სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევისა; (4) დაცვა სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის აუცილებელი პირობაა; (5) დაცვა არის საშუალება უდანაშაულო პირის გამართლებისა; (6) დაცვა პროცესში ხელს უწყობს ქვეყანაში მართლმსაჯულების სწორად წარმართვასა და სასამართლო ავტორიტეტის ამღობებას; (7) საბოლოოდ, დაცვა სისხლის სამართლის პროცესში არის წინაპირობა სახელმწიფოს სახელით ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანისა.

სისხლის სამართლის სამართალწარმოების შეჯიბრებითმა მოდელმა დაცვა აღჭურვა სპეციალური უფლებებით, რამაც იგი, ბრალდების მხარესთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა. დაცვის სპეციალურ უფლებებზე აღიარებულია: უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება, დაცვის მიერ პარალელური გამოძიების ჩატარება, მტკიცებულებების შეგროვება და წარდგენა, პირადად და დამცველის დახმარებით თავის დაცვის უფლება, მონმეთა ჩვენებების შემონმების უფლება, თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ

2 აქუბარდია ი, დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011.გვ.

3 სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, სტუ, თბ. 2012, გვ. 121.

არცნობის უფლება, დუმის უფლება, რომელიც არ შეიძლება მისი ბრალულობის დასადასტურებლად იქნეს მიჩნეული, გასაჩივრების უფლება, მცდარი მსჯავრდებისათვის კომპენსაციის უფლება, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ხელმეორედ მსჯავრდების აკრძალვა.

ბრალდებულის დაცვის უფლება, რომელსაც „აბსოლუტურ უფლებასაც“ უწოდებენ, მიზნად ისახავს ბრალდებულის რეალურ დაცვას, რის გამოც კანონმა ბრალდებული აღჭურვა დაცვის ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა: (1) ადვოკატის ყოლის უფლება, რომელთა რაოდენობაც კანონით შეზღუდული არ არის; (2) ადვოკატის არჩევის უფლება; (3) მის მიერ შერჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება (აქ იგულისხმება სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის შეცვლის უფლებაც); (4) სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნის უფლება, თუ ის უქონელია; (5) სავალდებულო დაცვის უფლება.

სავალდებულო დაცვის განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო არის ვალდებული უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვა, რომელიც უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი და არა თეორიული და ილუზიური. ევროსამართლომ საქმეზე – „არტიკო იტალიის წინააღმდეგ“ – აღნიშნა: ევროკონვენციის მე-6 მუხლში საუბარია სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივ „დახმარებაზე“ და არა „დანიშვნაზე“. ადვოკატის დანიშვნა როდი უზრუნველყოფს ყოველთვის ეფექტიან დახმარებას, ვინაიდან დანიშნული ადვოკატი შეიძლება თავს არიდებდეს თავის მოვალეობათა შესრულებას, ან ავადმყოფობის გამო ვერ ახორციელებდეს თავის მოვალეობას. ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს ასეთი ადვოკატი, ან აიძულოს იგი შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.⁴ ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა იქამდე მიდის, რომ საშუალებას იძლევა უკანონოდ გამოცხადდეს განაჩენი, როდესაც ადვოკატი იმდენად უფერულია, რომ აჩენს აზრს – განაჩენი სხვაგვარი იქნებოდა, ადვოკატი რომ წესიერი, კომპეტენტური ყოფილიყო.⁵

კვალიფიციური იურიდიული დახმარების განწევა ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნაა, რომლის მიხედვით, პირს, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მართალმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უფლება აქვს ჰყავდეს სამართალდარღვევის ხასიათის შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპეტენტური ადვოკატი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი ეფექტური იურიდიული დახმარება.⁶

დაცვის ეფექტურობა საეჭვო ხდება, როცა სავალდებულო დაცვით ინიშნება ადვოკატი, ბრალდებულის სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებაზე თავის არიდების ან სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შემთხვევაში, და შეთანხმებით დაცვას არ ჰქონია ადგილი. ამ შემთხვევაში დაცვის მხარეს წარმოადგენს მხოლოდ ადვოკატი, რომელიც არ არის ოჯახის მიერ აყვანილი, არ მოქმედებს ბრალდებულთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად იმუშავებს საქმის წარმოების სტრატეგიას, მაშინ როდესაც მისთვის უცნობია მტკიცებულებათა სპექტრი, არ იცის ბრალდებულის პოზიცია, ინტერესები და ამგვარ ვითარებაში ადვოკატი არის მხოლოდ პროცესის ფორმალური მონაწილე და დაცვის ხარისხი აშკარად საეჭვო ხდება. ამგვარ შემთხვევებში, დაცვის ეფექტურობის ხარისხის კონტროლი სასამართლოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს და, თუ დანიშნული ადვოკატი ვერ განახორციელებს სათანადო დაცვას, სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს მისი სხვა ადვოკატით ჩანაცვლება.

ევროკონვენციის თანახმად, უფლება იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს, აბსოლუტურია. იურიდიული დახმარების არსებობა საჭიროა ხშირად იმ ეტაპზე, როდესაც ხდება მტკიცებულებათა მოპოვება და დაცვის მომზადება. გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს იმ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებშიც მოხდება წარდგენილი ბრალის

4 კორკელია კ. ქურდაძე ი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მიხედვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, 2004, გვ. 171.
 5 აშშ-ს უზენაესი სასამართლო, კონსტიტუციის შესწორების დარღვევა, რომელიც უფლებას აძლევს ბრალდებულს პროცესზე დაასწროს თავისი ადვოკატი. 1984 . საქმე Stickland c.Washington. 104 S. Ct 2052.
 6 გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, სპეციალური გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში, კუბა, 1990, პუნქტი 6.

სასამართლო პროცესზე განხილვა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ბრალდებული ხშირად სამართალწარმოების ამ ეტაპზე მეტად უმწეო მდგომარეობაშია, რომლის კომპენსირება ადვოკატის დახმარებით ხდება. მისი მიზანია ბრალდებულის არანებაყოფლობითი აღიარებითი ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლებით უზრუნველყოფა.⁷ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, გამოუსწორებელი რისკის ქვეშ აყენებს დაცვის უფლებას პოლიციის დაკითხვისას მიცემულ ჩვენებათა მსჯავრდებისთვის გამოყენება, როდესაც ბრალდებულის უფლება – მიეღო ადვოკატის დახმარება – არ იქნა უზრუნველყოფილი.⁸

ამდენად, გამოძიების ეტაპზე დაცვის ფუნქციის ეფექტურად განხორციელება პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში ადვოკატის ჩართვასთან, რადგან მხოლოდ ამ დროიდან რეალურად იწყებენ მოქმედებას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. აღნიშნული მონიშნავს, რომ შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებაში, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატის მონაწილეობა გამოძიების ეტაპიდან სავალდებულო უნდა იყოს ყველა კატეგორიის საქმეზე, რომლებშიც ბრალდებული თავს არ სცნობს და მანამავე, მით უმეტეს, თუ იგი პატიმარია.

ისმის კითხვა, გამოძიების ეტაპზე ბრალდების და დაცვის მხარე შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მხარეებად? თუკი მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს გავაანალიზებთ, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ – არა. დაუშვებელია ამ ეტაპზე ბრალდება და დაცვა თანაბარი პირობების მქონე პროცესის სუბიექტებად მივიჩნიოთ, რადგან, ჯერ ერთი, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამოძიებელი და პროკურორი იწყებენ გამოძიებას, ფაქტობრივად, ბრალდების მხარის მიერ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებას. ბრალდების მხარეს ამ ეტაპზე შეუძლია ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, გამოჰკითხოს ფაქტის თვითმხილველები და ა. შ. ბუნებრივია, ამ ეტაპზე დაცვის მხარე ვერ იქნება

ჩართული საქმეში. შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისას ბრალდებას უკვე აქვს გარკვეული მტკიცებულებები და იგი არის დაცვის მხარესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში. მეორე, სისხლის სამართალწარმოების პროცესში დაცვის მხარე აქტიური ხდება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებიდან. სსსკ-ის 111-ე მუხლის შესაბამისად, ამ დროიდან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მხარეებს აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, დაცვას შეუძლია ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ, რეალურად, დაცვის მხარეს დამოუკიდებლად გამოკითხვის გარდა, არანაირი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობა არა აქვს. გამოკითხვაც, მართალია, არის საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ გამოკითხვის ოქმს არა აქვს მტკიცებულების ძალა. მესამე, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა არის სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და სამართალწარმოების ფორმაც, მაგრამ მხარეებს შორის იურდიული თანასწორობა სრულიადაც არ ნიშნავს მათ ფაქტობრივ თანასწორობას, რადგან ბრალდების სახით პროცესში მონაწილეობენ სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც თავიანთი ძალებით და შესაძლებლობებით ყოველმხრივ აღემატებიან დაცვის მხარეს.

მხარეთა თანასწორობის საკითხის გარკვევისას, გასათვალისწინებელია მხარეთა ფინანსური შესაძლებლობები. შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებაში დაცვის მხარემ თავად უნდა მოახდინოს დაცვის ხარჯების გადახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საიდანაც სამართალწარმოების წმინდა შეჯიბრებითი მოდელი შემოვიდა საქართველოში, დაცვა საკმაოდ ძვირადღირებული ფუფუნებაა, რადგან კვალიფიციური ადვოკატის მომსახურება დიდ ჰონორართან არის დაკავშირებული. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, აშშ-ში სისხლის სამართლის საქმეებზე ხარისხიანი იურდიული დახმარებისათვის საჭიროა არა მხოლოდ დიდი ჰონორარი, რათა მოიწვიო მცოდნე და გამოცდილი ადვოკატი, არამედ, ასევე, დიდი ხარჯების განევა ექსპერტთა მოსაწვევად, დაცვის მტკიცებულებათა მოსაძიებლად, კერძო დეტექტივის დასაქირავებლად და ა. შ.⁹

7 ანნე გროესტადი, ადამიანის უფლებათა მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე. თბილისი 2009, გვ. 48.

8 ანნე გროესტადი, გვ. 48.

9 კ. ფ. გურცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007, გვ. 257.

დაცვის მხარის ფინანსური უზრუნველყოფა არის დაცვის სერიოზული პრობლემა, რადგან არ არის დამოკიდებული ადვოკატზე. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების შეგროვებაში სახელმწიფო არანაირ მონაწილეობას არ იღებს (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) და მთლიანად დამოკიდებულია ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობაზე. დღეს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 1/3 სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება, ძნელი წარმოსადგენი არ არის საზოგადოების ნახევარზე მეტისთვის, რამდენად მიუწვდომელი იქნება ფინანსურად უზრუნველყოფილი დაცვა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ფინანსური უთანასწორობის გამო, შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე დაყრდნობით, სამართლიანი სასამართლოს მიღწევა იქნება პრობლემატური. ეს ფაქტი სახელმწიფოს ავალდებულებს, უფრო მეტად ჩაერთოს დაცვის ინსტიტუტის გაძლიერების ღონისძიებებში, საგამოძიებო მოქმედებების ხელმისაწვდომობის მიზნით.

გაეროს ძირითად პრინციპებში ადვოკატთა როლის შესახებ ნათქვამია, რომ როგორც ადვოკატის, ისე, ზოგადად, იურდიული მომსახურება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ მიზნით, ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა ითანამშრომლონ მომსახურების, პირობებისა და სხვა რესურსების ორგანიზებისა და მობილიზაციისათვის.¹⁰ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები და თავიანთ იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა პირისთვის საადვოკატო მომსახურებასთან ეფექტური და თანაბარი ხელმისაწვდომობის სათანადო პროცედურებისა და ადეკვატური მექანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი რასის, ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილების, დაბადების, ეკონომიკური ან სხვა სტატუსისა.¹¹ სათანადო პროცედურებში და ადეკვატურ მექანიზმებში მოიაზრება იმ პროცესუალური მოქმედებების ჩატარება, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებების დასადგენად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დამყარებულ სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის ინსტიტუტი უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია, როგორც კერძო პირთა ინტერესების, ასევე სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. ადვოკატი არის საშუალება, რათა ბრალდებული ღირსეულად და პროფესიონალურად დაუპირისპირდეს სახელმწიფოს და დაიცვას თავისი ინტერესები. დაცვის უფლება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქციაა.

შეჯიბრებით სამართალწარმოებაში ადვოკატის უმნიშვნელოვანესი როლია, ღირსეულად შეძლოს ბრალდების მხარესთან ბრძოლა და დაეხმაროს მართლმსაჯულებას სამართლიანი გადანყვეტილების მიღებაში. მართალია, ადვოკატი არ არის საჯარო სამსახურის ნაწილი, მაგრამ არის მთავარი გარანტორი ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა. შესაბამისად, ადვოკატის ინსტიტუტზე ზრუნვა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

სრულყოფილი მართლმსაჯულების განსახორციელებლად შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებაში ყველა ბრალდებული, რომელიც თავს არ სცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, საჭიროებს კვალიფიციურ იურდიულ დამხმარეს – ადვოკატს. ამასთანავე, დაცვის მხარისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება; მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, ადვოკატთა კორპუსს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულებებთან და კერძო დეტექტივებთან შეღავათიან პირობებში თანამშრომლობისა; ამასთანავე, მტკიცებულებათა გამოვლენა-შეკრებისას, უმთავრესია სასამართლოს დამოკიდებულება მხარეების მიმართ, რა დროსაც დაცვის შუამდგომლობების დაკმაყოფილება ისევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სასამართლოსთვის, როგორც ბრალდების მხარის.

¹⁰ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, ადვოკატისა და იურდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა, კუბა, 1990, პუნქტი 3.

¹¹ იქვე, პუნქტი 2.

„ოჯახური ძალადობა“

„ძალადობა ოჯახში საზოგადოებისათვის დამანგრეველი საფრთხეა. ოჯახური ძალადობა სერიოზულ ზიანს აყენებს ასეთ არაჯანსაღ გარემოში მცხოვრები ბავშვების სულიერ და ფსიქიკურ განვითარებას. ამ ბავშვების უმრავლესობა ზრდასრულ ასაკში თვითონაც ძალადობის მსხვერპლი ხდება ან, პირიქით, ოჯახის წევრების მიმართ ძალადობას თავად მიმართავს.....“

ტერი დევისი¹



ელენე კავთუაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

რთულია იმის განსაზღვრა, თუ საიდან და როდის დაიწყო ოჯახში ძალადობის ისტორია, ვინაიდან ეს ფენომენი ყველა თაობას და ერს ახასიათებს, თუმცა გარკვეულ ეტაპზე, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, ეს კანონითაც კი იყო დაშვებული. 1895 წლამდე ამერიკაში ქალს იმის უფლებაც კი არ ჰქონდა, გაჰყროდა ქმარს ძალადობის საფუძველზე.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა. ძალადობის შემთხვევების სიხშირის პროცენტული მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობაში 5%-დან 31%-მდე მერყეობს. თუმცა, ეს ქართული საზოგადოებისათვის ტაბუირებული თემაა და მენტალიტეტის გამო იშვიათად ხდება მისი გამჟღავნება. ოჯახური ძალადობა გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელსაც ოჯახის რომელიმე წევრი სხვა წევრებზე ახორციელებს. იგი არის განმეორებადი, ხშირი, სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, რომელიც მოძალადის მიერ სხვაზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვებას გულისხმობს.²

1 ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, 8 მარტი, 2006 წ.

2 თ. ჯიჯავაძე, „ოჯახური ძალადობა საქართველოში“, 27.02.2010, <http://www.polity.ge/style/youayourfamily/1541-ojakhuri-dzaladoba-saqartveloshi.html>

ბრძოლა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

საერთაშორისო დონეზე ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის ბოლოდან გახდა. 90-იანი წლებიდან საერთაშორისო უწყებებმა აქტიურად დაიწყეს ოჯახში ძალადობის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის, წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პერიოდში ოჯახში ძალადობის პრობლემამ ოჯახური სფეროდან გადაინაცვლა საზოგადოებრივი პრობლემის დონეზე: თუ აქამდე ითვლებოდა, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ოჯახის პრობლემაა, ახლა იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემად, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს. ყოველივე ზევით აღნიშნული მიუთითებს ოჯახში ძალადობის პრობლემის განსაკუთრებულობასა და აქტუალურობაზე.

მე-20 საუკუნის ბოლოდან საგრძნობი ცვლილებები შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც. 2003 წელს მხოლოდ 45 ქვეყანას ჰქონდა კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006 წლისთვის კი, ეს რიცხვი 60-მდე გაიზარდა. 2011 წლის მონაცემებით კი, მსოფლიოს 196 ქვეყნიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი 126 ქვეყანას აქვს.³

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად განსხვავებულ ღონისძიებებს მიმართავენ. თუ ზოგიერთ ქვეყანაში ამ საკითხებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს, რიგ ქვეყნებში იგი სამოქალაქო სამართლის დავის საგანია. ზოგან კი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება, ეს სფერო სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ნორმებით დარეგულირდეს. თუმცა დღემდე გადაუჭრელია პრობლემა, ჩაითვა-

ლოს თუ არა ოჯახური ძალადობა ორ პირს შორის არსებულ კერძო საკითხად, რომელიც საჭიროებს თერაპიასა და არა ჩარევას. რადგან, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მეტად რთულია ზღვარის გავლება, სად მთავრდება „პირადი საქმე“ და სად იწყება დანაშაული, რომელიც დასჯას უნდა ითვალისწინებდეს.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.⁴

- **ოჯახის წევრად**, კანონის მიხედვით, ითვლება მეუღლე, დედა, მამა, ბაბუა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.⁵

- **ფიზიკური ძალადობა** მოიცავს ცემას, წამებას, ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

- **ფსიქოლოგიური ძალადობა** მოიცავს შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარას ან სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

- **სექსუალური ძალადობა** მოიცავს სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე, სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას ან გარყვნილ ქმედებას არასრულწლოვნის მიმართ.

3 UN Women, Progress of the World's Women: In Pursuit of Justice, 2011

4 საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. <http://intranet.Parliament.ge>

5 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 111- შენიშვნა)

– ეკონომიკური ძალადობა მოიცავს უარის თქმას დაფინანსებაზე, ასევე, უარის თქმას საკვებითა და ძირითადი მოთხოვნილებებით უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო ოჯახში ძალადობას ინდივიდუალური უფლებების დარღვევად განიხილავს და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზას ინდივიდების თანასწორობის აღიარებით, უფლებებისა და თავისუფლების დაცვაში ხედავს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ეფექტური ნორმატიული მექანიზმების შემუშავებით. შესაბამისად, ძირითადი პრობლემა, კანონის მიხედვით, არის ადამიანის უფლებების დარღვევა. კანონი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის რეალობაში პრობლემის აღმოსაფხვრელად. კანონის მიღებით სახელმწიფო აღიარებს არსებულ პრობლემას და მის დასაძლევად განსაზღვრულ პოლიტიკას იმუშავებს. თუმცა ხშირად მხოლოდ კანონის მიღებით პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება.

საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები რეგულირდება როგორც კანონით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ასევე – სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმებითაც.

2012 წლის 12 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა და 25 ივნისს ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილება. კოდექსს დაემატა ოჯახური დანაშაულის განმსაზღვრელი ორი მუხლი: ერთი ზოგად ნაწილს, ხოლო მეორე – კერძოს:

- მუხლი 11¹ (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის);
- მუხლი 126¹ (ოჯახში ძალადობა).

ზოგადი ნაწილის მუხლის მიხედვით, ფიზიკურ პირს, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულს ოჯახში ჩაიდენს, პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვისაც დაეკისრება. ოჯახში მომხდარ დანაშაულზე პროცესის მწარმოებლები ზოგადი ნაწილის ამ მუხლსაც უთითებენ (მუხლი 11¹, პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის).

ამასთან, კერძო ნაწილს დამატებული მუხლი (126¹) ოჯახში ძალადობის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, ახალ შემადგენლობას განსაზღვრავს. ამ მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობად ითვლება: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება – რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რომელსაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ან განზრახ მსუბუქი დაზიანება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლი ითვალისწინებს ძალადობის არა ყველა შემთხვევას, არამედ მხოლოდ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობასა და იძულებას, ოჯახში ჩადენილი ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება სქესობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით.⁶

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისთვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. დროებითი ღონისძიების სახით კი იყენებენ დამცავ და შემაკავებელ ორდერებს.

კანონით, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები განისაზღვრება შემაკავებელი ორდერით, რომელსაც პოლიციის

6 მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, წიგნი 1, თბილისი 2014, გვ. 144

უფლებამოსილი თანამშრომელი გამოსცემს. აქტი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში სასამართლო განიხილავს ორდერის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან უარის თქმის შესახებ. დამცავი ორდერი გამოიცემა სამი თვით და მისი ვადის გაგრძელების ან შემცირების საკითხს სასამართლო განსაზღვრავს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე არ აღასრულებს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით დადგენილ ნორმებს, მას ადმინისტრაციული სასჯელი ემუქრება, გარკვეულ პერიოდში, განმეორებით დარღვევის შემთხვევაში კი, შესაძლოა, იგი პატიმრობაშიც აღმოჩნდეს. რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივ მექანიზმებს, მათ იყენებენ ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175-ე მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლით.

სამწუხაროდ, ძალადობა არ ცნობს კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ საზღვრებს და შეიძლება ნებისმიერ საზოგადოებაში შეგვხვდეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა ამ მიმართულებით თითქმის არ არსებობს, რაც, ნაწილობრივ, სპეციალური კანონის არქონითაა გაპირობებული, არასამთავრობო სექტორის ძალისხმევით შექმნილ თავშესაფარსა და დახმარების ცენტრებს ბევრი მსხვერპლი მიმართავს. კვლევებიც ადასტურებს, რომ ფიზიკური ძალადობის ობიექტი გამხდარა, სულ მცირე, რესპონდენტთა მეხუთედი მაინც. მათ შორის, ქალთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს რაიმე სახის დაცვას სისტემატური ფიზიკური თავდასხმებისგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2012 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა სტატისტიკა, სადაც

ასახულია 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ოჯახური ძალადობის ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი. აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოში ოჯახში ძალადობის 1025 ფაქტი დაფიქსირდა, რომელშიც მონაწილეობდა 1997 პირი. შსს-ს ცნობით, მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები – 887, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 89-ს. შესაბამისად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი უფრო მეტად ქალები (904 ქალი) ხდებიან, ვიდრე მამაკაცები (117 კაცი).⁷

სტატისტიკური მონაცემები სრულ სურათს რომ ვერ გადმოსცემს, ფაქტია. მონაცემების შეგროვება აქამდე მხოლოდ შემაკავებელ-დამცავი ორდერების რაოდენობის მიხედვით ხდებოდა. შემაკავებელ ორდერს კი პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ძალადობის ფაქტის დროს მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე გასცემს. ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის განხილვისას, შესაბამისი მუხლის არარსებობის გამო, არ აღირიცხებოდა, თუ უშუალოდ ვის შორის იყო ძალადობა. შესაბამისად, ეს მონაცემები ამ სტატისტიკის მიღმა რჩებოდა.

გარდა ამისა, უზუსტო სტატისტიკის მიზეზია თავად საზოგადოების დამოკიდებულებაც – ოჯახში პრობლემების არსებობის მიუხედავად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა უმეტესობა დახმარებისთვის პოლიციას იშვიათად მიმართავს. შესაბამისად, ძალადობის ფაქტების აღრიცხვა ვერ ხდება და ამას ოფიციალური მონაცემებიც ცხადყოფს. ასეთი შემთხვევები ძირითადად დედაქალაქში რეგისტრირდება, კვლევები (გაეროს მოსახლეობის ფონდის ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ; ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ ჩატარებული სამი კვლევა) კი ადასტურებს, რომ ასეთი ფაქტები ძალიან ხშირია რეგიონებშიც, უბრალოდ, ისინი ნაკლებად ხმაურდება.

7 ოჯახში ძალადობის სტატისტიკა და რეალობა საქართველოში – <http://dalada.wordpress.com>

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით;
- ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- იმ ოჯახების იდენტიფიცირება, სადაც ეს პრობლემა არსებობს;
- ადრეული ინტერვენცია;
- მსხვერპლთა დაცვა;
- მსხვერპლთა ხელშეწყობა, ახალი ცხოვრების დანყებაში დახმარება.

დასკვნა

სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას, რას მიიჩნევს მის მიზეზად და რა გზებით ებრძვის მას. ევროპის კონვენციის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მიზეზი არის საზოგადოების სტრუქტურაში არსებული გენდერული უთანასწორობა, კერძოდ, ქალის დაქვემდებარებული როლი საზოგადოებაში. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად არის ქალი. კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას, მნიშვნელოვანია, გაცნობიერდეს, რომ ძალადობა არის ქალთა და მამაკაცთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული უთანასწორობის გამოვლინება (ევროსაბჭო, 2011).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს კანონი იმის გამოსავლენად, თუ როგორ ხედავს სა-

ხელმწიფო ოჯახში ძალადობას, რას მიიჩნევს მის გამომწვევ პრობლემად და, შესაბამისად, როგორ ესახება მისი დაძლევის გზები.⁸

ამერიკასა და ინგლისში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მასმედია წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით. მასმედიას შეუძლია შეცვალოს საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ, ისევე როგორც, ხელი შეუწყოს მსხვერპლთა თვითცნობიერების შეცვლას.

სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ოჯახში ძალადობის თემას ძალიან მცირე რაოდენობის სტატია და ტელეგადაცემა ეძღვნება. პრესაში სტატიები ძირითადად პრობლემის აღწერას და მასთან ბრძოლის აუცილებლობას ეხება. მედია საშუალებები მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების ზედაპირული აღწერით შემოიფარგლებიან. თითქმის არ აშუქებენ პრობლემებს, არ ხდება მათი განზოგადება და ანალიზი, ასევე, არ შუქდება ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმების შესახებ შესაბამისი ექსპერტების მოსაზრებები.


ოჯახური ძალადობის პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ეს ნიშნავს ეფექტურ თანამშრომლობას სამართალდამცავ, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროს სტრუქტურებს, საკონსულტაციო პროგრამებსა და მსხვერპლთა დამცავ ორგანიზაციებს შორის. ამასთან, არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველა სიტუაციას მოერგება. თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა.

8 ნ. ჭაბუკიანი, გ.ჯიბლაძე, ნ.უბილავა, „საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის ანალიზი“, გენდერის კვლევა, 14.11.2013, გვ.4-5



სამართლის პუბლიცისტიკა

მოსყიდვა ქვემოდას თუ მოსყიდვა ზემოდას¹



ოთარ გამყრალიძე

სამართლის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

1.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1999 წ. 22 ივლისსაა მიღებული, 2000 წ. პირველი ივნისიდან ამოქმედდა. მას შემდეგ მისი ტექსტი არაერთხელ შეიცვალა. მაგრამ იმ ცვლილებებმა, 2006 წ. 28 აპრილის კანონმა რომ შემოიტანა ჩვენს კოდექსში, ყველაფერს გადააჭარბა. მხედველობაში მაქვს ხსენებული კანონის არამართო შინაარსი და მიზანდასახულობა, არამედ მისი მოცულობაც. ამ კანონმა კოდექსის 259 (ორას ორმოცდაცხრამეტი) მუხლის ტექსტი შეცვალა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ცვლილება ამ მუხლების უმრავლესობის სხვადასხვა (ზოგჯერ ორ ან მეტ) ნაწილსაც შეეხო, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მსხვილ საკანონმდებლო აქტთანაც გვქონია საქმე.

ასეთი დიდი საკანონმდებლო აქტის პროექტი კი საჯარო განხილვის მიზნით პრესის ფურცლებზეც აუცილებლად უნდა გამოექვეყნებინათ. სამწუხაროდ, პროექტი არათუ არ გამოუქვეყნებიათ, არამედ ის ყველა სპეციალისტისათვისაც კი არ გადაუგზავნიათ ოფიციალურად და აზრი არ უკითხავთ. არ გადმოუგზავნიათ პროექტი თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტშიც, დანესებულებაში, სადაც თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის მეთაურობით სისხლის სამართლის მეცნიერების ქართული სკოლის აკვანი დაირწა.

ამ კანონის პროექტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში. იქვე ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა მაცნობეს, რომ ისინი უკვე დაუკავშირდნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელობას და სთხოვეს, მე, როგორც თავის დროზე სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო ქვეკომისიის ერთ-ერთი წევრი, მივეწვიე კომიტეტის სხდომაზე და მოესმინათ ჩემი აზრი. მე, რასაკვირველია, დაძახებისთანავე მივედი, მაგრამ, რატომღაც, ეს საკითხი იმ დღეს არ განუხილავთ. ასე რომ, პროექტი ისე გაიტანეს სესიაზე და დააკანონეს, რომ ჩემთვის აღარ დაუძახიათ. ამას რომ ვამბობ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს მე რაღაც ამბიციები მანუხებდეს. ღმერთმა დამიფაროს ამისგან! ამით ის მინდა ვთქვა, რომ, ჩემთვის რომ დროულად მოესმინათ, პარლამენტი ზოგიერთ უხერხულობას მაინც აიცილენდა თავიდან. სათქმელს იქ ვიტყვოდი და შეიძლება პრესის ფურცლებზე, საჯაროდ გამოსვლა აღარც დამჭირებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როცა პარლამენტისთვის ასეთი დიდი საკანონმდებლო აქტის პროექტი მზადდება, აუცილებელია წინასწარ სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და გაანალიზება. საკითხავია, იმ ექვსი

¹ მოცემული პუბლიცისტური წერილი დაბეჭდილია ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“, 2008 წელი იანვარი-თებერვალი N3 და 2008 წელი მარტი-აპრილი N2 (4), იბეჭდება რამდენიმე ნაწილად.

წლის მანძილზე, რაც კოდექსი მოქმედებს, ჩვენს სამართლებრივ ცხოვრებაში ნეტავი რა მოხდა მაინც ისეთი მნიშვნელოვანი, რამაც ასეთი დიდი ცვლილებების წინაშე დაგვაყენა? თუ 2006 წლის 28 აპრილის კანონის პროექტის განმარტებით ბარათს გადავხედავთ, ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ იქ ვერ ვიპოვით. განმარტებით ბარათში ნათქვამია: „კანონპროექტის მიღების მიზეზია იმ სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა, რაც არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალურ ნაწილში“. თუ რა ხარვეზები ჰქონდათ პროექტის ავტორებს აქ მხედველობაში, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ. ახლა კი ვიტყვით, რომ სულ რაღაც სამგვერდიანი განმარტებითი ბარათი თითქმის არაფერს ამბობს იმ არსებით ცვლილებებზე, რომლებიც კანონმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში შემოიტანა. განმარტებითი ბარათი სქემატურად მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილის ცვლილებების საჭიროებას ეხება.

დავინწყით იმით, თუ რა „სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა“ დაუსახავთ მიზნად განსახილველი კანონის პროექტის ავტორებს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის ადრინდელი ტექსტი ასეთი იყო: „თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს, დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით, შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი“. მაგალითად, თუ კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან ათ წლამდე, 55-ე მუხლის ადრინდელი ტექსტი სასამართლოს უფლებას აძლევდა ხუთ წელზე ქვევით ჩამოსულიყო და დამნაშავესთვის ოთხი, სამი, ან ორი წლითაც კი აღკვეთა თავისუფლება, თუ დადგინდებოდა „განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება“. სასამართლო ითვალისწინებდა, აგრეთვე, დამნაშავეს პიროვნებას. 2006 წ. 28 აპრილის კანონმა კი კოდექსის 55-ე მუხლის ტექსტი ასე შეცვალა: „სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.“ „საპროცესო შეთანხმების“ არსი მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცე-

სო კოდექსის 679¹ მუხლში. ამ მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის იდება. დავანებოთ თავი იმას, თუ რას გულისხმობს „საპროცესო შეთანხმება“. მთავარი აქ ის არის, რომ სრულიად გასაგები მიზეზების გამო პროკურორს ხომ შეუძლია უარი თქვას შეთანხმებაზე? ამ შემთხვევაში სასამართლოს უფლება ერთმევა, დაუნიშნოს დამნაშავეს „შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი“, მაშინ, როცა საქმის მასალებით დადგენილია „განსაკუთრებით შემამსუბუქებელი გარემოებები“. არსებითად ხსენებულ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნის უფლება სასამართლოს ჩამოერთვა და პროკურორს მიეცა. საკითხავია, რა „სამართლებრივი ხარვეზი“ აღმოფხვრა პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის 2006 წ. 28 აპრილის რედაქციით?

პირიქით, 55-ე მუხლის ახალმა რედაქციამ, როგორც ვხედავთ, კოდექსში თვითონ წარმოშვა ხარვეზი. გარდა ამისა, 2006 წ. 28 აპრილის კანონის პროექტის ავტორებს მხედველობიდან გამორჩენიან კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტი, რომელიც 55-ე მუხლის ტექსტის ცვლილებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. 58-ე მუხლის მე-3 ნაწილში დარჩა 55-ე მუხლის ძველი რედაქციის სიტყვები – „აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას...“. ეს სიტყვები 58-ე მუხლიდან მხოლოდ 2007 წ. 22 ივნისის კანონით ამოიღეს.

თუმცა ეს რა მოსატანია იმ წინააღმდეგობასთან, რაც კოდექსის 50-ე და 63-ე მუხლების ტექსტებს შორის გვხვდება. 63-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილში ნათქვამია: „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია“. 50-ე მუხლში კი ამის საწინააღმდეგოდ ვკითხულობთ: „თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი“. როგორც ვხედავთ, 63-ე მუხლი სასამართლოს უკრძალავს პირობითი მსჯავრის გამოყენებას „განსაკუთრებით მძიმე და განზრახ მძიმე

დანაშაულისათვის,“ ხოლო 50-ე მუხლი ამის უფლებას აძლევს. სწორედ ამაზეა ნათქვამი „მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს“.

კიდევ ერთ საკითხზე შევაჩერებ აქ მკითხველის ყურადღებას. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.“ მაშასადამე, თუ არასრულწლოვანმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლოს მისთვის პირობითი მსჯავრის დანიშვნის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ, სასამართლოს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი სრულ უფლებას აძლევს, სრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა პირობით იმ შემთხვევაშიც დაუნიშნოს, როცა მან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. რა დასკვნა გამოდის აქედან? აქედან ის შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულწლოვანი გარეთ შეიძლება დარჩეს, ხოლო არასრულწლოვანი ციხეში მოხვდეს. სადაური სამართალია ეს? რისი ბრალია ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა? ეს იმის ბრალია, ბატონებო, რომ, ეტყობა, ჩვენს პარლამენტში კანონპროექტებზე ის ხალხი მუშაობს, ვისაც, ორი ბატი რომ მიაბარო მინდორში სამწყემსავად, სამს დაგიკარგავს.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ კოდექსის 63-ე მუხლს არსებითად. ამ მუხლის ადრინდელი რედაქცია აქცენტს ძირითადად დამნაშავის პიროვნებაზე აკეთებდა და სასამართლოს უფლებას აძლევდა, სასჯელი პირობით დაენიშნა, თუ საქმის მასალებისა და პიროვნების შესწავლის საფუძველზე დარწმუნდებოდა, რომ „მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება“ სასჯელის რეალური მოხდის გარეშე.

პირობით მსჯავრის იდეის წარმოშობას დიდი ისტორია აქვს. ის სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის ნაყოფია. ეს სკოლა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა გერმანიაში. ამ მოძღვრების მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია არა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება, არამედ პიროვნების საშიში მდგომარე-

ობა. რატომ უნდა ველოდოთ, როდის ჩაიდენს ადამიანი ქმედებას, მოკლავს კაცს, იყაჩაღებს და ა.შ. თუ ის სოციალურად საშიშია, თუ მისგან ხვალ მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენა, უმჯობესია დროზე მივიღოთ შესაბამისი ზომები, მანამ დავაკისროთ პასუხისმგებლობა ადამიანს, სანამ დანაშაულს ჩაიდენს და საზოგადოებას დააზიანებს.

სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ ერთ-ერთი ძირითადი საყვედური იყო ის, რომ მას შეუძლია პოლიტიკური რეპრესიების დასაბუთებას შეუწყოს ხელი. ასეც მოხდა საბჭოთა რუსეთში, სადაც XX ს-ის 30-იან წლებში „ხალხის მტრის“, ე.ი. სოციალურად საშიში პიროვნების იარლიყის მიწებებით უთვალავი პატიოსანი ადამიანი გაანადგურეს. საბჭოთა რუსეთმა ამ სკოლის პრინციპები მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაძლია, როცა მიიღო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის 25 დეკემბრის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველები. ქმედებისათვის პასუხისმგებლობის პრინციპი საბჭოურ სივრცეში ამ კანონმა პირველად შემოიტანა.

ასე იყო თუ ისე, ცივილიზებულმა სამყარომ, როგორც იქნა, დაძლია სოციოლოგიური სკოლის პრინციპები და ქმედების სისხლის სამართალი დაამკვიდრა. თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის საფუძველია კანონით აღწერილი კონკრეტული ქმედება და არა პიროვნების საშიში მდგომარეობა.

მაგრამ ამ სკოლას ჰქონდა დადებითი მხარეც, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო და ცივილიზებული ქვეყნების სისხლის სამართალში საბოლოოდ დამკვიდრდა. ეს იყო პირობითი მსჯავრის იდეა. სოციოლოგიური სკოლის მამამთავარი, გამოჩენილი გერმანელი იურისტი ფრანც ლისტი სოციოლოგიური საშიშროების მიხედვით დამნაშავეებს სხვადასხვა ტიპებად ჰყოფდა. მათ შორის იგი გამოყოფდა, ერთი მხრივ, „გამოუსწორებელ დამნაშავეს“. აი, სწორედ ამ „შემთხვევითი დამნაშავის“ მიმართ ფ. ლისტი განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას მოითხოვდა. მისი აზრით, ციხე დამნაშავეს ვერ ასწორებს. პირიქით, დანაშაულებრივი უნარ-ჩვევების არმქონე, შემთხვევითი დამნაშავე ციხიდან გამოცდაჩაბარებულ, განვრთვნილ პროფესიონალად გვევლინება. აი, რატომ იყო, რომ ფ. ლისტი არ იზიარებდა და ჩვენც

ვერ გავიზიარებთ ფორმულას – „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“. მითუმეტეს, თუ ეს ნვრილმან დამნაშავესაც ეხება. ასე დამკვიდრდა „შემთხვევითი დამნაშავისათვის“ პირობითი მსჯავრის, სასჯელის პირობითი დანიშვნის იდეა.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსიის შემდეგ, მოდით ახლა კიდევ ერთხელ გადავხედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ადრინდელ ტექსტს. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითი“. ამ მუხლის 2006 წლის 28 აპრილის რედაქცია კი ასეთია: „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად.“

როგორც ამ ტექსტის შედარებიდან ჩანს, მუხლის ადრინდელი რედაქციის სიტყვები – „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება“ ამოღებულია, თუმცა ადრინდელი რედაქციის ბოლო სიტყვები – „დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“ – შენარჩუნებულია. რა მივიღეთ ამ ცვლილებით? მივიღეთ ის, რომ სასამართლოს აღარ ევალება იმსჯელოს დამნაშავის პიროვნებაზე, იმსჯელოს იმაზე, შეიძლება თუ არა „მსჯავრდებულის გამოსწორება“ სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე.

ასე რომ, 63-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, შეიძლება გარეთ დარჩეს საშიში, გამოუსწორებელი დამნაშავეც, თუკი მას საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებენ. სამაგიეროდ, ციხეში უნდა გავეუშვათ მსჯავრდებული, რომლის გამოსწორება, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ სავესებით გასაგები მიზეზის გამო, ის უარს ამბობს საპროცესო შეთანხმებაზე ანდა თვითონ პროკურორი არ არის ამის თანახმა. ერთი სიტყვით, პირობითი მსჯავრი, კოდექსის 63-ე მუხლის ახალი რედაქციით, არსებითად გაუქმებულია. სიტყვები „პირობითი მსჯავრი“ ამ მუხლის სათაურსა და ტექსტს მხოლოდ ფორმალურად შემორჩა. ასეთი სისხლის სამართლის პოლიტიკა ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვერ წაგვიყვანს.

თუმცა კოდექსის 63-ე მუხლის ახალი რედაქციის ტექსტი სხვა მხრივაც იმსახურებს კრიტიკას. საქმე ის არის, რომ აშკარა წინააღმდეგობაა 63-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებს შორის. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“. რაც შეეხება მესამე ნაწილს, აქაც სასჯელის „პირობითად“ ჩათვლაზეა ლაპარაკი. მაგრამ ამის უფლება სასამართლოს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა მსჯავრდებული „აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან“. აქ, როგორც ვხედავთ, „საპროცესო შეთანხმება“ საერთოდ აღარ არის ნახსენები.

როგორ მოიქცეს ახლა სასამართლო, 63-ე მუხლის რომელი ნაწილის ტექსტით უნდა იხელმძღვანელოს მან პირობითი სასჯელის დანიშვნის დროს? იქნებ პროექტის ავტორებმა გვიპასუხონ ამ კითხვაზე.

ახლა ვნახოთ, რა შეიცვალა კოდექსის კერძო ნაწილში. ეს ცვლილებები იწყება 109-ე მუხლით, რომელიც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისთვის პასუხისმგებლობას აწესებს. აქ დამამძიმებელ გარემოებათა ზუსტი ჩამონათვალია, რომელსაც სასამართლო ვერ გასცდება და ვერ დამამძიმებს პასუხისმგებლობას ისეთი გარემოებით, ამ ჩამონათვალში რომ არ შეუტანია კანონმდებელს. სანქცია, ესე იგი კოდექსის მუხლის ის ნაწილი, სადაც სასჯელია მოცემული, 109-ე მუხლს ერთი ჰქონდა. ამიტომ ამ მუხლის თავდაპირველი რედაქცია ერთნაირი იყო.

ჩვენს ახალ კანონმდებლებს 109-ე მუხლის ეს რედაქცია არ მოსწონებიათ, რადგან მასში ხარვეზი აღმოუჩინიათ. ხარვეზად მათ ის მიუჩნევიათ, რომ განზრახი მკვლელობის იმ თოთხმეტი დამამძიმებელი გარემოებისათვის, 109-ე მუხლის დისპოზიციით რომ არის ჩამოთვლილი, ერთი საერთო სასჯელი – ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა იყო დაწესებული. „აქედან გამომდინარე – ვკითხულობთ 2006 წლის 28 აპრილის კანონის პროექტის განმარტებით ბარათში – გაუგებარია, რა პრინციპით უნდა შეარჩიოს ქმედების დასჯადობის სიმკაცრე მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანოებმა ან რა

პრინციპით უნდა დამძიმდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ისეთი გარიგების შეთავაზებისა, სადაც შელახული იქნება როგორც მართლწესრიგის აღდგენის პრინციპები, ასევე კონსტიტუციური სამართლიანობის დამკვიდრების მექანიზმები“.

ამ ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი განმარტების საფუძველზე, 109-ე მუხლით ჩამოთვლილი თოთხმეტი დამამძიმებელი გარემოება სამ ჯგუფად დაყვეს და თითოეულ ჯგუფს თავისი სასჯელი დაუნესეს. ასე მივიღეთ 109-ე მუხლის სამნაწილიანი ტექსტი, ერთნაწილიანის ნაცვლად. აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რამდენად სწორად დააჯგუფეს ეს გარემოებები სიმძიმის მიხედვით. ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ 109-ე მუხლის პირველი ნაწილით განზრახი მკვლელობისათვის თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. მეორე ნაწილი ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მესამე ნაწილი თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ყურადღება მიაქცეით თავისუფლების აღკვეთის მინიმუმს, რომელიც ამ მუხლის პირველ ნაწილში თერთმეტი, მეორეში – ცამეტი, ხოლო მესამეში – თექვსმეტი წელია.

თავისუფლების აღკვეთის ასეთი მაღალი მინიმალური ზღვარი მარტო 109-ე მუხლის ახალ რედაქციაში როდი გვხვდება. 2006 წლის 28 აპრილის კანონმა, აქაოდა ხარვეზი უნდა შეივსოსო, კოდექსის ბევრ მუხლში სასჯელის მინიმალური ზღვარი საგრძნობლად აამაღლა. მაგალითად, ორნაწილიანი 117-ე მუხლი რვანაწილიანად ჩამოაყალიბეს და მე-8 ნაწილისათვის ათიდან ცამეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დააწესეს. ასეთსავე სურათს ვხედავთ 137-ე (გაუპატიურება) და 138-ე (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება) მუხლების მე-4 და მე-5 ნაწილებშიც, სადაც სასჯელის სახით შესაბამისად – თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე და თხუთმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. ნახეთ აგრეთვე 143¹, 143², 144, 179, 183-ე, 212-ე, 214 და სხვა მუხლები. სულ კოდექსში 2006 წლის 28 აპრილის კანონის მიღების შემდეგ სამოცზე მეტი ისეთი მუხლი დაფთვალე, სადაც სასჯელის მინიმუმად ათი წლითა და მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთაა დადგენილი.

მე ამ საკითხს იმიტომ ვაქცევ აქ ასეთ ყურადღებას, რომ 2006 წლის 28 აპრილის კანონის პროექტის ავტორებმა არარსებული „ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით“ კოდექსის ცალკეული მუხლების ახალი რედაქციის შემოთავაზებით და დაკანონებით თვითონვე წარმოქმნეს არაერთი ხარვეზი, რამაც ჩვენი სასამართლო პრაქტიკა რთული ამოცანის წინაშე დააყენა. საქმე ის არის, რომ კოდექსის ის მუხლები, სადაც თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი ათი წლითა და მეტი ვადითაა განსაზღვრული, პირდაპირ ეწინააღმდეგება 88-ე მუხლს, რომელიც არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადას ადგენს. ამ მუხლით „არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არა უმეტეს ათი წლისა“. იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი თექვსმეტიდან თვრამეტი წლის ასაკშია, „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს თხუთმეტი წლისა“.

ვთქვათ, არასრულწლოვანმა, რომელსაც ჯერ თექვსმეტი წელი არ შესრულებია, ჩაიდინა განზრახი მკვლელობა, რომელიც 109-ე მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდა. 88-ე მუხლის მიხედვით ამ ასაკის არასრულწლოვანს არ შეიძლება ათ წელზე მეტი ვადით აღკვეთის თავისუფლება, ესე იგი ათი წელი მისთვის სასჯელის მაქსიმუმია. 109-ე მუხლის მესამე ნაწილი კი თექვსმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს. როგორც ვხედავთ, აქ სასჯელის ვადის მინიმუმი თექვსმეტი წელია. ამიტომ სასამართლო მძიმე ამოცანის წინაშე დგება, რადგან მას არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის უფლება არა აქვს.

მეორე მაგალითი. სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილით მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის თხუთმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. თუ ამ დანაშაულს თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ჩაიდენს, სასამართლოს არა აქვს უფლება მას თხუთმეტ წელზე მეტი ვადით აღკვეთის თავისუფლება, რადგან ეს ეწინააღმდეგება კოდექსის 88-ე მუხლს. მაგრამ არც თხუთმეტ წელზე ქვევით შეუძლია ჩამოვიდეს, ვინაიდან მას 137-ე მუხლის მე-5 ნაწილის სანქცია ამის საშუალებას არ აძლევს. ასე მივიღეთ აბსოლუტურად განსაზღ-

ვრული სანქციის ნაირსახეობა და ისიც არასრულწლოვანის მიმართ – თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, არც მეტი, არც ნაკლები.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ დასავლეთის ცივილიზებულიმა ქვეყნებმა აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია ამ ორასი წლის წინ უარყვეს. გამოჩენილი რუსი იურისტი ნ. ტაგანცევი ჯერ კიდევ 1902 წელს წერდა, რომ ამ სახის სანქცია კანონმდებელს შესაძლებლობას ართმევს „გაითვალისწინოს და წინასწარ განსაზღვროს ცხოვრების ყველა უცნობი და უთვალავი მხარე, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებაში და განსაკუთრებით მისი ჩამდენის პიროვნებაში აისახება“ (იხ. Н.С. Таганцев, Русское уголовное право, т. 1, стр. 155). ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის საფუძველზე, სამართლიანი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებამდეც გვხვდებოდა ისეთი მუხლები, სადაც თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი ათი წლითა და მეტი ვადით განისაზღვრებოდა. ჩვენ კოდექსის ადრინდელ ტექსტში სულ ოცდაექვსი ასეთი სანქცია დავთვალეთ. მაგრამ 2006 წლის 28 აპრილის კანონმა, ნაცვლად იმისა, რომ ეს ხარვეზი აღმოეფხრა, რომ იტყვიან, ცეცხლზე პირდაპირ ნავთი გადაასხა და ოცდაექვსი შემთხვევა სამოცდასამამდე აიყვანა, რითაც აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას კოდექსში კიდევ უფრო მყარი საფუძველი შეუქმნა. მაგრამ რას იზამ?! ჩვენი თვალეცქერიალა, ტკბილად მოჟღერებულ ნეოკომკავშირელი გოგო-ბიჭები, დღეს რომ საქართველოს პარლამენტს ასე ამშვენებენ, საკანონმდებლო ტექნიკის ასეთ ნიუანსებში, ცხადია, ვერ გაერკვეოდნენ.

შეიძლება გვითხრან, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლს დაეყრდნოს და არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის ზომის განსაზღვრის დროს 10 წლამდე ჩამოვიდეს. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. მაგალითად, თუ არასრულწლოვანის ქმედება დაკვალიფიცირებულია 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი თექვსმეტი წელია, სასამართლო ბევრი-ბევრი წლით ჩამოვიდეს ამ მინი-

მუმის ქვევით 88-ე მუხლის საფუძველზე და დამნაშავეს 10 წლით აღუკვეთოს თავისუფლება. 10 წელზე ქვევით კიდევ ჩამოსვლა ასეთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის საეჭვოა, რომელიმე სასამართლომ გაბედოს, ისიც დღევანდელ სასამართლოში, სადაც მოსამართლე დიდი წნეხის ქვეშაა. ასე რომ, საბოლოოდ, რაც არ უნდა დავეყრდნოთ 88-ე მუხლს, აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას ბევრ შემთხვევაში მაინც ვერ ავიცილებთ თავიდან.

ასეთი უხეში შეცდომებით სავსე პროექტის დაკანონება მაიძულებს, მივმართო საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს. ქალბატონო ნინო! საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ასეთ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას გამოცდილი სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რათა გადაისინჯოს მოქმედი კოდექსის ტექსტი იქ დასახელებული და სხვა ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. რაც მთავარია, კოდექსის ყოველი ცვლილების დროს პარლამენტმა ამ კოდექსის პროექტის შემდგენელი სამთავრობო კომისიის აზრიც უნდა მოისმინოს.

ჩავეყვით ქვემოთ. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გაძლიერებული პასუხისმგებლობაა დაწესებული ქურდობისათვის, „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“. კოდექსის პროექტზე მუშაობის დროს სამთავრობო კომისიამ „მნიშვნელოვანი ზიანის“ ზუსტი ცნების შემუშავება და დაკანონება საჭიროდ არ ჩათვალა, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს. სამწუხაროდ, 2006 წლის 28 აპრილის კანონის შემოქმედებმა, ეტყობა, ასეთი მდგომარეობა კოდექსის მორიგ ხარვეზად მიიჩნის და ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, 177-ე მუხლს დაურთეს შენიშვნა, სადაც „მნიშვნელოვანი ზიანის“ ცნებაა განსაზღვრული. შენიშვნის თანახმად „კოდექსის ამ თავში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით“. რამდენად გამართლებულია „მნიშვნელოვანი ზიანის“ ცნების ასეთი განსაზღვრა? საქმე ის არის, რომ ქურდობით ან ძარცვით დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრა კანონმდებელს წინასწარ არ შეუძლია. ერთ შემთხვევაში, დაზარალებული

შეიძლება იყოს მდიდარი, მეორე შემთხვევაში, ლარი-ლატაკი, ვისაც შიმშილით კუჭი უხმება. ამიტომ მდიდრისთვის შეიძლება ათასი ლარიც არ იყოს მნიშვნელოვანი ზიანი, ლარი-ლატაკისათვის კი ათი ლარიც მნიშვნელოვანი იყოს. როცა ჩვენ მნიშვნელოვან ზიანს 150 ლარით და მეტი თანხით განვსაზღვრავთ, რატომ არ ვითვალისწინებთ იმ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც დღეს საქართველოში მძინვარებს? ვთქვათ, პენსიონერს, რომელსაც პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ აქვს, ერთი თვის პენსია 35 თუ 40 ლარი მთლიანად მოპარეს. 177-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, ეს არ იქნება მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან თანხა 150 ლარზე ნაკლებია. სადაური სამართალია ეს? ჩვენი მაღალხელფასიანი კანონმდებლები ამ საკითხზე, ცხადია, არ დაფიქრებულან. თუმცა, კიდევ რომ დაფიქრებულიყვნენ, დარდით მაინცდამაინც თავს არ მოიკლავდნენ. როგორ გავიგოთ, ბატონებო, 177-ე მუხლისთვის დასახელებული შენიშვნის დამატება, ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ ახალი ხარვეზის წარმოსაქმნელად? მკითხველი ამ კითხვას პასუხს ალბათ, თვითონ გასცემს.

სხვა ხარვეზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 2006 წლის 28 აპრილის კანონს წითელ ზოლად გასდევს ერთი ისეთი თავისებურება, რაზედაც საგანგებოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ამ კანონით კოდექსში შემოტანილი ცვლილებები თითქმის მთლიანად ცალკეული მუხლების სანქციებს უკავშირდება. მთლიანობაში აქ ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა. აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის ზღვარი, რაც შეიძლება, დავინრობებულია. მაგალითად, თუ 109-ე მუხლის ადრინდელი რედაქცია ათიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებდა, ახალი რედაქციით მივიღეთ – პირველი ნაწილით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, მეორე ნაწილით – ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, ხოლო მესამე ნაწილით – თექვსმეტიდან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მაშასადამე, თუ ამ მუხლის ადრინდელი რედაქციით ეს ზღვარი ათ წელს შეადგენდა, ახალი რედაქციით ამ ზღვარის მაქსიმუმი ხუთი წელიც კი არა არის.

იმ მუხლებში, სადაც თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი ადრინდელი რედაქციით განსაზღვრული არ იყო

და მხოლოდ მაქსიმუმი იყო მოცემული, ახალი რედაქციით უკვე დაწესებულია მინიმუმიც. მაგალითად, 112-ე მუხლით დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე. 2006 წ. 28 აპრილის კანონმა ეს სანქცია ასე შეცვალა – თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე. ამ სახის ცვლილება კოდექსში უამრავია. რა ხდება? რა მიზეზით უნდა იყოს გამონვეული კოდექსში თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის ზღვარის ასეთი დავინრობა, რასაც 2006 წლის 28 აპრილის კანონპროექტების ავტორები კოდექსში შემჩნეული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით ხსნიან? დიდი დაფიქრება არ უნდა იმას, რომ ეს ყველაფერი მოსამართლის დამოუკიდებლობის შეზღუდვისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას ისახავს მიზნად. გავიხსენოთ თუნდაც 55-ე და 63-ე მუხლების ცვლილებები, სადაც „საპროცესო შეთანხმების“ ნიშნის შემოტანით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მოსამართლის დამოუკიდებლობა, რაზედაც ჩვენ დანვრილებით ვილაპარაკეთ ზემოთ.

ახლახან განვიხილეთ აგრეთვე 177-ე მუხლის შენიშვნა, რომლითაც სასამართლოს აშკარად შეეზღუდა შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს, რას ნიშნავს „მნიშვნელოვანი ზიანი“.

მოსამართლის საქმიანობის ასეთ ვიწრო ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც 2006 წლის 28 აპრილის კანონმა დაამკვიდრა ჩვენს კანონმდებლობაში, პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოსამართლო სამართლის იდეას, როგორც არ უნდა გვესმოდეს ჩვენ ამ იდეის მნიშვნელობა. კანონმდებელი, ამ იდეის მიხედვით, თეორეტიკოსია. ის ზის ოთახში და თხზავს კანონს. სასამართლო პრაქტიკაში კი შეიძლება ისეთი შემთხვევა ამოტივტივდეს, რომელსაც კანონმდებელი კი არა, თვით მამალმერთიც რომ ვერ მოისაზრებდა წინასწარ. ამ შემთხვევასთან პირდაპირ შეხება კი მოსამართლეს აქვს. ამიტომ კანონმდებელმა კანონის ტექსტი ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ მოსამართლეს ამ შემთხვევის სამართლიანი გადაწყვეტის შესაძლებლობა მისცეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„გაკოტრების კანონის კრიტიკოსებს“¹



როინ მიბრიაული

ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი, ადვოკატი

1.

2009 წელს ჟურნალ „ინტელექტუალი“-ს #8 გამოცემაში გამოქვეყნდა სტატია „გაკოტრების საქმის წარმოების საკანონმდებლო სიახლეები“, რომლის ავტორები არიან ქალბატონი ქეთევან ქოქრაშვილი და ბატონი ლაშა გორგაძე.

ქალბატონი ქეთევან ქოქრაშვილი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი თანაავტორი კანონისა

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“², რომელიც მიღებული იქნა 2007წ. 15 აგვისტოს. იურიდიულ და საქმიან წრეებში აღნიშნული კანონი „ბენდუქიძის კანონად“ არის ცნობილი. გასაკვირი არ არის, რომ გადახდისუნარობის კანონმა, რომელიც იმ პერიოდში გაბატონებული პარტიის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა, იურიდიულ ლიტერატურაში სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა.³

გადახდისუნარობის კანონის მიღებისთანავე გაუქმდა 1996 წლის 25 ივნისის კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“.⁴ გაკოტრების კანონი, რომელიც გერმანელი ექსპერტების მონაწილეობით იქნა შემუშავებული და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა, პრაქტიკაშიც წარმატებით დაინერგა. მოქმედების 10 წლის განმავლობაში გაკოტრების კანონმა სათავე დაუდო აგრეთვე გაკოტრების სამართლის მეცნიერების განვითარებას. მის წვლილს არც სტატიის ავტორები უარყოფენ და სამართლიანად აღიარებენ, რომ გაკოტრების კანონის „მიღებიდან დღემდე საგაკოტრებო სამართალი განვითარდა, დაგროვდა პრაქტიკული გამოცდილება“.

2.

მიუხედავად გაკოტრების კანონის ასეთი დადებითი შეფასებისა, სტატიის ავტორები იქვე სრულიად საპირისპიროს ასკვნიან, თითქოს ამ ყველაფერმა „ცხადჰყო მოქმედი კანონის არა ადეკვატურობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან“. აქ ცოტა გაუგება-

1 სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა გაზეთში „ბანკები და ფინანსები“ 2013წ. ოქტომბერ-ნოემბერის ნომრებში #341 და #342

2 შემდგომში სიმარტივისათვის მას „გადახდისუნარობის კანონით“ მოვისხენიებთ

3 რ. მიგრაული, „გადახდისუნარობის ახალი კანონის შუქ-ჩრდილები“, ჟურნალში: „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ. ოქტომბერი, ასევე რ. მიგრაული, „მენარმისათვის კაბალური კანონი და გართულებული პროცედურები, ინტერვიუ ჟურნალში: „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ. ნოემბერი

4 შემდგომში სიმარტივისათვის ამ კანონსაც „გაკოტრების კანონად“ მოვისხენიებთ

რია კონტექსტი: თუკი კანონმა საფუძველი ჩაუყარა გაკოტრების სამართლის განვითარებასა და ხელი შეუწყო პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებას, მაშინ რატომ აღმოჩნდა იგი არაადეკვატური ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან.

ნამდვილად, საკვირველია ქალბატონი ქეთევან ქოქრაშვილის მოსაზრება გაკოტრების კანონის არაადეკვატურობაზე მაშინ, როცა მან, როგორც ეკონომიკის ყოფილი მინისტრისა და შემდგომში სახელმწიფო მინისტრ კახაბერ ბენდუქიძის მთავარმა მრჩეველმა 2005-2008 წლებში, კარგად უნყის, თუ რა არაადეკვატური იყო თავად აღნიშნული სამინისტრო და კახაბერ ბენდუქიძის თაოსნობით გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი. საყოველთაოდ ცნობილია კახაბერ ბენდუქიძის ე.წ. „ეკონომიკური რეფორმის“ შინაარსი: საქართველოში არსებული ქონებრივი სიკეთეები პრივატიზაციის შედეგად სწრაფად და იაფად უნდა გაყიდულიყო.⁵ სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა კერძო სექტორზეც იქნა გავრცელებული.

სწორედ ქონებების სწრაფად გაყიდვის სურვილმა აქცია არაადეკვატურად გაკოტრების კანონი ეკონომიკის ე.წ. „რეფორმატორებისათვის“, რომლებმაც მიაღწიეს კიდევ მის გაუქმებას. ევროპულ სტანდარტებს მიახლოებული გაკოტრების გაუქმებული კანონი სწორედ რომ გაკოტრების წარმოების დაწყებისა და მისი შემდგომი განვითარების დახვეწილ წესებსა და გონივრულ ვადებს შეიცავდა.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ადვილად დაგვარწმუნებს, თუ რატომ არის აუცილებელი გონივრული ვადები გაკოტრების/გადახდისუუნარობის წარმოების დროს და რა მიზანს ისახავს კანონმდებელი ასეთი ვადების დაწესებისას:

გაკოტრების გაუქმებული კანონით, იმისათვის რომ მოსამართლეს გაეხსნა გაკოტრების წარმოება, მას

ჰქონდა, სულ მცირე, ძირითადი 45-დღიანი ვადა, მისი შემდგომში 2-ჯერ ერთთვისანი ვადით გაგრძელების უფლებით (ანუ ჯამში 95 დღე). გადახდისუუნარობის კანონმა საერთოდ არაგონივრული ვადა დაუწესა მოსამართლეს – გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი მან მხოლოდ 5 (!!) დღის ვადაში უნდა გადაწყვიტოს. სასამართლო პრაქტიკამ თვალნათლივ აჩვენა, რომ აღნიშნული ვადა არასაკმარისია იმისათვის, რომ მოსამართლემ საფუძვლიანად შეისწავლოს გადახდისუუნარობის წარმოების წინაპირობები და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება: მიიღოს განცხადება წარმოებაში (რაც წარმოების გახსნის ტოლფასია) თუ დაახარვეზოს იგი. გადახდისუუნარობის საქმის განმხილველი მოსამართლისათვის არ არის ეს 5 დღე იმისათვის საკმარისი, რომ მოუსმინოს მოვალეს, დაკითხოს მოწმეები და ექსპერტები, როგორც ეს იყო გაუქმებული გაკოტრების კანონით გათვალისწინებული.⁶ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ვალაუვალი მოვალე ნამდვილად გადახდისუუნაროა, ან იმყოფება მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე (ანდა ზედავალიანებულია⁷). შედარებისათვის, გერმანული ინზოლვენციის სამართლის მიხედვით, გაკოტრების მოსამართლე საერთოდ არ არის რაიმე ვადით შეზღუდული!

გაკოტრების სამართალში წარმოების გახსნის საკითხის საფუძვლიანად გადაწყვეტას იმიტომაც ექცევა დიდი ყურადღება და ვადებიც იმიტომაც გონივრულად შერჩეული, რომ ამ დროს დაშვებულმა შეცდომამ (თუკი უსაფუძვლოდ გაიხსნა წარმოება) შეიძლება შემდეგი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს: პირველი, აფორიაქდება კრედიტორთა მთელი შემადგენლობა, რადგანაც ისინი იძულებულნი ხდებიან, რომ დაწესებულ ვადებში ჩაერთონ გახსნილ წარმოებაში, თუ არადა წარმოების გარეთ დარჩებიან; მეორეც, მთლიანად უნდა გადაეწყოს მოვალის მართვის სისტემა და სტრუქტურა, ვინაიდან გაკოტრების მმართველი მართვის ყველა ორგანოს განარი-

5 კახაბერ ბენდუქიძის ეკუთვნის გახმაურებული ფრაზა – „იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა“.

6 შდრ. გაკოტრების კანონი, მუხლი 7.1.

7 გაუგებარია, საერთოდ, თუ რატომ თქვეს უარი გადახდისუუნარობის კანონის ავტორებმა „ზედავალიანებაზე“ როგორც გაკოტრების ერთ-ერთ საფუძველზე.

დებს საწარმოს მართვისაგან და ერთპიროვნულად განახორციელებს მართვის უფლებამოსილებას; მესამეც, არსებითად შეიძლება შეილახოს მოვალის საქმიანი რეპუტაცია, როდესაც საქმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ სუბიექტს ეხება; მეოთხეც, იწყება მოვალისათვის ყველაზე ხარჯიანი წარმოება, ვინაიდან გაკოტრების მასით უნდა დაფინანსდეს გაკოტრების მმართველის გასამრჯელოც და მასის ყველა ხარჯი და ვალდებულება.

მიუხედავად გაკოტრების წარმოების გახსნისათვის საჭირო ხანგრძლივი ვადებისა, ეს გარემოება სრულებითაც არ უშლის ხელს გერმანელ მოსამართლეს, რომ გაკოტრების წარმოების გახსნის პერიოდში (რომელიც გერმანული გაკოტრების პრაქტიკის მიხედვით შეიძლება ნ თვეზე მეტი ხნის განმავლობაშიც კი გაგრძელდეს) განსაკუთრებული გულისხმიერებით იზრუნოს გაკოტრების მასის შესანარჩუნებლად, კერძოდ, იგი დაუყოვნებლივ ნიშნავს მასის დაცვასა და შენახვაზე პასუხისმგებელ პირს – გაკოტრების (იმავე ინზოლვენციის) დროებით მმართველს (vorläufiger Insolvenzverwalter)⁸, რომელიც ამოირჩევა თავისი კერძო სუბიექტურობითა და პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობით! გაკოტრების მასის დაცვის სწორედ ასეთ სისტემას იცნობდა გაუქმებული გაკოტრების კანონი, რომელიც, კრიტიკოს ავტორთა მოსაზრებით, თურმე არაადეკვატური აღმოჩნდა „ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან“.

ეკონომიკის ე.წ. „რეფორმატორთა“ და ამ პერიოდის პოლიტიკოსთა ძირითადი მიზანი ხომ მათთვის საინტერესო საწარმოებისა და მათი ქონების ხელში სწრაფად ჩაგდების სურვილი იყო. ამიტომაც, არ იყო გასაკვირი, რომ გადახდისუუნარობის კანონის ავტორებმა არა მხოლოდ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყების ვადები შეამცირეს მინიმუმამდე, არამედ საქმის წარმოების დასასრულებლად, რაც ყოველად მიუღებელია, ფიქსირებულად განსაზღვრული მინიმალური ვადებიც კი დაანესეს. მაგალითად: მოვალის ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქ-

მის დასამთავრებლად, რომელიც გაკოტრებით უნდა დასრულდეს, გამოყოფილია არა უმეტეს 207 დღისა, ხოლო კრედიტორების ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის დასამთავრებლად – არა უმეტეს 225 დღისა.⁹

დღემდე ვერანაირი ახსნა ვერ მომიძებნია, თუ რა კრიტერიუმებით დაითვალეს ავტორებმა ასეთი ვადები ან რა სამართლებრივ პრაქტიკას დააფუძნეს მათ ისინი.

3.

წერილის ავტორები ვადების შემცირების აუცილებლობას იმით ხსნიდნენ, რომ თითქოს „ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ უკვე აღძრული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმეთა დასრულებას“, და ამის მიზეზად „უარგუმენტოდ ვადებში გაწეული პროცესებს“ ასახელებდნენ. მათი აზრით, ასეთი პროცესები „ფაქტობრივად, არ ემსახურებოდა კონკრეტული ობიექტის არც ლიკვიდაციას და არც გაჯანსაღებას“. მეტიც, გაკოტრების კანონის კრიტიკოსები მიჩნევენ, რომ მოქმედი გადახდისუუნარობის კანონი „გაცილებით ოპერატიულად ანესრიგებს მრავალი წლის წინ დაწყებულ გაკოტრებისა და რეაბილიტაციის დაუსრულებელ და ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად წამგებიან პროცესებს“.

არადა, ობიექტური გარემოებაა, რომ გადახდისუუნარობის წარმოებაში შეიძლება ახალი სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებიც აღმოცენდეს, რომლებმაც, თავის მხრივ, ბიძგი ახალ სასამართლო პროცესების დაწყებასაც შეიძლება მისცენ. კერძოდ, სასამართლო პროცესები შეიძლება დაიწყონ კრედიტორებმა მათ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც ან საერთოდ არ

8 გერმანიის ინზოლვენციის კანონი (Insolvenzordnung), მუხლი 21

9 შდრ. გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 5¹

მოხვდა, ანდა ნაწილობრივ აისახა მოთხოვნების ტაბულაში; კრედიტორებს ამის უფლებამოსილებას თავად გადახდისუუნარობის კანონი აძლევს¹⁰; გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) წარმოებისათვის არ არის უცხო მოვალის გაკოტრებამდელი „ცხოვრებიდან“ გადმოყოლილი სასამართლო პროცესებიც (ე.წ. „მოლივლივე პროცესები“)¹¹. შესაბამისად, გადახდისუუნარობის გახსნილ წარმოებაში დგება ამ პროცესების დასრულების აუცილებლობაც. გადახდისუუნარობის კანონისათვის უცხო არ არის აგრეთვე „მოვალის ქონებასთან დაკავშირებული დავები“, სადაც მოვალის ქონება კრედიტორთა „ინტერესის საგანს“ წარმოადგენს.¹² ამიტომ, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება, როდესაც ასეთი სასამართლო დავების ხანგრძლივობაც მკაცრ მინიმალურ ვადებშია ჩასმული. მაგალითად, მოდავე კრედიტორებს გადახდისუუნარობის კანონმა გაუგონრად მცირე ვადები დაუნესა – სარჩელის შესატანად 5-დღიანი ვადა (რომელიც აითვლება კრედიტორთა პირველი კრების ჩატარებიდან)¹³, ხოლო, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ასეთი სარჩელების განხილვის დასასრულებლად, ყველა ინსტანციის სასამართლოს, მათ შორის სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს, დაწესებული აქვთ 20-დღიანი ვადა(!), რომელიც სარჩელის (შესაბამისად, აპელაციის ან კასაციის) წარმოებაში მიღებიდან აითვლება.¹⁴

გაუქმებული გაკოტრების კანონისათვის, რომელიც უსამართლო კრიტიკის ქარცეცხლში მოაქციეს, მიუღებელი იყო გაკოტრების წარმოებისათვის რაიმე ვადის დაწესება, გაკოტრების მმართველს ხომ სრულყოფილად უნდა დაესრულებინა ყველა სასამართლო დავა, მათ შორის ისინი, რომლებიც აქტივების გასამრავლებლად იყო წარმოებული (როდესაც ვალაუვა-

ლი მოვალე მოსარჩელად გვევლინებოდა ქონებრივ დავებში და გაკოტრების მმართველი მოპასუხეებს ისეთ ქონებას ედავებოდა, რომლებიც შეიძლება გაკოტრების მასაში მოხვედრილიყო), და ისინიც, რომლებიც აქტივების შენარჩუნებას ემსახურებოდა (როდესაც გაკოტრების მმართველი ვალაუვალი მოვალის სახით, როგორც მოპასუხე, მოსარჩელეებისაგან იცავდა გაკოტრების მასაში შემავალ ნივთებს). მხოლოდ ასეთი დავების დასრულების შემდეგ ხდებოდა გაკოტრების მასის საბოლოო ფორმირება. შესაბამისად, ყველა კრედიტორს შეეძლო ზუსტად გაეთვალა, თუ რა ოდენობის თანხას მიიღებდა გაკოტრების მასაში საბოლოოდ აღრიცხული ქონებების რეალიზაციისაგან.

ამიტომაც, მიუღებელია მოსამართლეების კრიტიკა სტატიის ავტორთა მხრიდან, როდესაც ისინი მათ ადანაშაულებენ განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების გამო. სწორედ ვადების გონივრულად გამოყენებამ და მოსამართლეთა მიერ მიღებულმა კანონიერმა გადაწყვეტილებებმა მოუპოვა გაუქმებულ გაკოტრების კანონს დიდი ნდობა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში (მენარმეებში, ეკონომისტებში, იურისტებში და ა.შ.). ამიტომაც, ვერ გავიზიარებთ სტატიის ავტორთა მოსაზრებას, რომ თურმე, „1996 წლის კანონი ვერ ამართლებდა ამ კანონის ძირითად „მომხმარებელთა“ – მოვალისა და კრედიტორთა მოლოდინს“. ხოლო თუ რას ემსახურება დღეს გადახდისუუნარობის კანონის ე.წ. „ოპერატიულობა“, ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც „გაკოტრებული კომპანიების“ ქონებები გადახდისუუნარობის წარმოებების მეშვეობით სახელმწიფოსა და კონკრეტული კომერციული ბანკების სასარგებლოდ გადანაწილდა.

10 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 11.1 „ა“

11 ე.წ. „მოლივლივე პროცესების“ საკითხი საერთოდ იგნორირებულია გადახდისუუნარობის კანონით. „მოლივლივე პროცესების“ შესახებ დეტალურად იხ. როინ მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების სამართალში“ (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-2 გადამუშ. გამოცემა, თბ. 2006, გვ. 115-121

12 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 4, პუნქტები 5, 5¹, 5² და 5³

13 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 11.3

14 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლები 11.4, 11.5 და 11.6

4.

სტატიის ავტორები მოსამართლეებს ადანაშაულებენ ცდომილებებში „კანონის სწორად განმარტების, გამოყენებისა და ადმინისტრირების კუთხით“, აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილებების არაკონკრეტულობის გამო. ამ ყველაფრის მიზეზად ისინი მიიჩნევენ გაკოტრების კანონის არასრულყოფილებას და თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და რეალურად საქართველოში არსებული ვითარებისადმი შეუსაბამობას.

უკვე აღიარებული ფაქტია, რომ საქართველოში „არსებული ვითარება“¹⁵ აშკარად არ იყო სახარბიელო მენარმეებისათვის, რომელთა ბიზნესი და ქონება დაკარგვის ან განადგურების სერიოზული და რეალური საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა. გაუქმებული გაკოტრების კანონი გაბატონებული პარტიის მაშინდელ მესვეურებს აშკარად არ აძლევდა ხელს მენარმეთა ქონებების სწრაფად დაუფლებაში. სტატიის ავტორთა მოსაზრებით, ესა თუ ის კანონი ნებისმიერ შემთხვევაში „მორგებული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, უნდა პასუხობდეს კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნებს“.

სწორედ „კონკრეტულ საზოგადოებას“ – გაბატონებული პარტიის (ნაციონალური მოძრაობის) ელიტას ვერ მოერგო გაუქმებული გაკოტრების კანონი და როგორც კრიტიკოსები აცხადებენ, საქართველოში ცალსახად გაჩნდა მისი „ახალი კანონით შეცვლის აუცილებლობა“.

5.

გაკოტრების კანონის კრიტიკოსები გაუქმებულ კანონს ისეთი „ეკონომიკური სიკეთების“ ხელყოფაშიც ადანაშაულებენ, როგორებიცაა: ინვესტიციების მოზიდვა, სანარმოთა ეფექტური მართვა, ბაზარზე მონაწილე ობიექტების, როგორც ერთიანი სანარმოო

კომპლექსის შენარჩუნება და პრივატიზება. და თურმე, ამ ყველაფერში ბრალეული „გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესის არაეფექტური წარმოება“, მათი „რთული და მოუწესრიგებელი პროცედურები“ ყოფილა!

შესაშური ლოგიკაა, თუმცა სტატიის ავტორებს, რომლებიც იმ პერიოდში ეკონომიკურ გუნდს წარმოადგენდნენ, უნდა სცოდნოდათ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ელემენტარული ეკონომიკური წინაპირობები: ინვესტიცია იმ ქვეყანაში მიედინება, სადაც ხელსაყრელი საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოა! იმ პერიოდში არსებული ხელისუფლების პირობებში ქვეყანაში გატარებულ არასწორ ეკონომიკურ რეფორმებზე ბევრი დაინერა და ბევრი ითქვა. რაც შეეხება საკანონმდებლო გარემოს, იგი არცთუ ისე სახარბიელო იყო ინვესტორებისათვის, განსაკუთრებით, უცხოელი ინვესტორებისათვის. ამ პერიოდში მიღებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინვესტორებს აშკარად უსპობდა საქართველოში ინვესტიციების განხორციელების სურვილს. საინვესტიციო კანონმდებლობაში, რომელიც უცხოელი ინვესტორების დაცვის გარანტიებს ადგენდა, სწორედ 2009 წელს (ქ. ქოქრაშვილისა და ლ. გორგაძის სტატიის გამოქვეყნების წელს) შევიდა ცვლილება, რომელმაც უცხოელ ინვესტორებს მოუსპო საერთაშორისო არბიტრაჟში სახელმწიფოს წინააღმდეგ დავის შესაძლებლობა.¹⁶ ხოლო 2007 წელს მიღებულმა გადახდისუუნარობის კანონმა კრედიტორთა მოთხოვნების ცხრილში (ე.წ. გაკოტრების ტაბულაში) ინვესტორები, მათ შორის უცხოელი ინვესტორები, საქონლის მომწოდებლები თუ პროდუქციის მწარმოებლები 7-რიგის ცხრილში ბოლოსწინა, მე-7 რიგში განათავსა. ასეთი საკანონმდებლო ცვლილებებითა თუ სიახლეებით მწარმოებლებსა და მომწოდებლებს მოესპოთ საბოლოო შანსი იმისა, რომ მწირი სამეურვეო ქონების ამონაგებიდან საერთოდ მიიღონ თანხის რაიმე ნაწილი მაინც. ეს იმ პირობებში, როცა ცხრილის წინა რიგებში (მაგ. მე-4 და მე-5 რიგი) კომერციული ბანკებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნები იქნა განთავსებული. 2007-2012 წლების გადახდისუუნარობის პრაქტი-

15 მართალია, ქ. ქოქრაშვილისა და ლ. გორგაძის სტატია 2009 წელს გამოქვეყნდა, თუმცა, ეს პერიოდიც ასევე უარყოფითად არის შეფასებული საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით

16 შდრ. 1996წ. კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, მუხლი 16, პუნქტი 2.

კამ გვიჩვენა, რომ მთლიანი სამეურვეო ქონებიდან მიღებული ამონაგები მხოლოდ მე-4 რიგის კრედიტორებს შორის ნაწილდებოდა.

ამიტომაც, არ მჯერა სტატიის ავტორთა მიერ გამოხატული ზრუნვა ახალი კრედიტორების მიმართ, ისევე, როგორც არ მჯერა მათი მისამართით გამოხატული დადებითი დახასიათებისა: ახალი კრედიტორების მიერ განეული რისკი მათ შეაფასეს როგორც „ყველაზე სერიოზული“, ხოლო თავად ახალი კრედიტორები მიიჩნიეს მოვალის მხარდამჭერებად, რომლებმაც „დახმარების ხელი“ გაუწოდეს გადახდისუუნარობაში მყოფ საწარმოს და ფინანსურად შეუწყვეს მას ხელი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად და რეაბილიტაციის შანსის გამოსაყენებლად. მართალია, გადახდისუუნარობის კანონით ახალი კრედიტორები მოთხოვნების ცხრილის მე-2 რიგში არიან განთავსებულნი¹⁷ და მათი მოთხოვნები უზრუნველყოფილ კრედიტორებზე ადრე კმაყოფილდება, მაგრამ არსებულმა საგაკოტრებო პრაქტიკამ თვალნათლივ დაგვანახვა შემდეგი ვითარება: ახალი კრედიტორები ან იშვიათად არიან წარმოდგენილნი გადახდისუუნარობის წარმოებებში, ანდა მათ ძალიან მიზერული მოთხოვნები აქვთ. სამწუხარო რეალობად იქცა ის ფაქტი, რომ იმ წარმოებებში, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტი და კომერციული ბანკები გვევლინებოდნენ უზრუნველყოფილ კრედიტორებად, ახალ კრედიტორებს არაფერი ესაქმებოდათ!

6.

გაკოტრების კანონის კრიტიკოსები ურცხვად აცხადებენ, რომ თითქოს გაკოტრების კანონში არსებობდა მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბოროტად გამოიყენებოდა მოვალეთა და კრედიტორთა მიერ. ერთ-ერთ ასეთ ხარვეზად სტატიის ავტორები მიიჩნევენ გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის მკაცრი კრიტერიუმების არარსებობას.

თუკი შევადარებთ, როგორ იყო მოწესრიგებული გაუქმებული გაკოტრების კანონით გაკოტრების მმართველის

ველის პასუხისმგებლობა, ადვილად დავრწმუნდებით, რა ტყულად გარჯილან სტატიის ავტორები გაკოტრების კანონის კრიტიკაში. გაკოტრების კანონი პირდაპირ განსაზღვრავდა გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის ფარგლებს – იგი სრულად, მთელი თავისი ქონებით აგებდა პასუხს.¹⁸ გარდა ამისა, გაკოტრების კანონი მიუთითებდა სუბიექტების იმ წრეზე, ვის წინაშეც იყო გაკოტრების მმართველი პასუხისმგებელი, კერძოდ, დასახელებული იყო გაკოტრების წარმოებაში მონაწილე ყველა პირი. ასეთ პირებში კი გაკოტრების კანონი მოიაზრებდა არა მხოლოდ მოვალესა და გაკოტრებაში მონაწილე კრედიტორებს, არამედ, აგრეთვე, ნებისმიერ მესამე პირს, რომლებთანაც გაკოტრების მმართველი საქმიან ურთიერთობას დამყარებდა (მაგ. ახალი, ანუ მასის კრედიტორები).

ახლა კი ვნახოთ, როგორ აწესრიგებდა გადახდისუუნარობის კანონი გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობას სტატიის შექმნის (ანუ 2009 წელს) და მის შემდგომ პერიოდში. გადახდისუუნარობის კანონის, როგორც 2009 წლის რედაქციის, ისე დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, დადგენილია, რომ გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს კრედიტორებთან დადებული ხელშეკრულებით.¹⁹ ამავე ნორმით გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად დასაშვებია იყო საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება. ამდენად, მოქმედ კანონს გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობა კრედიტორებთან სადისკუსიო თემად აქვს გადაქცეული. ასეთ დროს არის იმის თეორიული შანსი, რომ მოხერხებულმა გაკოტრების მმართველმა (თუ ის ადვოკატიცაა) შეძლოს პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა, თუკი კრედიტორებთან ხელშეკრულების დადებისას იგი წარმატებულად „ივაჭრებს“ მათთან, მაგალითად, ნაკლები ანაზღურების ხარჯზე მიაღწიოს პასუხისმგებლობის მინიმალისაციას ან საერთოდ გათავისუფლებას.

ამდენად, გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობის მკაცრი კრიტერიუმების არარსებობა სწორედ

¹⁷ გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 40.1 „ბ“

¹⁸ გაკოტრების კანონი, მუხლი 15.3

¹⁹ შდრ. გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 37.4

გადახდისუუნარობის კანონის ავტორების შემოქმედებაა. ამიტომ, უსაფუძვლოა სტატიის ავტორთა ეს ბრალდება გაუქმებული კანონის მიმართ.

7.

სტატიის ავტორები ლოგიკურად მიიჩნევენ კანონის სახელწოდების ცვლილებას და აშკარად გამოსატყვევებელი მოქმედი კანონის სახელწოდების – „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ – მხარდაჭერას. შესაბამისად, კრიტიკის ალში ახვევენ გაუქმებული კანონის სახელწოდებას: „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. კრიტიკოსები თვლიან, რომ მოქმედი კანონი „გაკოტრების პროცესთან ერთად არეგულირებს რეაბილიტაციის პროცესს, ხოლო ორივეს წინ უსწრებს გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს გაკოტრებით ან რეაბილიტაციით“. ამ ლოგიკით ისინი თვითონვე მოდიან თავიანთ თავთან წინააღმდეგობაში: თუკი გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა წინ უსწრებს გაკოტრებასა და რეაბილიტაციას – ამ ორ მნიშვნელოვან წარმოებას, მაშინ მხოლოდ „გადახდისუუნარობის“ ტერმინით რატომ შემოიფარგლა კანონის დასახელება. სტატიის ავტორთა დასაბუთება ასეთია: ტერმინი „გადახდისუუნარობა“ უფრო ზოგადია, ვიდრე „გაკოტრება“, იურიდიული ტექნიკის გათვალისწინებით კი სახელი უნდა მოიცავდეს ზოგადს და არა კონკრეტულს. აქაც მსჯელობის ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე: თუკი ტერმინი „გადახდისუუნარობა“ უფრო ზოგადია, მაშინ რატომ არის იგი კონკრეტული სასამართლოში წარსადგენი განცხადების ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მიმართ, რომელსაც კანონი პირველ შემთხვევაში „გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებად“ მოიხსენიებს²⁰, ხოლო მეორე შემთხვევაში – „გადახდისუუნარობის შესახებ განჩინებად“.²¹ უფრო მეტიც, მოქმედი კანონის მიხედვით, „გადახდისუუნარობა“ სასამართლოში განცხადების შეტანის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს,

„მოსალოდნელ გადახდისუუნარობასთან“ ერთად.²² ამ შემთხვევაშიც ტერმინი „გადახდისუუნარობა“ უფრო კონკრეტულია, ვიდრე – ზოგადი. აღნიშნული ტერმინის კონკრეტულობაზე მიუთითებს თავად ტერმინის შინაარსიც, რომელიც ტერმინთა განმარტებაშია მოცემული: „მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა“.²³ ანალოგიური შინაარსით გადახდისუუნარობა გაუქმებულ გაკოტრების კანონშიც იყო აღწერილი. სწორედ ამ კონკრეტული დეფინიციიდან გამომდინარე არ შეიძლება „გადახდისუუნარობის“ ტერმინისათვის ზოგადი (ფართო) შინაარსის მინიჭება.

სტატიის ავტორებს შეიძლება დავეთანხმო იმაში, რომ ზოგად ტერმინად არც „გაკოტრების“ გამოყენება შეიძლება, ვინაიდან გაკოტრება ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) წარმოებაა, რომელსაც მოვალის ქონების ლიკვიდაციისაკენ მივყავართ.

ასეთ ვითარებაში გამოსავალი იქნებოდა უფრო ნეიტრალური ტერმინის შერჩევა, რომელიც ყველა ინსტიტუტს (გადახდისუუნარობას, გაკოტრებასა და რეაბილიტაციას) ერთ საერთო ცნებაში გააერთიანებდა. ეს ცნება მოცემული სამართლის დარგისათვისაც იქნებოდა განმსაზღვრელი. გარდა ამისა, „გაკოტრების“ ტერმინზე უარის თქმით, მოისპობოდა ის შიშიც, რომელიც ამ ტერმინმა შემოღებისთანავე გააჩინა მენარმეებს შორის: იმ პერიოდში ხომ უღირსი კრედიტორები გაკოტრების დაწყების მუქარით აიძულებდნენ ზოგიერთ მენარმეს, რომ ვადაზე ადრე გადაეხადა მათთვის დავალიანება ან ჩაეყენებინა ისინი სხვებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში. ამიტომ დავეთანხმები სტატიის ავტორებს ტერმინ „გაკოტრების“ შეფასებაში, როდესაც ისინი ამ ტერმინს „ნეგატიური შინაარსის მატარებლად“ განიხილავენ.

„გაკოტრების“ ტერმინისაგან განსხვავებულ ზოგად ტერმინად იურიდიულ საზოგადოებას ჯერ კიდევ 1996 წელს შევთავაზებ არაქართული „ინზოლვენცი“-ს (ლათინური insolvency და გერმანული Insolvenz-ის)

20 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლები 14, 15, 16, 18, 19 და 20

21 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 21

22 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 13

23 გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 3 „ა“

ნაცვლად, წმინდა ქართული „ვალაუვალობა“.²⁴ გაუქმებული გაკოტრების კანონის სახელწოდების ცვლილებაც ამ ტერმინების ირგვლივ უნდა მომხდარიყო, იმის გათვალისწინებით, რომ უპირატესობა ქართული „ვალაუვალობისათვის“ მიგვენიჭებინა.

„ვალაუვალობის“ ტერმინისაგან იყო ნაწარმოები, ასევე, ტერმინი „ვალაუვალი“, რომლის დამკვიდრების მცდელობაც სწორედ გაუქმებულ გაკოტრების კანონს ჰქონდა. 1997 წელს, ამოქმედებისთანავე აღნიშნულ კანონში შემოდის და შემდეგ მკვიდრდება ქართული კერძო სამართლისათვის სრულიად ახალი სუბიექტი, ახალი ტიპის მოვალე – „ვალაუვალი მოვალე“.²⁵ ვალაუვალი მოვალე თავისი სამართლებრივი შინაარსით განსხვავდებოდა როგორც სამოქალაქო სამართლის მოვალისაგან, ისე – სააღსრულებო წარმოების მოვალისაგან.²⁶ რაც მთავარია, ამ ახალი სუბიექტის დასახელება გამოხატული იყო წმინდა ქართული ტერმინით – „ვალაუვალი“.

გაკოტრების კანონის შემდგომი სრულყოფისა და გადამუშავების შემთხვევაში სწორედ ტერმინი „ვალაუვალობა“ უნდა ქცეულიყო ზოგად ცნებად და მისგან უნდა ყოფილიყო ნაწარმოები მოცემული სამართლის ძირითადი ინსტიტუტები: ვალაუვალობის წარმოება, ვალაუვალობის სასამართლო, ვალაუვალობის შესახებ განჩინება, ვალაუვალობის კრედიტორი, ვალაუვალობის მმართველი და ა.შ. ზოგადი ცნების შემოღების აუცილებლობა უფრო მწვავე გახდა ახალი გადახდისუუნარობის კანონის პირობებშიც, რომელმაც სამი სხვადასხვა კონკრეტული წარმოება შემოგვთავაზა: სამეურვეო, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოება და მათ გამაერთიანებელ წარმოებად იყენებდა ვითომდა ზოგად ტერმინს – „გადახდისუუნარობის წარ-

მოება“. ამიტომ 2011 წელს ისევ შევთავაზე იურიდიულ საზოგადოებას, რომ ამ სხვადასხვა წარმოებების ერთმანეთში აღრევის თავიდან ასაცილებლად, ყველა წარმოება ერთ საერთო ცნებაში გაგვეერთიანებინა და მისთვის „ვალაუვალობის წარმოება“ გვეწოდებინა.²⁷

მიუხედავად 2007 წელს გადახდისუუნარობის კანონის მიღებისა და მისი სახელწოდებისა, ქართული უმაღლესი სასწავლებლების სამართლის სკოლებსა და იურიდიულ ფაკულტეტებზე 2008 წლიდან შემოღებულია და ისწავლება საგანი სახელწოდებით „ვალაუვალობის სამართალი“.²⁸ ეს კი იმის იმედს გვაძლევს, რომ „ვალაუვალობის სამართალი“, როგორც სამართლის ახალი მეცნიერება, ამავე სახელწოდებით გააგრძელებს არსებობას და შემდგომ სრულყოფას.

8.

გადახდისუუნარობის მოქმედი კანონი კიდევ ბევრ საკამათო და სადისკუსიო საკითხს შეიცავს, რომელთა განხილვაც შეუძლებელია ერთი სტატიის ფარგლებში. დღემდე რამდენიმე სტატიაში მაინც მომიხერხდა გადახდისუუნარობის კანონიდან რამდენიმე პრობლემური და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხის სადისკუსიოდ გამოტანა. აღნიშნული სტატიების ჩამონათვალი დასახელებულია სქოლიოებში. უახლოეს ხანში დღის სინათლეს იხილავს, ასევე, სტატია, რომელიც ეძღვნება ვალაუვალობის სამართალში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას – გაკოტრების მმართველს და გადახდისუუნარობის კანონში მის შემცირებულ სამართლებრივ სტატუსს.²⁹

24 იხ. როინ მიგრიაული, „გაკოტრების სამართლის ზოგიერთი საკითხი“, წიგნში: „სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული“, თბილისი 1996წ. გვ. 351

25 გაკოტრების კანონი, მუხლები 5, 11 – 17, 19, 21 – 24, 26, 27, 31, 34

26 უფრო დაწვრილებით, იხ. როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო)“ მე-2 გადამუშ. გამოცემა, 2006წ. გვ. 64-66

27 შდრ. რ. მიგრიაული, „მოვალის გადახდისუუნარობა – როგორც ვალაუვალობის წარმოების წინაპირობა“. სტატია გამოქვეყნდა 2011წ. მარტში ჟურნალში „ბიზნეს-კურიერი“; იხ. აგრეთვე წიგნში: როინ მიგრიაული, „ქართული კერძო სამართლის საკითხები, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა ბუბლიკაციები“, 1-ლი გამოცემა, 2011, გვ. 153

28 „ვალაუვალობის სამართალი“ როგორც სასწავლო დისციპლინა შემოიღო კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლამ და საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა

29 სტატია სახელწოდებით „გაკოტრების მმართველის სამართლებრივი სტატუსი 1996 წლის გაკოტრების კანონისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე“ დაიბეჭდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალში „სამართლის ჟურნალი“, N1 2013 წ.



ადვოკატის მოსაზრებები

იურისტთა ერთობა „გერმანელ იურისტთა დღეების“ მაგალითზე



ქეთევან ბუშაძე

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიონალთა ასოციაციის (GLIP) აღმასრულებელი დირექტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

1. შესავალი

ნებისმერი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იურისტების, სამართლის მცოდნეების ერთიანობა. აქ ვგულისხმობ არა ამა თუ იმ მიმართულების, პროფილისა თუ ინსტიტუტის იურისტთა ცალკეულ გაერთიანებას, არამედ ზოგადად იურისტების ერთიანობას, რომელთა მსჯელობა და ერთობლივი საქმიანობა ქვეყნის წინსვლისა და ქვეყნის უკეთესი მომავლის ერთ-ერთი საფუძველი იქნება. წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია ასეთი ერთობლივი მუშაობის ჩინებული მაგალითი – გაერთიანება „გერმანელ იურისტთა დღეები“ და ამავე გაერთიანების ფორუმი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

2. მოკლედ გაერთიანება – „გერმანელ იურისტთა დღეების“ შესახებ

1860 წელს, გერმანიაში, ქ. ბონში დაარსდა გაერთიანება „გერმანელ იურისტთა დღეები“ (შემდგომში – „გაერთიანება“). გაერთიანება შექმნილია რეგისტრირებული კავშირის ფორმით.¹ დღემდე იგი სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფსა თუ მიმართულებას მიკუთვნებული იურისტების საფიხვნოს წარმოადგენდა.² გაერთიანების მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფს, მიმართულებასა თუ ინსტიტუტს მიკუთვნებულ იურისტებს შორის ცოცხალი მსჯელობების ფორმატში, სამეცნიერო საწყისებზე, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ დამატებების საჭიროებებზე მსჯელობა, სამართლის განვითარების შესახებ წინადადებების დაყენება-განხილვა, სამართლის ხარვეზების აღმოჩენა და ცვლილების პაკეტის მომზადება.³

1933-1949 წლებში განვითარებული ისტორიული მოვლენების გამო, გაერთიანების საქმიანობა შეჩერებული იყო. 1960 წლიდან კი გაერთიანება აქტიურად არის ჩაბმული ნაციონალ-სოციალისტური სამართალწესრიგის აღმოფხვრასა და დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. მისი თაოსნობით მრავალი რეფორმა ჩატარდა, რომლებმაც ხელი შეუწყო გერმანული საზოგადოებისა და წესრიგის მოდერნიზებას.⁴

დღეს გაერთიანებას სხვადასხვა სამართლის სფეროში მოღვაწე 8.000-მდე წევრი ჰყავს. გაერთიანების კარი ღიაა სამართლის ნებისმერი სპეციალისტისათვის, რომელსაც ჩაბარებული აქვს სამართლის პირველი სახელმწიფო გამოცდა. მისი კარი, ასევე, ღიაა გერმანული სამართლის სკოლების სტუდენტებისა და სხვა ქვეყნის იურისტებისათვისაც.⁵

1 გერმანელ იურისტთა გაერთიანების წესდება (შემდგომში – „წესდება“), §1; <http://www.djt.de/der-verein/satzung/>

2 წესდება, §2;

3 წესდება, §2;

4 წესდება, §2; ასევე, <http://www.djt.de/der-verein/foerderer/>

5 <http://www.djt.de/die-tagungen/>; ასევე, <http://www.djt.de/recht-mitgestalten/mitglied-werden/>

გაერთიანების ორგანოებია: წევრთა კრება, მუდმივი დეპუტაცია (აღმასრულებელი საბჭო), საქმისმწარმოებელი კომიტეტი. გაერთიანებას ხელმძღვანელობს მუდმივი დეპუტაცია (აღმასრულებელი საბჭო), რომელიც დაკომპლექტებულია სამართლის სხვადასხვა სფეროს 24 იურისტისაგან. აღმასრულებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აღმასრულებელი საბჭოს პრეზიდენტს⁶ და, ასევე, საქმისმწარმოების კომიტეტის დირექტორს, მოადგილეს და ხაზინადარს.⁷

გაერთიანების დაფინანსების წყაროა საწევროები და შემონირულობები.⁸

3. მოკლედ ფორუმის – „გერმანელ იურისტთა დღეების“ შესახებ

1860 წლიდან დღემდე გაერთიანება „გერმანელ იურისტთა დღეები“ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში გერმანელ იურისტთა დღეებს მართავს (შემდგომში – „ფორუმი“). ფორუმი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ ერთმანეთს ხვდება ადვოკატი, მოსამართლე, პროკურორი, ნოტარიუსი, სამართლის პროფესორი, სამართლის სტუდენტი, უცხო ქვეყნის სამართლის სპეციალისტი (იურისტი). ფორუმს წლიურად 2.500-დან 3.000-მდე მონაწილე ჰყავს.⁹ ფორუმის ფარგლებში მონაწილეები თავად განსაზღვრავენ ფორუმის თემებს, განიხილავენ და მიღებული გადაწყვეტილებებით გავლენას ახდენენ არსებულ სამართალწესრიგზე. ფორუმის ერთ-ერთი სლოგანი ზუსტად ასახავს მის მნიშვნელობას: „Nehmen Sie Einfluss auf die rechtspolitische Debatte!“, სიტყვასიტყვითი თარგმანით: „გავლენა იქონეთ სამართლებრივ-პოლიტიკურ დებატებზე!“¹⁰

ფორუმის განხილვის საგანია აქტუალური პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხები სხვადასხვა სამართლის სფეროდან, რომელთა განხილვაც ბოლო პერიოდში ნდარგობრივ განყოფილებაში ხდება. ესენია: სამოქალა-

ქო, სისხლის, საჯარო, შრომის, სოციალური და ბიზნეს სამართლის.¹¹

ფორუმის მონაწილეები უშუალოდ მონაწილეობენ ფორუმის თემების განსაზღვრაში. ისინი ასოციაციას აწვდიან წინადადებებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. წინადადებების შეგროვება ფორუმის დასრულებისთანავე იწყება. საკითხები აქტუალურია: „სად საჭიროებს მოქმედი სამართალი რეფორმას? რომელი სოციალური და ბიზნეს-განვითარება საჭიროებს სამართლებრივ-პოლიტიკურ რეგულირებას? ევროკავშირისა თუ საერთაშორისო სამართლის განვითარებამ უნდა განაპირობოს თუ არა კანონმდებლის საპასუხო მოქმედება?“¹²

ფორუმის თემები საბოლოოდ აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეირჩევა. საბჭო ირჩევს, ასევე, ექსპერტებს, რომლებიც ამუშავებენ შერჩეულ თემებს ფორუმისთვის და ამზადებენ სამართლებრივ ანალიზს. ექსპერტის საქმიანობა არ ანაზღაურდება. ფორუმის გამართვამდე ექსპერტთა მომზადებული ანალიზი გაერთიანების წევრებს ეგზავნებათ, რათა წევრები მზად იყვნენ დისკუსიისათვის განსახილველი თემების ირგვლივ. გარდა ამისა, განსახილველი თემების სრულყოფილი მიმოხილვისათვის ექსპერტის სამართლებრივი ანალიზი დარგობრივი განყოფილების მიერ მომზადებული მინიმუმ 2 რეფერატით ივსება.¹³

შერჩეული თემების განხილვა ფორუმზე მიმდინარეობს, კერძოდ, დარგობრივ განყოფილებებში. აქ, წარმოადგენენ როგორც ექსპერტთა ანალიზს, ისე – რეფერატებს, რასაც საჯარო დისკუსია და კენჭისყრა მოსდევს და გადაწყვეტილების მიღებით სრულდება: შემაჯამებელი აქტია – სამართლებრივ-პოლიტიკური წინადადება გადაწყვეტილების ფორმატში. აღსანიშნავია, რომ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება ფორუმის ყველა დამსწრეს შეუძლია, ხოლო კენჭისყრაში მხოლოდ გაერთიანების

6 წესდება, §8 (1);
 7 წესდება, §13 (1);
 8 წესდება, §2 (3); ასევე: <http://www.djt.de/der-verein/foerderer/>
 9 <http://www.djt.de/die-tagungen/>
 10 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/einfluss-nehmen/>
 11 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/themen-bestimmen/>
 12 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/themen-bestimmen/>
 13 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/diskutieren-und-abstimmen/>

წევრები მონაწილეობენ. განხილვის მასალები, როგორც დისკუსიის პროტოკოლები, ისე რეფერატები და გადაწყვეტილებები ორ ტომად გამოიცემა,¹⁴ მაგ. Verhandlungen des 69. Deutschen Juristentages München 2012, I Band, II Band (შემოკლებით, 69 djt).¹⁵

და ბოლოს, ფორუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სამართალწესრიგზე დღემდე დიდი გავლენა აქვს. მისი გავლენა იგრძობა როგორც საკანონმდებლო ინიციატივებში, ისე სამოსამართლო პრაქტიკაში. ასეთეზია, მაგალითად, პროდუქტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სამართალი (47. djt), განქორწინების სამართალი (48. djt), მეურვეობის სამართალი (57. djt), ბავშვის უფლებების სამართალი (59. djt), სისხლის სამართლის რეფორმა მსხვერპლის დაცვის შესახებ კანონთან მიმართებით (55. djt), სანქციების სისტემასთან მიმართებით (59. djt). ფორუმმა ასევე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ფედერალური კანონის კოდიფიცირებაში.¹⁶

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გერმანელ იურისტთა გაერთიანებისა და ფორუმის მაგალითზე ანალოგიური კავშირები შეიქმნა ავსტრიასა¹⁷ და შვეიცარიაშიც.¹⁸ მეტიც, ფორუმმა ხელი შეუწყო „გერმანულ გაერთიანებას“, დღეს კი მისი თაოსნობით შვეიცარიელ და ავსტრიელ კოლეგებთან ერთად ევროპული ინტეგრაციის, ევროპული სამართლის განვითარების ხელშეწყობა ხდება, კერძოდ, ამ ეგიდით 2001 წლიდან ევროპულ იურისტთა დღეებს ჩაეყარა საფუძველი.¹⁹ 2015 წელს კი ევროპულ იურისტთა მე-8 ფორუმი ჩატარდება.²⁰

4. დასკვნა

წინამდებარე სტატია იურისტთა ერთობას – „გერმანელ იურისტთა დღეებს“ აღწერს, რომელიც საუკუნე-ნახევარზე მეტია მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი ქვეყნის განვითარებაში, დღეს კი ის ევროპულ ინტეგრაცია

სასა და ევროპული სამართლის განვითარებას ისახავს მიზნად, მაშინ როცა, დღეს ქართველ იურისტთა ერთობის მცირე, ცალკეულ და არაორგანიზაციული სახის მაგალიტებს ვხვდებით.

კარგი იქნება, თუ თავდაპირველად მსჯელობის საგანი გახდება, ხოლო შემდგომ კი საფუძველი ჩაეყრება ქართველ იურისტთა ერთიანობას გერმანელ იურისტთა ერთობის მაგალიტზე, მოხდება მათი მონიწივე გამოცდილების გაზიარება, მით უფრო მაშინ, როდესაც: პირველი, ქართული სამართალწესრიგი კონტინენტურ-ევროპული სამართლის ტრადიციებზე შეიქმნა, და მეორე, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერითა და რატიფიცირებით საქართველომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აღნიშნულ ტრადიციებს და ევროკავშირთან დაახლოების მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ახლა სწორედ ის დროა, რომ ქართველი მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, ნოტარიუსები, აღმასრულებლები, სამართლის სტუდენტები, სამართლის პროფესორები ერთ სივრცეში, ერთი ორგანიზაციული მოწესრიგების ქვეშ გაერთიანდნენ, იმსჯელონ ქვეყნისთვის აქტუალურ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, მიიღონ საზოგადოებრივად და სახელმწიფოებრივად მართებული წინადადებები, რეკომენდაციები, რაც ქართულ სამართალწესრიგს ევროპულ სამართალწესრიგთან დაახლოებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

სტატიიდან გამომდინარე რეკომენდაციები შემდეგია: შეიქმნას ექსპერტთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს ქართველ იურისტთა ერთობის ჩარჩო პრინციპებს და შექმნის სპეციალისტთა კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, უშუალოდ შეადგენს და განახორციელებს პროცესების ალგორითმს ორგანიზაციის დაარსების, წევრობის, დაფინანსების, ფორუმის ორგანიზების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით.

14 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/diskutieren-und-abstimmen/>

15 <http://www.djt.de/publikationen/verhandlungsberichte/>

16 <http://www.djt.de/recht-mitgestalten/einfluss-nehmen/>

17 გაერთიანება დაფუძნდა 1959 წელს, ხოლო პირველი ფორუმი ჩატარდა 1961 წელს, <http://www.juristentag.at/ueber-den-verein.html>

18 გაერთიანება დაფუძნდა 1861 წელს, ხოლო პირველი ფორუმი ჩატარდა 1993 წელს, <http://www.juristentag.ch/verein.html>

19 <http://www.djt.de/der-verein/historie/>

20 <http://www.djt.de/die-tagungen/europaeische-juristentage/>; http://www.icab.cat/files/242-367392-DOCUMENTO/Brosch%C3%BCre%20EJT-Barcelona_DE%20Neu%20klein.pdf

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების განმარტება



გიორგი თაყვაძე

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, უფასო იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის უმნიშვნელოვანეს სოციალურ პროექტს, რომლითაც აღმასრულებელმა საბჭომ შეასრულა ასოციაციის წესდების 5.6 პუნქტით დადგენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი (უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა). უფასო იურიდიული დახმარება პირველი მასშტაბური სოციალური პროექტია, რომელიც შეიქმნა სოციალურად დაუცველი ჩვენი თანამოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. კერძოდ, პროექტის ძირითადი მიზანია ფიზიკური პირებისათვის (ბენეფიციარები) უსასყიდლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და საერ-

თაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი, სოციალურ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული, მდგრადი, საიმედო და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ეფექტიანი სისტემის შექმნა.

საქმიანობის ეს მიმართულება „პრო-ბონო“, სახელწოდებით არის ცნობილი მთელ მსოფლიოში და აქტივობის ეს სოციალური მიმართულება საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. „პრო-ბონო“, იგივე „პრო-ბონო publico“, ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის“. ამ მიმართულების სოციალური პროგრამის ფარგლებში საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის იურიდიული დახმარება ხორციელდება უსასყიდლოდ. როგორც წესი ამ მიმართულების სოციალურ პროგრამებს ახორციელებენ იურიდიული პროფილის ორგანიზაციები და დაწესებულებები. განსხვავებით ტრადიციული მოხალისეობისაგან, პრო-ბონო მომსახურებას ახორციელებენ პროფესიონალი იურისტები და მომსახურების ბენეფიციარები არიან ის პირები, რომელთაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყონ ძვირადღირებული იურიდიული მომსახურების მიღება. დამკვიდრებული პრაქტიკით, უმეტეს შემთხვევაში პრო-ბონო მომსახურების ბენეფიციარები არიან არასრულწლოვანები, მოხუცებულები, სოციალურად დაუცველი პირები, მცირეშემოსავლიანი ოჯახები და სხვა.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ 2014 წლის 10 მარტს დაამტკიცა უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, როგორც ადვოკატთა ასოციაციის სტრუქტურული ერთეულის დებულება, რომლითაც განისაზღვრა საქმიანობის სფერო, ბენეფიციართა წრე, საქმიანობის მიმართულებები და იურიდიული დახმარების უსასყიდლოდ განევის წესი.

პირველ ყოვლისა, უპრიანია, განვიხილოთ ბენეფიციართა წრე, ანუ იმ პირთა წრე, რომლებსაც შეეძლება ისარგებლონ ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფასო იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციონირებას დაიწყებს სათანადო ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფასო იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი (ბენეფიციარი) შეიძლება იყოს:

- ა) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული უფლებების დისკრიმინაციული დარღვევის მსხვერპლს;
- ბ) დაინტერესებული მხარე, რომელიც სამსახურს მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თხოვნით;
- გ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა 70 000-ზე მეტია და არ აღემატება 100 000-ს, თუ ამ პირის მიმართ იურიდიული დახმარების განევა არ წარმოადგენს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კომპეტენციას;
- დ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა 100 000-ზე მეტია და არ აღემატება 200 000-ს და ამავე დროს პირი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას, კერძოდ არის:
 - დ.ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი;
 - დ.ბ.) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
 - დ.გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
 - დ.დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;
 - დ.ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუს-

სის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

- დ.ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
- დ.ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

ამ დებულებით დადგენილი ბენეფიციარის კრიტერიუმები შეიძლება შეიცვალოს სამსახურის თავმჯდომარის მიერ, აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმებით.

ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და მის კომპეტენციას.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულების სტატუსით მოქმედი იურიდიული დახმარების სამსახური, მართლაც, უმნიშვნელოვანეს სამუშაოს ასრულებს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველი ნაწილის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს სამსახური შექმნილია უშუალოდ გარკვეული კატეგორიის სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებისათვის უფასოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იურიდიული მომსახურების განევისათვის. ამ სამსახურის საქმიანობა, ჩვენი სამსახურისგან განსხვავებით, რეგულირდება შესაბამისი კანონით „იურიდიული დახმარების შესახებ“, აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ბენეფიციართა კრიტერიუმებს, რომლებსაც უფლება აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მიიღონ იურიდიული მომსახურება, ასევე, დადგენილია ის საკითხები, კერძოდ, ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე და, აგრეთვე, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე იურიდიული მომსახურების განევა, რომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული პატიმრობა.

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა ემსგავსება სსიპ იურიდიული მომსახურების სამსახურის საქმიანობას, თუმცა საქმიანობის მსგავსების მიუხედავად, ამ ორ სამსახურს ბენეფიციართა განსხვავებული წრე ჰყავს, კერძოდ, ადვოკატთა ასოციაციის უფასო

იურიდიული სამსახური არ ემსახურება იმ პირებს, რომელთაც უფლება აქვთ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისგან მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება. ეს საკითხი მკაცრად არის გამიჯნული. გარდა ამისა, ეს ორი სამსახური პარტნიორი ორგანიზაციებია. იგეგმება ამ ორ დაწესებულებას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ორივე დაწესებულების საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნა განპირობებულია ერთადერთი მიზეზით – საზოგადოების სოციალურად შეჭირვებული ჩვენი თანამოქალაქეთა მეტი რაოდენობისათვის მიგვეცა შესაძლებლობა, უფასოდ მიეღოს ძვირადღირებული კვალიფიციური იურიდიული მომსახურება. ამასთან, ასეთი შესაძლებლობა მიგვეცა საზოგადოების სოციალურად დაუცველი იმ თანამოქალაქეებისათვის, რომლებიც დადგენილი კრიტერიუმებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღონ იურიდიული მომსახურება.

მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ადვოკატთა ასოციაცია გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან. შესაძლებელია თანამშრომლობის ფარგლებში, სათანადო დაფინანსების პირობებში, ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული დახმარების სამსახურმა უზრუნველყოს და შესთავაზოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარების გარკვეულ ნაწილს უფასო იურიდიული დახმარება.

ობიექტურობის მაღალი ხარისხის მიღებისათვის, ბენეფიციართა კრიტერიუმების განსაზღვრისას, ვიხელმძღვანელებთ სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგენილია პირის გადახდისუნარიობა. ეს მიდგომა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის ნაკარნახევი: (1) მკაფიოდ გაგვემიჯნა ჩვენი ბენეფიციარები დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულების იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარებისაგან, რომლებიც იურიდიულ მომსახურებას იღებენ უფასოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე; (2) სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, იურიდიული მომსახურება შეგვეთავაზებინა საზოგადოების სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებისათვის, რომელთაც კანონის საფუძველზე არ ეძლევათ საშუალება, სახელმწიფო ბიუჯეტის

ხარჯზე, უფასოდ მიიღონ იურიდიული მომსახურება; (3) ბენეფიციართა კატეგორიის დადგენის პროცესი ყოფილიყო გამჭვირვალე და სუბიექტური მიდგომებისაგან თავისუფალი.

შეთავაზებული იურიდიული მომსახურებების სახეები დამოკიდებულია შესაბამისი დაფინანსების ოდენობაზე. დაფინანსების გათვალისწინებით, სამსახური გეგმავს, შესთავაზოს ბენეფიციარებს იურიდიული მომსახურების შემდეგი სახეები:

- ა) სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) მომზადება;
- ბ) ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში;
- გ) წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით;
- დ) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში;
- ე) უფასო იურიდიული კონსულტაცია ნებისმიერ საკითხზე;
- ვ) საადვოკატო მომსახურება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- ზ) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომელსაც შეიძლება დაპატიმრება მოჰყვეს.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახური – არის ადვოკატთა ასოციაციის მუდმივმოქმედი სტრუქტურული ქვედანაყოფი. სამსახური შედგება უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატისაგან (შემდგომში – აპარატი) და უფასო იურიდიული დახმარების ბიუროებისაგან.

სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, დამოუკიდებლად ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან სხვაგვარად ზემოქმედება.

სამსახურის დებულების შესაბამისად, სამსახურს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე. ბენეფიციართა იურიდიული მომსახურება განხორციელდება უფასო იურიდიული დახმარების ბიუროების მეშვეობით, რომლებიც იმოქმედებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუ რამდენ რეგიონში იქნება შესაძლებელი

ბიუროების შექმნა და ფუნქციონირება, ეს, პირველ რიგში, ფინანსურ სახსრებსა და აღმასრულებელი საბჭოს გადანყვეტილებებზეა დამოკიდებული.

უფასო იურიდიული დახმარების ბიურო (შემდგომში – ბიურო) – არის სამსახურის შემადგენელი ერთეული, რომელიც, ამ დებულებით დადგენილი წესითა და თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში, ახორციელებს უფასო იურიდიულ დახმარებას. ბიუროს შეუფერხებელ საქმიანობაზე პასუხისმგებელია ბიუროს ხელმძღვანელი.

ბიურო პასუხისმგებელია თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში კვალიფიციური იურიდიული დახმარების უზრუნველყოფისა და იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა ინტერესების მაქსიმალური დაცვისათვის, რათა მათ შეძლონ, სრულად ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით.

ბიუროს შემადგენლობაში შედიან იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელი და იურიდიული კონსულტაციის კონსულტანტი/კონსულტანტები. ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. ბიუროს იურიდიული კონსულტაციის კონსულტანტს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის თავმჯდომარე.

იურიდიული კონსულტაცია ხორციელდება იურიდიული დახმარების ერთიანი სისტემის ფარგლებში, იურიდიული ბიუროს/ ბიუროების მეშვეობით. ბენეფიციარს უფლება აქვს, მიიღოს იურიდიული კონსულტაცია სამსახურის ნებისმიერ ბიუროში, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

სამსახურის საქმიანობის კონტროლს და ზედამხედველობას განახორციელებს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, თავისი უფლებამოსილების ვადით, თავისი შემადგენლობიდან არჩეული ხუთი წევრისაგან, მათ შორის თანამდებობრივად ერთ წევრს წარმოადგენს სამსახურის თავმჯდომარე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭოს და-

ნიშნულებაა, ასევე, უზრუნველყოს სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობა და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის ზრდას, ასევე ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს სამსახურის საქმიანობის განვითარება.

ბენეფიციარის უფლებებისა და ინტერესების დაცვას განახორციელებს ადვოკატთა ერთიანი სიაში რეგისტრირებული პირებიდან, კონკურსის წესით შერჩეული მომსახურების მიმწოდებელი. სისხლის სამართლის პროცესში მომსახურების მიმწოდებლის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს ბიურო, სამსახურის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ბრალდებულის ან/და მსჯავრდებულის ან მისი წარმომადგენლის ან/და ახლო ნათესავის მიმართვის საფუძველზე. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით სამსახური განიხილავს პირის მიმართვას, არკვევს, აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს და მიიღებს გადანყვეტილებას უფასო იურიდიული დახმარების განწვევის ან დახმარების განწვევაზე უარის თქმის შესახებ.

მომავალში იგეგმება ტექნიკური ინოვაციური შესაძლებლობების პრაქტიკული გამოყენება და ადაპტირება ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიწოდების ოპერატიულობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის.

ადვოკატთა ასოციაციის უფასო იურიდიული სამსახურის ფუნქციონირების დაწყება უკავშირდება, ამავედროულად, ფინანსურ ფაქტორებს, კერძოდ, სამსახური ფუნქციონირებას იწყებს შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სოციალური პროგრამა, საზოგადოების უფასო იურიდიული დახმარების პარალელურად, მიზნად ისახავს იურისტის პროფესიის გარშემო არსებული არასასურველი სტერეოტიპის შეცვლას და, პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობისა და საქმიანობის მაგალითზე, იურიდიული პროფესიის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერის პროცესში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პრაქტიკული განმარტებისათვის

როინ მიგრიაული

ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი

თამაზ შალამბერიძე

საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ იურისტი, ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამართლის რეფერენდარი

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, *„ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც, მათ შორის, აქვს იურისტად მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი სტაჟი“*.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი, კანონის მიზნებიდან და არსიდან გამომდინარე, მიიჩნევა თუ არა „იურისტად მუშაობად“ სამართალმცოდნეობის განხრით პირის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. შესაბამისად, უნდა მიეცეთ თუ არა უფლება უნივერსიტეტების სამართლის პროფესორებს უფლება მიიღონ ადვოკატის სტატუსი.

აღნიშნული საკითხის გასარკვევად, საჭიროა, განიმარტოს კანონის შესაბამისი ნორმა, კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმა საუბრობს იმ წინაპირობებზე, რომელთა კუმულაციური არსებობა აუცილებელი (და საკმარისია) პირის მიერ საადვო-

კატო პროფესიის განსახორციელებლად. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ზემოხსენებულ წინაპირობებს წარმოადგენს: (ა) უმაღლესი იურიდიული განათლება, (ბ) ადვოკატთა ტესტირების გავლა (ან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება), (გ) იურისტად ან ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.

ამგვარად, კანდიდატისაგან (დაინტერესებული პირისაგან) კანონმდებელი ითხოვს, ერთი მხრივ, შესაბამის **თეორიულ მომზადებას** (უმაღლესი იურიდიული განათლება) და მეორე მხრივ, **გარკვეული სამართლებრივი პრაქტიკის ქონასაც** (იურისტად ან ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი). კანონმდებლის აღნიშნული მოთხოვნა მოწმობს მის ნებაზე, რომ ადვოკატის პროფესიაში დაშვებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი თეორიული ცოდნისა და გარკვეული (მინიმალური) სამართლებრივი პრაქტიკის მქონე პირი. სწორედ კანონმდებლის აღნიშნული ნებიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს **„იურისტად მუშაობის“** წინაპირობებიც.

პირველ რიგში, უნდა გაირკვეს საკითხი, თუ ვინ არის **„იურისტი“**. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, იურისტი არის ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. მეორე რიგში, უნდა განიმარტოს **„იურისტად მუშაობის“** შინაარსი. აღნიშნულ ტერმინს (იურისტად მუშაობას) არ განსაზღვრავს არც ერთი კანონი. ამდენად, აუცილებელია კანონის განმარტების ინსტრუმენტის გამოყენება. როგორც აღვნიშნეთ, ადვოკატთა ასოციაციისათვის საინტერესოა საადვოკატო პროფესიაში მხოლოდ იმ კანდიდატის (დაინტერესებული პირის) დაშვება, რომელსაც აქვს გარკვეული სამართლებრივი პრაქტიკის სტაჟი. ბუნებრივია, შინაარსობრივ განმარტებას ითხოვს თავად ტერმინი **„სამართლებრივი პრაქტიკა“**. კერძოდ, წარმოადგენს თუ არა სამართლებრივი პრაქტიკა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკას; თუ ეს ცნება გამოსაყენებელია უფრო ფართო გაგებით, კერძოდ, სამართლის ნორმებთან პროფესიული მუშაობის გაგებით.

მართალია, სამართლებრივ ნორმებთან მუშაობა უწევთ, ასევე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, თუმცა მათი მუშაობა არ წარმოადგენს პროფესიულ საქმიანობას, რადგან სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს (გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ჯერ კიდევ სტუდენტები არიან) არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, მაშინ როცა, პროფესიული საქმიანობა გულისხმობს გარკვეული კვალიფიკაციის ქონას.

სხვა შემთხვევაა უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე **აკადემიური პერსონალის საქმიანობა**. სამართლის პროფესორი (დოცენტი) პროფესიულად მუშაობს სამართალთან. მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, აუცილებლად გულისხმობს სამართლებრივ ნორმებთან პროფესიულ მუშაობას, პირველ ყოვლისა, სწორ მეთოდოლოგიურ მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ **სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა დაკავშირებულია სამართლებრივ ნორმებთან პროფესიულ მუშაობასთან**.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო უნდა იყოს უცხო სახელმწიფოთა სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სამართალი არსებითად ეფუძნება გერმანულ სამართალს, საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ აწესრიგებს გერმანული სამართალი აღნიშნულ საკითხს. „ადვოკატთა შესახებ“ ფედერალური დებულების (BRAO – Bundesrechtsanwaltsordnung) მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, საადვოკატო პროფესიაში დასაშვებად აუცილებელია ე.წ. „მოსამართლის თანამდებობის განხორციელების უნარი“ (Befähigung zum Richteramt). „გერმანიის მოსამართლეთა შესახებ“ კანონის (DriG – Deutsches Richtergesetz) მე-5 პარაგრაფის შესაბამისად, აღნიშნული უნარის შეძენის წინაპირობაა პირველი და მეორე იურიდიული სახელმწიფო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. პირველი სახელმწიფო გამოცდით მთავრდება საუნივერსიტეტო, ანუ არსებითად თეორიული სწავ-

ლება, ხოლო მეორე სახელმწიფო გამოცდით კი ე.წ. მოსამზადებელი სამსახური (Vorbereitungsdienst), რომელიც იძლევა იურიდიულ პრაქტიკასთან შეხების საშუალებას. ამგვარად, გერმანელი კანონმდებელი საადვოკატო პროფესიაში უშვებს მხოლოდ ისეთ პირებს, რომლებსაც, გარდა თეორიული ცოდნისა, ასევე, აქვთ გარკვეული სამართლებრივი პრაქტიკის სტაჟიც.

ამ წესიდან კანონმდებელი უშვებს ერთ გამონაკლისს, რომელიც ეხება **უნივერსიტეტის (სრულ) პროფესორებს**. „გერმანიის მოსამართლეთა შესახებ“ კანონის (DRiG) მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობის განხორციელების უნარი გააჩნია, ასევე, უნივერსიტეტის პროფესორსაც (Ordentlicher Professor). გერმანიის უმაღლესი განათლების დაწესებულებების სამართლის (შესაბამისი უნივერსიტეტების და ფაკულტეტების წესდებების) მიხედვით, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი არ არის მეორე იურიდიული სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება (ანუ პრაქტიკული ნაწილის გავლა).

ამგვარად, კანონი თანაბრად კომპეტენტურად მიიჩნევს იმ პირებს, რომელთაც ორივე იურიდიული სახელმწიფო გამოცდა აქვთ ჩაბარებული (ანუ თეორიულთან ერთად პრაქტიკული ნაწილიც გავლილი აქვთ) და, ასევე, იმ პირებს, რომელთაც მხოლოდ პირველი სახელმწიფო გამოცდა აქვთ ჩაბარებული (უმაღლესი განათლება; მხოლოდ თეორიული ნაწილი) და წარმოადგენენ უნივერსიტეტის პროფესორებს. გერმანელი კანონმდებლის აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის საქმიანობა დაკავშირებულია სამართლის ნორმებთან (სამართალთან) პროფესიულ მუშაობასთან, მათ შორის, კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობასთან. აღნიშნული კი, გერმანელი კანონმდებლის აზრით, **უნივერსიტეტის სამართლის პროფესორს შესაბამისად კვალიფიციურს ხდის იმისათვის, რომ მან განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა**.

ამდენად, გერმანელ პროფესორს, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, გერმანული სამართლის მიხედვით, უფლება აქვს წარადგინოს სარჩელები და მონაწილეობა მიიღოს სასამართლოებში წარმომადგენლის სახით.

ზემოაღნიშნული მსჯელობა შეიძლება გამოყენებულ იქნას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის განმარტების დროსაც. როგორც აღვნიშნეთ, კანონი იმ პირისაგან, რომელიც დაშვებულ უნდა იქნას საადვოკატო პროფესიაში, ითხოვს გარკვეულ კვალიფიკაციასა და კომპეტენციას. უმაღლესი იურიდიული განათლებისა და საადვოკატო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარდა, პირს უნდა ჰქონდეს იურისტად მუშაობის გარკვეული სტაჟი. იურისტად მუშაობა, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გულისხმობდეს სამართლის ნორმებთან (სამართალთან) პროფესიულ მუშაობასაც. სამართლის ნორმებთან პროფესიულ მუშაობასთან დაკავშირებულია, ასევე, უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის საქმიანობაც.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) **პროფესორის საქმიანობა წარმოადგენს სამართლებრივ პრაქტიკას ან, სულ მცირე, სამართლებრივ პრაქტიკასთან გათანაბრებულ საქმიანობას**. შესაბამისად, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „იურისტად მუშაობა“ უნდა განიმარტოს ფართოდ და იგი უნდა გულისხმობდეს, ასევე, უნივერსიტეტის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) პროფესორის მიერ განხორციელებულ პედაგოგიურ საქმიანობასაც. შესაბამისად, უნივერსიტეტის პროფესორები მიღებული უნდა იქნან ადვოკატის პროფესიაში (მათი სურვილის შემთხვევაში), თუ ისინი აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებული 1-წლიანი სტაჟის მოთხოვნებს.

მანუჩარ თუმანიშვილის ანდერძი, 1657 წ. ქალაქი

ანდერძის ინსტიტუტი დიდად განვითარებული იყო საქართველოში. იგი სამოქალაქო სამართლის ძეგლია. ანდერძი იღებოდა პირდაპირი მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში. უშვილოდ დარჩენილი მანუჩარ თუმანიშვილი, ქართული ფეოდალური სამართლის თანახმად, საკუთარ მამულს მემკვიდრეობით უტოვებს უახლოეს მამაკაც ნათესავს - თავისი ძმის ჯიმშიტას შვილებს. საბუთში განსაზღვრულია ნაანდერძევი ქონების რაობა - ნასყიდი მამულები და ყმები. რამდენიმე გლეხი განწესებულია მკვლავად. საბუთი შედგენილია ანდერძისთვის შემუშავებული ფორმის დაცვით.

Last Will of Manuchar Tumanishvili, 1657, paper

Last will was a widely-used document in Georgia. It is a document of civil law importance. The will was made in case of the absence of a direct heir. Childless Manuchar Tumanishvili, in accordance with the Georgian feudal law, leaves his estate to the nearest male relative – sons of his brother Jimshita.

The document describes inherited assets – bought land and serfs. Several peasants are described as donated serfs for agape feast. The document is created according to the special form of the last will.





ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი და მოსაზრებები. თქვენ მიერ გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის მიერ და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!



თბილისი

ძმები ზუბალაშვილების ქ. 36, ტელ: 2 22 46 54
ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი: ტელ: 2 200 262
სასწავლო ცენტრი: ტელ (+995 32) 2 98 78 78

ქუთაისი:

ნინოშვილის 8, ტელ: (0431) 247 247

თელავი:

ვარდოშვილის 15, ტელ: (0370) 272 015

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22, ტელ: (422) 292 902

www.gba.ge